

73 /
1990/2

საქართველოს იურისტთა კავშირი

სახელმწიფო იუ სამართლი

5'90

საქართველოს კონსტიტუცია



საქართველოს განაგენების საგარეონობის უფლებები



სამორთაშორისო პარტი სამოქალაქო და პოლიტიკური
უფლებების უცხოვანი

CIVITAS AC IUS

ສາຮເດັກຜົນ ສຳຮັບ:

ກະທຸກົມ ອະນຸຍາກ ລົງວັນ ອົງວັນສີເປົວ, ອົນໂລກ ດັບດັບ, ປົມຄົມ, ປົມຄົມວິ,
ໜົມຕາ ດົມກົມປົມວິ, ດົນດ ດົນດອກວິລູດ, ອົນວັດ ດັນຈານເປົວ, ດົມຕາ ດັນເປົວ,
ຕົມທຸກ ລົງລູງຫຼາຍແລ້ວ, ວັນຍຸກ ລົມຄົມ, ດົນເປົວຈະນ ລົມຄົມ,
ດົມຄົມດ ດົນດາກໂດຍແລ້ວ, ດົມດາກ ດົນດອກເປົວ, ອົນທຸກ ຮຸນທຸກ, ອົນທຸກ,
ທຸກທຸກ ຕົມດົນດອກແລ້ວ, ດົມທຸກ ຕົມທຸກແລ້ວເປົວ, ດົນທຸກ ສະກວມແລ້ວ,
ກະທຸກົມ ອົງວັນສີເປົວແລ້ວ, ດົນທຸກ ອົງວັນສີເປົວ, ດົນທຸກ ສະກວມແລ້ວ,
ວັນຍຸກ ອົງວັນສີເປົວ, ດົນທຸກ ອົງວັນສີເປົວ, ດົນທຸກ ສະກວມແລ້ວ,
ດົນທຸກ ສະກວມແລ້ວ, ດົນທຸກ ສະກວມແລ້ວ, ດົນທຸກ ສະກວມແລ້ວ,
ດົນທຸກ ສະກວມແລ້ວ, ດົນທຸກ ສະກວມແລ້ວ.

ມຕາວັນດ ຮັດາຫັດນິດ
ຕະວິດຕາວ ແນວດ

ສາຮເດັກຜົນ ຂອບແກ່ດີ:

ກະທຸດ ອົນເວົນສີເປົວ (ເມືອງ-ຮຽນ-ຮຽນ-ຮຽນ), ດົນດ ດົນດມີດົນສີເປົວ (ກະຫຼາກສີສະຫະລູງ
ທິດູກວັນ), ດົມຕາ ດົມກົມປົມວິ, ດົມດົນດ ດົມດົນດມີດົນສີເປົວ, ດົມດົນດ ດົມດົນດມີດົນສີເປົວ,
ວັນຍຸກ ດົນດົນດ ດົນດົນດມີດົນສີເປົວ, ດົນດົນດ ດົນດົນດມີດົນສີເປົວ, ດົນດົນດ ດົນດົນດມີດົນສີເປົວ,
ວັນຍຸກ ດົນດົນດ ດົນດົນດມີດົນສີເປົວ, ດົນດົນດ ດົນດົນດມີດົນສີເປົວ, ດົນດົນດ ດົນດົນດມີດົນສີເປົວ,

ມຕາວັນດ ຮັດາຫັດນິດ ອົງວັນ ອົນເວົນສີເປົວ

სახელმწიფო და სამართლი

სამართლის პრატიცის ული ზურნალი

გამოდის 1928 წლიდან

5

გამდი
1990

სამიეგვძი

26 მაისი

საქართველოს კონსტიტუცია (მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ
1921 წლის თებერვლის 21) 7

იაპოზ უზრუნველყოფა — საქართველოს გასაბჭოების სამართლებრივი შეიცავება 24

გიორგი ნადარიშვილი — ჭართული დამართლის პუბლიცის გამარჯვება 43

ოფიციალური გასაღა

სართულოს პარტი სამოქალაქო და კოლითიკური უფლებების გასახებ 59

პერსონალის

გიორგი ბერიძე — თიბეტის დასახვა 71

იუსტიციას დინასტიაზე 80

УКАЗАТЕЛЬ

26 мая	3
Конституция Грузии (принятая Учредительным собранием 21 февраля 1921 года)	7
Яков Путкарадзе — Юридическая оценка советизации Грузии	24
Георгий Надареишвили — О гуманности грузинского права	43
Официальный материал	
Международный пакт о гражданских и политических правах	50
Персоналий	
Георгий Ткешелиадзе — Тинатин Церетели	71
Из Дигестов Юстиниана	80



© „სახელმწიფო და სამართალი“, 1990 წ.

გადაეცა წარმოებას 3.04. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.05. 90 წ.
ფორმატი 70×108¹/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 6,5.

შეკვ. № 797.

ტერაცი 27000

უმ 04056

26 მაისი

ისტორიული ფაქტი და ერის პოლიტიკური იდეალების
სიმბოლო. ერი და სახელმწიფო. ეროვნული მოძრაობა. ეროვნული
სახელმწიფოს ამოცანები. ჩავირიდან გასვლის უფლება და
ანტიკონსტიტუციური კანონი

ჩვენი უურნალის ეს ნომერი საქართველოს სახელმწიფო ბრიობის აღდგე-
ნის თარიღს ეძღვნება. ამ ღირსახსოვარი მოვლენისადმი დამოკიდებულება
რედაქციამ საქართველოს კონსტიტუციის პუბლიკაციით, საქართველოს გასაბ-
ჭობის სამართლებრივი შეფასებისა და ქართული სამართლის ისტორიის პრობ-
ლემებისადმი მიძღვნილი წერილებით გამოხატა. მომდევნო ნომრებზე შევეცდე-
ბით მეტი სისრულით გაღმოვცეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
ისტორიის ტრაგიული ფურცლები, იმდროინდელი პოლიტიკური და იურიდი-
ული კულტურის ამსახველი დოკუმენტები.

26 მაისისადმი ქართველ ხალხს ორგვარი მიმართება შეიძლება ჰქონ-
დეს. ერის მეხსიერებას ეს თარიღი შემორჩა, როგორც საკუთარ სამ-
ზობლოში დაკარგული სუვერენიტეტის აღდგენის დღე; ამასთანავე ცხადია
ისიც, რომ პოლიტიკური აქტის სიღიადის მიუხედავად, 26 მაისი საქართველოში
იოლად და მოულოდნელად მოვიდა. მაშინდელ მთვლემარე ეროვნულ შეგნებას
სოციალური და კულასობრივი ინტერესები უფრო დაუუფლა, ვიდრე სამოცია-
ნელების მოღვაწეობით გაცხადებული ეროვნული პროგრამა. ეს იყო ერთ-
გრძითი მიზეზი, რის გამოც იოლად დაიკარგა კიდეც 26 მაისის სახიერო შე-
დეგები.

რამდენიმე წელია, რაც ეროვნული შეგნების გაძლიერებასთან ერთად ქარ-
თველი ხალხის ცნობიერებაში კვლავ იცემოდა 26 მაისმა, როგორც ერის პო-
ლიტიკური იდეალების სიმბოლომ. ამ იდეალების საზრისი თავისუფალი სა-
ქართველოა.

სინამდვილემ ცხადყო, რომ სახელმწიფოს ფუნქციებიდან ეროვნული ამო-
ცანების ამოღება აღარიბებს სახელმწიფოს შინაარსს. ერი, როგორც სოცია-
ლური ორგანიზაციი, სხვა ფაქტორებთან ერთად სწორედ სახელმწიფოს აქტი-
ური ზემოქმედებით ყალიბდება. ერის არსებობა ორგანულად უკავშირდება
საკუთარ სახელმწიფო არსებით გავლენას ახდენს
ეროვნული შეგნების ფორმირებაზე და მის დასუსტებასთან ერთად ეროვნუ-
ლი შეგნებაც კნინდება. საკმარისია ერი უცხო პოლიტიკური ერთეულის ნა-
წილად იქცეს და მის არსებობას საფრთხე დაემუქროს, რომ იგი მაშინვე შეეც-
დება საკუთარი სახელმწიფოებრიობის ძიებას. სწორედ ეს ძიება შეადგენს
ეროვნული მოძრაობის შინაარსს. „ეროვნული მოძრაობა არის მოძრაობა ან

ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ან მსგავს დაწესებულებათა დაარსებულებისა". — განმარტავს არჩილ ჭორვაძე.

ჭერ კიდევ საუკუნის დამდეგს, როცა ერის მარქსისტული დეფინიცია უაღიბდებოდა, აღბათ შორს მიმავალი მიზნებით იყო ნაკარნახევი, რომ სახელმწიფოებრივი ან საკუთარი სახელმწიფოებრივი მოწყობისაკენ მისწრაფება უგულებელყვეს როგორც ერის ერთერთი არსებითი ნიშანი. ისევ არჩილ ჭორვაძეს მოვუსმინოთ: „იქ, სადაც ერსა და სახელმწიფოს შუა გათიშვა მოხდა, ერი სულ იმის ცდაშა, რომ გათიშულ სახელმწიფოსთან ან ხელმეორედ შეპკრას კავშირი ან შეპქმას რაიმე მისი მსგავსი ორგანიზაცია, სადაც გათიშულ და ლტოლვილ ერს სურს თავი შეაფაროს".

ეროვნული სახელმწიფო მოწოდებულია უზრუნველყოს ერის არსებობის, მისი ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური განვითარების პირობები. ეროვნული სახელმწიფო არის განხორციელებული ეროვნული სუვერენიტეტი. თუ სახელმწიფოს არ ძალუძა დაკისრებული ეროვნული ამოცანების გადაწყვეტა, მაშასადამე, არც ეროვნული სუვერენიტეტი განხორციელებულა.

მოკავშირე რესპუბლიკები ეროვნული სახელმწიფოებია. „უველა არარუს ეროვნებებს ჩვენ საკუთარი რესპუბლიკები ან ავტონომიური ოლქები მივიცით". — ამბობდა ლენინი (იხ. რუს. გამოც, ტ. 44, გვ. 146). აქ არაფერს ვამბობთ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც ცედერაციაში საქართველოს შესვლას შეეხება. ამ საკითხებს წინამდებარე ნომრის ერთი მეტად საინტერესო გამოკვლევა ეძღვნება. ფაქტი ფაქტად ჩჩება: ცედერაციას საფუძლად ეროვნული პრინციპი უდევს და ცედერაციის თითოეულმა პოლიტიკურმა ურთეულმა ერის ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების პირობებზე უნდა იზრუნოს. საუბედუროდ, მოვლენები განვითარდა ისე, რომ ფაქტობრივად სსრ კავშირი ჩამოყალიბდა უნიტარულ სახელმწიფოდ. აქ განმსაზღვრელი როლი ითამაშა მმართველი პარტიის სტრუქტურამ (რომელიც სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ასრულებდა) და ცენტრალიზებულმა ეკონომიკამ. ქვეყანაში ათეული წლების მანძილზე ხორციელდებოდა ექსტენსიური ეკონომიკა, რაც თავისთვალი ითხოვს ძლიერ ცენტრალიზებულ მმართველობას. ხაბჭოთა კონსტიტუციების ზედაპირული ანალიზიც კი ოვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რაოდენ ფართოვდება საკავშირო მმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი ხელისუფლების და მმართველობის რესპუბლიკური ორგანოების უფლებამოსილებათა ხარჯზე. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები თითქმის აბსოლუტური ხელშეუხებლობით სარგებლობენ.

ექსტენსიური მეურნეობრიობის პირობებში ცენტრის მიერ კოლონალური ოდენობის მუშახელის შეუზღუდავი გადაადგილებით მოკავშირე რესპუბლიკების მკიდრი ერების შიდაკულტურული კავშირები დეფორმაციას განიცდის. შევიწროვდა მათი ენების ფუნქციური და ტერიტორიული არეალი. ცენტრს ხელს აძლევს ერთი, ყველა ქვეპრდომისათვის გასაგები ენის გაბატონება, ამიტომაც, სახელმწიფო დაწესებულებებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მეურნეობის მართვის ორგანოებში ძლიერდება ცენტრის ენა. არაფერს ვამბობთ იმ სავალობო ეკონომიკურ და ეკონომიკურ შედეგებზე, რაც ექსტენსიურ ეკონომიკას მოაქვს მეავშირე რესპუბლიკების მკიდრი ერებისათვის.

ტოტალური რეჟიმისა და ექსტენსიური მეურნეობრიობის პირობებში მოკავშირე რესპუბლიკა, რომელიც უფრო დიდი უნიტარული სახელმწიფოს ად-

შინისტრაციულ რეგიონს წარმოადგენს, ვერ ასრულებს ეროვნული სახელ-უმცირესო შემწიფოს ფუნქციებს. ერთი რომელსაც განუკიდელი თვითგამორკვევის უფლება გააჩნია, ითხოვს სრულხელისუფლებიან პოლიტიკურ მექანიზმს. ბალტიის რესპუბლიკებში დაიწყო ეროვნული სახელმწიფოების აღდგენის პროცესი. ცხადია, ეს პროცესები შეუქცევადი განდება უპირველესად იმ ერებში, რომლებსაც სახელმწიფოებრივი ცხოვრების უცველესი ტრადიციები გააჩნიათ.

იკვეთება ერთი არსებითი ხასიათის კოლიზია: ერთა თვითგამორკვევის უფლება და სახელმწიფოებრივი მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპი. ცენტრი ამ კოლიზის გადაჭრას ცდილობს კანონმდებლობის მეშვეობით. ახალმა კანონმა „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“ სუვერენიტეტის თეორია თავდაყირა დააყენა და პრაქტიკული ღირებულება გამოაცალა დებულებებს, რომლებიც დღემდე საბჭოური ფედერაციის დეკორატიულ ფასადს. ქმნიან.

მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი აქამდე ემყარებოდა ერთადერთ იურიდიულ გარანტიას — ისინი ინარჩუნებენ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას. ეროვნული სახელმწიფო ეროვნული სუვერენიტეტის იურიდიული ფორმაა. ეროვნული სუვერენიტეტი გაცილებით ფართო მოვლენაა, ვიდრე ერის თვითგამორკვევის უფლება. თუ თვითგამორკვევის უფლება წარმოადგენს ერის მორალურ-პოლიტიკურ და იურიდიულ შესაძლებლობას — მითხვას პოლიტიკური მოწყობა ამა თუ იმ ფორმით, რომლის განხორციელება დამოკიდებულია სუბიექტურ და ობიექტურ შესაძლებლობებზე, ეროვნული სუვერენიტეტი არის ეროვნული სახელმწიფოს სახით უკვე განხორციელებული თვითგამორკვევის უფლება. ეროვნული სუვერენიტეტი მოიცავს თვითგამორკვევის უფლებას, როგორც პოლიტიკური მოწყობის თავისუფალი არჩევნის შესაძლებლობას.

თუ სუვერენული ერი, მოკავშირე რესპუბლიკის სახით, ფედერაციის სუბიექტი გახდა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ერის თვითგამორკვევის უფლება ერთხელ და სამუდამოდ განხორციელდა. თვითგამორკვევის უფლება განუყოფელი, უწყვეტი უფლებაა, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს როგორც ამა თუ იმ პოლიტიკურ ერთეულთან შეერთებით, ისე მისგან გამოსვლით და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით. კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება ნიშნავს მოკავშირე რესპუბლიკის შესაძლებლობას — ნებისმიერ დროს, საკუთარი გადაწყვეტილებით უკუაგდოს ის შეზღუდვები, რომლებიც მას კავშირში ყოფნის გამო შეექმნა. კავშირიდან გასვლის უფლება მოკავშირე რესპუბლიკის პოტენციური სრულხელისუფლებიანობაა.

კავშირიდან გასვლის უფლება ცალმხრივი აქტია. ამიტომ მისი განხორციელების პროცედურა თვით მოკავშირე რესპუბლიკამ უნდა დაადგინოს. შემთხვევითი როდი იყო, რომ დღემდე არ არსებობდა საკავშირო ნორმები გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“. ასეთი ნორმების აუცილებლობა არ გამომდინარეობდა „თავისუფალი გასვლის“ იურიდიული შინაარსიდან. ამიტომ, თავისთვალ ცენტრის მიერ გასვლასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის წესის დადგენა უკვე ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მოთხოვნას. ცენტრმა მითვისა მოკავშირე რესპუბლიკის ერთადერთი შეუვალი უფლებამოსილება და ამით რესპუბლიკას სეცესიის (გამოსვლის) კონსტიტუციური საფუძველი შეუქმნა.

კანონმა დააწესა კავშირიდან გასვლის შვიდსაცეხურიანი პროცედურა. პირველ საცეხურზე მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იღებს გადაწ-

შევტოლებას რეფერენდუმის ჩატარების შესახებ, რეფერენდუმის წესით გადატყვეტილება იქცა გასვლის აუცილებელ პირობად. მიგვაჩინა, რომ ისტორიული თვალსაზრისით, მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის საკითხებზე რეფერენდუმის ჩატარება პარადოქსია, რადგან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადგების წინ რესპუბლიკური რეფერენდუმები არ ჩატარებულა.

შემდეგ საფეხურს წარმოადგენს რეფერენდუმის ჩატარება ავტონომიურ ფორმირებებსა და კომპაქტურად დასახლებულ ეროვნულ უმცირესობებში. ეს მოთხოვნა ეწინააღმდეგება ერის თვითგამორკვევის უფლების არს, რომლის თანახმად თვითგამორკვევის სუბიექტია ერი, რომელიც საკუთარ ისტორიულ საცხოვრისში უმრავლესობას შეადგენს.

შემდეგ ეტაპზე ჩატარებული რეფერენდუმების შედეგებს იხილავს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა. საქმე ისაა, რომ საბჭოთა კონსტიტუციების თანახმად, გასვლასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა არ განეკუთვნება ხელისუფლების საკავშირო ორგანოების კომპეტენციას. ამიტომაც, ამ საკითხების განხილვა ყრილობის მიერ მოკავშირე რესპუბლიკის უფლებამოსილებათა უზურპაციაა.

თუ რეფერენდუმი უარყოფითი შედეგებით დამთავრდა, მომავალი რეფერენდუმის ჩატარების უფლება მოკავშირე რესპუბლიკას მხოლოდ 10 წლის შემდეგ ეძლევა. ამასთან, რაკი ვადებზეა საუბარი, ყურადღებამისაქცევია ისიც, რომ რეფერენდუმის დადებითი შედეგებით დამთავრებისას, ყრილობა აწესებს გარდამავალ პერიოდს 5 წლის ვადით, რომლის დროსაც გაირკვევა ქონებრივი პრეტენზიები გამავალ მოკავშირე რესპუბლიკებსა და ქვეყნის სხვა პოლიტიკურ ერთეულებს შორის. თუ თვითგამორკვევის უფლება ერის განუყოფელი უფლებაა, ის არავითარ ხანდაზმულობას არ ექვემდებარება და რაიმე ვადების დაწესება ფაქტობრივად ამ უფლების აკრძალვას ნიშნავს. ამასთან, ეროვნული სუვერენიტეტისა და სახელმწიფოთა უფლებამონაცვლეობის პრინციპების შესაბამისად ქონებრივი პრეტენზიები არ შეიძლება ბარიერს ქმნიდეს ერის თვითგამორკვევის გზაზე. ამდენად, გასვლის უფლების რეალიზაციის შვიდსაუცხურიანი სისტემა ფაქტობრივად ახალ კანონს სსრ კავშირიდან გაუსვლელობის კანონად აქცევს.

თანამედროვე საქართველო დგას ალტერნატივის წინაშე: გააგრძელოს თვითი პოლიტიკური არსებობა ფედერაციის ჩარჩოებში, დადოს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება და მოიპოვოს განსაკუთრებული სამოკავშირეო სტატუსი თუ თვითონ აღიდგინოს დაკარგული სრულხელისუფლებიანობა.

უურნალის მომდევნო ნომრებში შევეცდებით მიეთხველს მივაწოდეთ შეციერი-იურისტებისა და პოლიტიკოსების მოსაზრებები დასმულ პრობლემებზე.

საქართველოს კონსტიტუცია

მღვდელის საქართველოს დამოუკიდებლი პრიზის მიერ 1921 წლის
თებერვლის 21

საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება, — არჩეული პირდაპირი, თანას-
წორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორი-
ვე სქესის მოქალაქეთა მიერ, — თავის პირველსავე სხდომაზე 1919 წელს,
მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით
იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წლის მაი-
სის 26-ს ნაშუადლევის 5 საათსა და 10 წუთს ტფილისში გამოცხადებულს
საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აჭტა:

საქართველოს დამოუკიდებლობის პრტბი:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც
დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისგან შევიწრო-
ებული საქართველო თვისი ნებით შეუერთდა რესეთს იმ პირობით, რომ რე-
სეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისგან დაეცვა.

რესეთის დიდი რევოლუციის მსელელობამ რესეთში ისეთი შინაგანი
შეცვლება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაშალა და
რესის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

დარჩნენ-რა თვისი ძალონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად
ამიერ-კავკასიამ თვით იდვეს თავსა საკუთარი საქმეების გაძლოლა და პატ-
რონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავ-
ლენით ამიერ-კავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერ-
კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს,
რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მი-
სი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და
დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო 1917 წელს, ნოემბრის
22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია
და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

- 2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა არის.
- 3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივ ნეიტრალი სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით - კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თაფისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგების საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება უროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებით მთავრობა. რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

თავი პირველი

ზოგადი დებულებათი

მუხლი 1.

საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.

მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

მუხლი 2.

საქართველოს დედაქალაქი არის ტფილისი.

მუხლი 3.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

მუხლი 4.

საქართველოს რესპუბლიკის დროშა

არის — შვინდის ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა.

საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით.

მუხლი 5.

ყოველ კანონსა და სავალდებულო დადგენილებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, უკეთუ გამოცხადებულია სათანადო წესით.

მუხლი 6.

სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია.

სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება ან საღავო საზღვრების შესწორება შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

მუხლი 7.

აღმინისტრისტრიციული დაყოფა და თვითმართველ ერთეულთა საზღვრების და-

წესება და შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

ვება წარმოშობით, ქორწინებით და ნაზაღულებით.
ტურალიზაციით.

მუხლი 8.

კონსტიტუციის სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება. რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედა აზრის წინააღმდეგია.

კონსტიტუციის შესრულება და მისი პრინციპების გახორციელება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში სახელმწიფოს უფლების ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს.

მუხლი 9.

კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული და გამოქვეყნებული კანონი და დეკრეტი ძალაში ჩერება, უკეთუ კონსტიტუციასა და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგია.

მუხლი 10.

ეს კონსტიტუცია ძალაშია მუდმივ და შეუწყვეტლივ, იმ შემთხვევის გარდა, რომელიც ამავე კონსტიტუციას აქვს გათვალისწინებული.

მუხლი 11.

დამტკაცებისა და მიღების შემდეგ კონსტიტუციის აქვეყნებს დამფუძნებელი კრება თავის წევრთა ხელმოწერით.

თავი გეორგი

მოქალაქეობა

მუხლი 12.

საქართველოს მოქალაქეობა მოიპო-

მუხლი 13.

საქართველოს მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ.

მუხლი 14.

საქართველოს მოქალაქეს შეუძლია უარი განცხადოს საქართველოს მოქალაქეობაზე მხოლოდ თავის სახელმწიფოებრივ მოვალეობის შესრულების შემდეგ.

მუხლი 15.

მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის პირობებს დაწვრილებით კანონი განსაზღვრავს.

თავი გეორგი

მოქალაქეობის უფლებანი

მუხლი 16.

მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან.

მუხლი 17.

წოდებრივი განსხვავება არ არსებობს.

მუხლი 18.

ხარისხის მინიჭება გარდა აკადემიურისა აკრძალულია. ორდენი გაუქმებულია.

საომარი მოქმედების დროს თავის გამოჩენისათვის შეიძლება მიეცეს წარჩინების ნიშანი.



მუხლი 19.

საქართველოს კულტურული და სპორტის მინისტრი

სიკვდილით დასჭა გაუქმებულია.

მუხლი 20.

არ შეიძლება დასჭილი იქნეს ვინმე სხვაფრივ; თუ არ სასამართლოს წესით; გამონაკლისია კანონით განსაზღვრული დისციპლინარული წესი.

მუხლი 21.

ყოველი მოქალაქე გასამართლებულ უნდა იქნეს საერთო წესით.

მუხლი 22.

პიროვნება ხელშეუხებელია; არ შეიძლება შეპყრობილ ან სხვაფრივ თავისუფლებას მოკლებულ და პირადად გაჩერეკილ იქნეს ვინმე, თუ არ სასამართლოს ან საგამოძიებლო ორგანოს დასაბუთებული ბრძანების ძალით.

მუხლი 23.

აღმინისტრის შეუძლია თავისი უფლებით შეიძლოს ვინმე შემდეგ შემთხვევაში:

ა) როცა ბოროტმოქმედს ზედ დანაშაულის ადგილას მიასწრებს;

ბ) როცა დანაშაულის ადგილას დაზარალებული, ან დამსრუ ვინმე ბოროტმოქმედს ხელს დაადებს;

გ) როცა მას, ვიზედაც ეჭვი მიტანილია, რაიმე გასამტკუნებელი ნივთი აღმოაჩნდება, ან როცა მის ტანზე, ან მის ბინაზე დანაშაულის აშკარა ნიშანი და კვალი აღმოჩნდება.

მუხლი 24.

დამნაშავის დაკავება შეუძლია კერძო პირსაც, თუ დანაშაულის ადგილას მიასწრებს და ამასთანავე აღმინისტრა-

ცის მოსვლამდის მისი მიმალუამონი სალოდნელია.

მუხლი 25.

როგორც სასამართლოს ორგანოთა, ისე აღმინისტრაციის ბრძანებით შეპყრობილი, 24 საათის განმავლობაში უახლოეს სასამართლოში უნდა იქნეს წარდგენილი; თუ სასამართლო ისეა დაშორებული, რომ 24 საათში დამნაშავის წარდგენა შეუძლებელია, ეს ვადა განგრძობილ უნდა იქნეს ადგილობრივ გარემოების მიხედვით, მხოლოდ არა უმეტეს 48 საათისა.

მუხლი 26.

სასამართლო ვალდებულია წარდგენილ პირს დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 24 საათისა, დაპირობის; ხოლო შემდეგ წერილობითი ბრძანება გასცეს ან მისი შეპყრობის განგრძობისა, ან დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის.

მუხლი 27.

სასამართლოს სათანადო ორგანოები ვალდებული არიან, უკეთუ რაიმე გზითა და საშვალებით ემცნოთ, რომ ვინმე ზემოაღნიშნულ წესთა დარღვევითაა შეპყრობილი, დაუყოვნებლივ გამოიძიონ საქმე და წერილობითი ბრძანება გასცენ ან მისი განთავისუფლებისა ან შეპყრობის განგრძობისა.

მუხლი 28.

ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია: მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება მისი გაჩერეკა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 29.

კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუხებე-

ლია, მისი ამოხმა და გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

მუხლი 30.

ყოველი მოქალაქე მიმოსვლასა და ბინადრობის არჩევაში სრულიად თავისუფალია; ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება.

მუხლი 31.

ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მოქალაქის დეკნა და მის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სპრატმუნოება გამოიცვალოს, ან და არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს.

სარწმუნოებისა და რწმენის მომიზეზებით მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მოვალეობის ასრულებაზე უარის თქმა არავის შეუძლია, გარდა იმ შემთხვევის, რომელიც ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

სარწმუნოებრივი ხასიათის აქტებს არავითარი გავლენა არა აქვს მოქალაქეობრივ უფლებასა და მდგომარეობაზე.

მუხლი 32.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ლონისძიებით თავისი აზრები გამოსთვევას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვეს, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

მუხლი 33.

საქართველოს რესპუბლიკის მოქა-

ლაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიქრიბნენ საჭაროთ და უიარალოთ, როგორც კერქვეშ, ისე გარეთ.

მუხლი 34.

თუ კრებამ დანაშაულის ხასიათი მიიღო, აღმინისტრაციას შეუძლია დახუროს იგი.

მუხლი 35.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად დააარსონ საპროფესიო და სხვა ყოველგვარი ჯავშირი, თუ მისი მიზანი კანონით არ არის აქტითალული; კვშირის გაუქმება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება.

მუხლი 36.

გონიერივი, სავაჭრო და სამეურნეო-სამრეწველო პროფესიის თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფილია რესპუბლიკის კანონებით.

მუხლი 37.

პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება უზრუნველყოფილია.

მუხლი 38.

მუშათა გაფიცვა თავისუფალია.

მუხლი 39.

ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ ისე სამოქალაქო, ეკონომიკურ და საოჯახო უფლებით.

მუხლი 40.

ქორწინება ემყარება უფლებრივ

მუხლი 44.

დიდი ეპიდემიის დროს მთავრობას უფლება აქვს შეაჩეროს დროებით მე-22, 25, 26 და 30 მუხლში აღნიშ-ნულ უფლებათა გარანტია, რამდენა-დაც ამას ეპიდემიასთან ბრძოლა მო-ითხოვს.

მუხლი 45.

კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გა-რანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომე-ლიც იქ არ არის მოხსენიებული, მაგ-რამ თავისთვის გამომდინარეობს კონ-სტიტუციის მიერ აღიარებული პრინ-ციპებისაგან.

თავი მთავრობა

პარლამენტი

მუხლი 46.

საქართველოს რესპუბლიკის წარმო-მადგენლობითი ორგანო არის „სა-ქართველოს პარლამენტი“, რომელიც შედგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციუ-ლი წესისამებრ არჩეულ დეპუტატები-საგან. არჩევნებში მონაწილეობის უფ-ლება აქვს სქესის განურჩევლად ყო-ველ სრულუფლებიან მოქალაქეს, რო-მელსაც ოცი წელი შელი შესრულებია.

პარლამენტი აირჩევა სამი წლის ვა-დიოთ.

მუხლი 47.

პარლამენტის არჩევნების წესს გან-საზღვრავს ცალკე კანონი.

მუხლი 48.

პარლამენტის წევრი პასუხისმგებაში არ მიცემა იმ აზრისა და შეხედულე-

თანასწორობასა და ნებაყოფლობას; ქორწინების ფორმასა და წესებს კანო-ნი განსაზღვრავს.

ქორწინების გარეშე და ქორწინება-ში მობილი უფლებითა და მოვალეო-ბით თანასწორნი არიან. დედას უფლე-ბა აქვს იძიოს და დამტკიცოს. ვინ არის მამა მის მიერ ქორწინების გარე-შე შობილისა: აგრეთვე ქორწინების გარეშე შობილს უფლება აქვს იძიოს თავისი მამა.

მუხლი 41.

პოლიტიკური დევნილი რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოხიზნული, სხვა სახელმწიფოს არ გადაეცემა.

მუხლი 42.

მოქალაქის უფლებათა დარღვევისათ-ვის, როგორც თანამდებობის, ისე კერ-ძმ პირი მიცემა პასუხისმგებაში, სის-ხლის სამართლის კანონების თანახმად.

მუხლი 43.

ამბოხებისა ან ომის დროს, პარლა-მენტს უფლება აქვს დროებით შეაჩე-როს მთელს რესპუბლიკაში, ან რომელ-სამე მის ნაწილში იმ უფლებათა გა-რანტია, რომელიც აღნიშნულია შემ-დეგ მუხლებში: 19, 22, 25, 26, 27, 28, 29, 30, 32, 33, და 38, ომის დროს — კი 21 მუხლში აღნიშნული გარანტიაც იმ პირობით, რომ სამხედრო სამართალ-ში მიცემა შესძლებელია მხოლოდ მოქმედი ჯარის მიერ დაკავებულ ტე-რიტორიაზე.

თუ პარლამენტი შეკრებილი არ არის, მთავრობას შეუძლია თავის პა-სუხისმგებლობით შეაჩეროს ზემოაღ-ნიშნულ გარანტიათა მოქმედება, მხო-ლოდ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს პარლამენტი და თავის დადგენილება წარუდგინოს.

ბისათვის. რომელსაც გამოსთვევაში თავის მოვალეობის ასრულების დროს.

პარლამენტის წევრის პიროვნება ხელშეუტებელია, არ შეიძლება შეპყრობილ ან სამართალში მიცემულ იქნეს იგი. ვიდრე პარლამენტის წევრად ითვლება. თუ თვით პარლამენტმა ამის ნება არ დართო, გამონაკლისია ისეთი შემთხვევა. როცა დანაშაულის ჩადენაზე მიასწრებენ.

ეს შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს;

შეპყრობილი ან სამართალში მიცემული პარლამენტის წევრი განთავისუფლებულ უნდა იქნეს. თუ პარლამენტი ამას მოითხოვს.

მუხლი 49.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტების გამო, რომელიც მას გაანდვეს. როგორც დეპუტატს, ეს უფლება არ ეკარგება მაშინაც როცა დეპუტატიდ აღარ ითვლება.

მუხლი 50.

პარლამენტის წევრებს მიეცემათ კანონით განსაზღვრული გასამრჯელო.

მუხლი 51.

პარლამენტის წევრობისა, მოხელეობისა და პროფესიის შეუთავსებლობის საკითხს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 52.

ხელმშიფება ეკუთვნის მთელს ერს. პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში აზროვნელებს ერის ხელმშიფების.

მუხლი 53.

პარლამენტი გამოსცემს კანონსა,

დეკრეტსა და დადგენილებას, მათი განსაზღვრული მოქვეყნების წესი ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

მუხლი 54.

პარლამენტის უფლება:

- კანონმდებლობა;
- უმაღლესი გამგებლობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველ შეარაღებული ძალისა;
- ომის გამოცხადება;
- დამტკიცება საზაონ, საგაჭრო და მგვარ ხელშეკრულობისა უცხო სახელმწიფოებთან;
- ამნისტია;
- პიუკეტის დამტკიცება;
- საშიხაო და საგარეო სესხის აღება;

- თანამდებობის პირთა არჩევა, კონსტიტუციით ან კანონით მისდა მიკუთვნებული, და
- საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა.

მუხლი 55.

პარლამენტის სხდომა საჯაროა; მაგრამ პარლამენტს შეუძლია განსაკუთრებული დადგენილებით თავის სხდომა, ან ნაწილი სხდომისა ფარულად გამოაცხადოს.

მუხლი 56.

პარლამენტი თვითონ გაარჩევს თავის წევრთა არჩევნების კანონიერებას და გადასწყვეტის ყოველსავე დავას ამ საგანზე.

მუხლი 57.

პარლამენტი ყოველ საკითხს სწყვეტს ხმის მარტივი უმრავლესობით, თუ რეგლამენტით ან კანონით სხვა წესი არ არის მიღებული.

მუხლი 58.

პარლამენტის გახსნა მხოლოდ მაშინ
შეიძლება, თუ დეპუტატთა საერთო
რიცხვის ნახევარზე მეტი გამოცხადდა.

მუხლი 59.

პარლამენტის წევრთ უფლება აქვთ
მთავრობის მიმართ შეკითხვის შეტა-
ნისა და კითხვის მიცემისა. წესი შე-
კითხვის შეტანისა და კითხვის მიცემი-
სა განისაზღვრება კანონით ან რეგლა-
მენტით.

პარლამენტს უფლება აქვს დანიშნოს
საგამოძიებო საანკეტო კომისია.

მუხლი 60.

პარლამენტი თვითონ განსაზღვრავს
რეგლამენტით თავის მოქმედების წესს.

მუხლი 61.

პარლამენტი იკრიბება ყოველწლივ
ნოემბრის პირველ კვირა დღეს, ახალი
პარლამენტის არჩევნები ინიშნება შე-
მოდგომაზე, ერთსა და იმავე დროს
მთელს რესპუბლიკაში, იმ ვარაუდით,
რომ ახლად არჩეული დეპუტატები და-
ესწრენ პარლამენტის გახსნას.

მუხლი 62.

პარლამენტის მუშაობის დროებით
შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ
პარლამენტის გადაწყვეტილებით.

როცა პარლამენტის მუშაობა შეწყვე-
ტილია, მისი მოწვევის უფლება ვან-
საკუთრებულ შემთხვევისათვის აქვს
მთავრობას, ან პარლამენტის პრეზიდი-
უმს.

პარლამენტის შეკრება სავალდებუ-
ლოა, თუ ამას დეპუტატთა ერთი მე-
ოთხედი მოითხოვს.

მუხლი 63.

ინიციატივის უფლება ეკუთვნის:

- პარლამენტის ყოველ წევრს, და
- 5,000 მომზრჩეველს.

მუხლი 64.

თუ ოცდათი ათასმა ამომზრჩეველმა
წერილობით მოითხოვა, პარლამენტი
ვალდებულია ახლად მიღებული კანო-
ნი სარეფერენციულო ხალხს წარუდგი-
ნოს.

რეფერენციულის წესს განსაზღვრავს
კანონი.

მუხლი 65.

პარლამენტი ყოველწლივ ირჩევს
პრეზიდიუმს.

თავი მასუთა

აღგასრულებალი ხელისუფლება

მუხლი 66.

უმაღლესი მართველობის აღმასრუ-
ლებელი ხელისუფლება ეკუთვნის რეს-
პუბლიკის მთავრობას.

მუხლი 67.

მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რო-
მელსაც ირჩევს პარლამენტი ერთი
წლის ვადით, ერთი და იგივე პირი
შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ
მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 68.

მთავრობის დანარჩენ წევრებს—მი-
ნისტრებს იწვევს მთავრობის თავმჯ-
დომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთა-
გან, რომელთაც პარლამენტის არჩევ-
ნებში მონაწილეობის უფლება აქვთ.

მუხლი 69.

მთავრობის წევრს არ შეუძლია იმავე დროს რაიმე სხვა თანამდებობა ეჭიროს, ან რომელსამე პროფესიას მისდევდეს; შეუძლია იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრი და ადგილობრივი თვითმართველობის ხმოსანი.

მუხლი 70.

მთავრობის თავმჯდომარეს ენიჭება რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა; იგი ნიშნავს ელჩებს სხვა სახელმწიფოებში და უცხოეთის ელჩები წარმოიგზავნებიან მასთან.

განსაკუთრებულ გარემოებაში, უკეთე მთავრობის დადგენილების გამოტანა დაბრკოლებულია, თავმჯდომარეს შეუძლია გამოიწვიოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა, რაც დაუყოვნებლივ უნდა მოხსენდეს პარლამენტს.

თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებასა და განკარგულებას კანონის აღსრულებისათვის, მაგრამ უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს, ან მისი შესრულება დაბრკოლოს.

მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავის განკარგულებით დანიშნოს რევიზია მართველობის ამა თუ იმ დარგისა, ადგილის ან მოვლენისა კანონში აღნიშნულ წესისამებრ.

თავმჯდომარეს არა აქვს არავითარი განსაკუთრებული უფლება, იმის გარდა, რაც, ამ კონსტიტუციით არის მისდა მიკუთვნებული.

მუხლი 71.

მთავრობის თავმჯდომარეს პყავს მოადგილე, რომელიც ასრულებს მის მოვალეობას მთავრობაში.

მუხლი 72.

მთავრობის საერთო უფლება და მოვალეობაა:

- ა) რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა, თანახმად კანონისა;
- ბ) თვალ-ყურის დევნა და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა;
- გ) წარდგენა პარლამენტის წინაშე თავის კანონპროექტისა, აგრეთვე დასკვნისა იმ კანონპროექტის შესახებ, რომელიც პარლამენტისა ან ხალხის ინიციატივით არის შემოსული;
- დ) დაცვა რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა;

ე) უზრუნველყოფა რესპუბლიკისა გარეშე განსაკუდელისაგან და დაცვა მისი დამოუკიდებლობისა;

ვ) ზრუნვა შინაური წესიერებისა და უშიშროების დაცვისათვის.

მოულოდნელ შემთხვევაში, თუ სპიროებამ მოითხოვა, მთავრობას უფლება აქვს თავის დადგენილებით გამოიყვანოს შეიარაღებული ძალა, ვადით არა უმეტეს 21 დღისა, უკეთუ მეტის ვადით დასკირდა, პარლამენტისაგან უნდა მიიღო ნებართვა.

ზ) განაგოს ფინანსები, სპრას ფული თანახმად კანონისა, და ყოველ წლივ წარუდგინოს პალამენტს შემოსავალგასავლის საგარაუდო აღრიცხვა ბიუჯეტი;

ტ) ანგარიში აძლიოს პარლამენტს თავის მოქმედებისა და წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგინოს მოხსენება საქართველოს შინაგან და საგარეო მდგომარეობის შესახებ; წარუდგინოს აგრეთვე განსაკუთრებული მოხსენება, უკეთუ პარლამენტმა მოითხოვა, და

ო) შეასრულოს ყოველივე, რაც კანონის ან პარლამენტს მისთვის დაუვალებია.

მუხლი 73.

რესპუბლიკის დანარჩენს საქმეთა მართვა-გამგეობა განაწილებულია მთავრობის წევრთა შორის. თვითეული მათგანი დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პისუხისმგებლობით განაგებს მისთვის მინდო-



ბილ უწყებას და უნდა გადადგეს, როცა პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით დაკარგავს მის ნიღბას.

მინისტრს უფლება აქვს პარლამენტში ხმის მიცემისა მხოლოდ მაშინ, როცა დეპუტატად იჩიცხება.

მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის, ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილების და ასრულოს იგი და მის მიხედვით, თუ საჭიროა გამოსცვალოს ცალკე მინისტრი ან გარდაქმნას მთელი კაბინეტი.

მუხლი 74.

მთავრობის ყოველ წევრს უფლება აქვს პარლამენტისა და მისი კომისიის სხდომას დაესწროს. თუ მინისტრმა მრიოთხოვა, პარლამენტი და მისი კომისია ვალდებულია მოუსმინოს. თავის მხრით პარლამენტისა და კომისიის მოთხოვნით მინისტრიც ვალდებულია სხდომაზე გამოცხადდეს და ახსნა-განჩარტება მისცეს.

მუხლი 75.

კონსტიტუციის დარღვევისათვის მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები პასუხისმგებელი არიან სასამართლოს წინაშე. მათი პასუხისმგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ პარლამენტს. მათი გასამართლება საერთო წესით სწარმოებს.

თავი 80 გეგმვა

სასამართლო

მუხლი 76.

საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო — სენატი, რეგელსაც იჩიებს პარლამენტი. სენატი მოვალეა:

ა) თვალყური აღევნოს კანონის, უკავიარებული ვასა, და

ბ) განაგოს სასამართლო ნაწილი, როგორც საკასაციო სასამართლომ.

მუხლი 77.

სამოქალაქო, სისხლისა და აღმინისტრაციული სამართლის საქმეთა საწარმოებლად არსებობს მუდმივი სასამართლოები.

სასამართლოს ორგანიზაცია, იურისდიქცია და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით.

მუხლი 78.

სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება.

მართლმსაჯულება სწარმოებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით.

მუხლი 79.

სასამართლოს არც ერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმდებულ, შეცვლილ, ან შეჩერებულ იქნეს კანონმდებელი, აღმასრულებელი ან აღმინისტრაციული ორგანოს მიერ.

მუხლი 80.

სასამართლოს სხდომა საჯაროა; მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს ზნეობისა და საზოგადო მშეიღობიანობის დაცვის ინტერესის, სხდომა შეიძლება კარდაცურულ იქნეს თვით სასამართლოს დაგენილებით.

მუხლი 81.

მძიმე სისხლის სამართლის, და აგრეთვე, პოლიტიკურის და ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

მოსამართლე არჩევა ვადით. არჩევის შესი და პირობა, რომელსაც უნდა აქმაყოფლებდეს მსაჭული. კანონით განისაზღვრება.

არ შეიძლება სასამართლოს წევრის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყენა მისი სურვილის წინააღმდეგ. გარეშე სასამართლოს დადგენილებისა.

თანამდებობიდან მისი დროებით გადაყენება შეიძლება მროლდ მაშინ, როცა სამართალში ან გამოძიებაში არის მიუყემული.

სტულიდ დათხოვნა-კი შეიძლება სასამართლოს განაჩენის ძალით.

თავი 84. მეშვიდე

სახლმშილო პინანდა

არცერთი სახელმწიფო გადასახადი არ შეიძლება დაწესებულ ან აკრეფილ იქნეს. თუ წინასწარ პარლამენტის მიერ არ იქნა დადასტურებული.

შენიშვნა: ადგილობრივი თვითმართველობის გადასახადთა დაწესების უფლებას კალკ კანონი განსაზღვრავს.

საბერძნებით გადასახადისაგან ვერავინ განთავსეუფლდება. თუ არ კანონის ძალით.

თუ არ კანონის ძალით არავითარი პენსია, ჯილდო და საზოგადო ჩარჭი არ შეიძლება გადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან.

7. „სამართლით და სამართლით“; შპ. რ.

პარლამენტის ნებადაურთველად არ შეიძლება აღებულ იქნეს სახელმწიფო სესია და ან რამე ფინანსიური ვალდებულება.

სახელმწიფოს ყოველი შემოსავალ-გასავალი ბიუჯეტში უნდა იქნეს აღნიშნული. ბიუჯეტი ყოველწლიურ უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

თუ ბიუჯეტის დამტკიცება პარლამენტმა უკრ მოასწორ საანგარიშო წლის დამდეგამდე, მთავრობას უფლება ეძლევა სახელმწიფო ხარჯები ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით დაპფაროს პარლამენტის ნებართვით.

ჩარჭის გადატანა ბიუჯეტის ერთი პარაგრაფიდან მეორეში არ შეიძლება პარლამენტის ნებადაურთველად.

თავი 89. მეხავა

სახლმშილო კონტროლი

სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორით ასრულება;

ბ) სახელმწიფო ყოველნაირი შემოსავალი და გასავალი;

გ) მთავრობის და სხვა უწყების ხარჯთაღრიცხვა და ანგარიში, და:

დ) ადგილობრივი თვითმართველობის ფინანსები კანონის თანახმად.

მუხლი 92.

სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს პარლამენტი. იგი არ ითვლება მინისტრთა კაბინეტის წევრად, მაგრამ აღჭურვილია მინისტრის უფლებით და პასუხის მგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. იგი ყოველწლიურად ანგარიშს უდგენს პარლამენტს.

მუხლი 93.

კონტროლის ორგანიზაცია და მოქმედების წესი განსაზღვრულია კანონით.

თავი 86ცხრი

სახელმწიფო თავდაცვა

მუხლი 94.

ყოველი მოქალაქე რესპუბლიკისა ვალდებულია პირადად მოიზარდოს სამხედრო ბეგარა კანონის თანახმად.

მუხლი 95.

სამხედრო ძალთა დანიშნულება არის დაცვა რესპუბლიკისა და მისი ტერიტორიისა.

მუხლი 96.

სამხედრო ბეგარის ვადა და სამხედრო ძალთა ყოველი მოწყობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 97.

სამხედრო ბეგარის მოსახლეებად გასწვევ ახალგაზრდათა რაოდენობას ყოველწლივ პარლამენტი ამტკიცებს.

მუხლი 98.

ადგილობრივი თვითმართველობა არის იმავე დროს ორგანო ადგილობრივი მართველობისა და განაგებს ადგილობრივ გამგეობის კულტურულ განვითლებელ და სამეურნეო საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

მუხლი 99.

ადგილობრივი თვითმართველობის ორგანიზაცია, უფლება-მოვალეობა და მართვა-გამგეობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 100.

ადგილობრივ თვითმართველობას უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება თანახმად კანონისა.

მუხლი 101.

ადგილობრივი თვითმართველობა ირჩევა სიყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით.

მუხლი 102.

ადგილობრივ თვითმართველობის დადგენილება და განკარგულება შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხალოდ სასამართლოს წესით.

მუხლი 103.

მთავრობის ცენტრალ ორგანოებს უფლება იქცო შეაჩერონ ადგილობრივი თვითმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ იგი ეწინააღმდევ-

გება კანონს ზოლო ვალდებული არი-
 ან საქმე დაუყოვნებლივ სასამართლოს
 გადასცენ. წესი და პირობა შეჩერები-
 სა განისაზღვრება კანონით.

მუხლი 104.

ადგილობრივი თვითმართველობა მართვა-გამგეობის საქმეში ემორჩილება მთავრობის ცენტრალ ორგანოებს.

მუხლი 105.

იმ საგნებს, რომლის შესახებაც ად-
 გილობრივი თვითმართველობის დაღ-
 ენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს
 ცენტრალ ხელისუფლების მიერ, გან-
 საზღვრავს კანონი.

მუხლი 106.

ადგილობრივ თვითმართველობას ენიჭება საბიუგეტო უფლება, ცალკე კანონით განსაზღვრული.

თავი მეთართხათ

აპრილის 10-ით გადატვილი

მუხლი 107.

საქართველოს რესპუბლიკის განუ-
 ყოფელ ნოტილებს — აფხაზეთს (სოხუ-
 მის ოლქი), სამუსლიმანო საქართვე-
 ლოს (ბათუმის მთარე) და ზაქათალას
 (ზაქათალის ოლქი), ენიჭებათ ადგი-
 ლობრივ საქმეებში ავტონომიური
 მმართველობა.

მუხლი 108.

წინა მუხლში მოხსენებულ ავტონო-
 მიურ მმართველობათა დებულებანი
 შემუშავებულ იქნება კალკე კანონით.

თავი მეთორთხათ

საქართველოს მთავრობა და სკოლა

მუხლი 109.

ხელოვნება, მეცნიერება და მათი
 სწავლები თვითმართველობის სახელმწიფოს
 მოვალეობაა მფარველობა გაუწიოს
 და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

მუხლი 110.

პირველდაწყებითი სწავლა საყოველ-
 თაო, უსასყიდლო და სავალდებულოა.
 საზოგადო სკოლების სისტემა ერთს
 ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენს,
 სადაც პირველდაწყებითი სკოლა სა-
 ფუძველია საშვალო და უმაღლესი
 სკოლისა.

სწავლა-განათლება ყველა საფეხუ-
 რის სკოლებში საერთო.

მუხლი 111.

სახელმწიფო მიზნით ისახავს: პირ-
 ველდაწყებით სკოლაში ულარიბეს ბავ-
 შეებს საზრდო, ჩასამელ-დასახური და
 სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცეს. ამ
 მიზნის გასახორციელებლად სახელმწი-
 ფო და ადგილობრივი თვითმართვე-
 ლობანი თვის შემოსავლის ერთ ნა-
 წილს გადასცებენ ყოველ წლიურად.

მუხლი 112.

კერძო თაოსნობით დაარსებული
 სკოლა ემორჩილება საერთო სასკოლო
 კანონს.

თავი მეცაშათ

სოციალ-ეკონომიკი უფლებანი

მუხლი 113.

რესპუბლიკა ზრუნავს თვის მოქალა-

ქეთა ლიტერატური არსებობისათვის.

მუხლი 114.

საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ორგანიზაციის, საზოგადოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური თუ კანონში სხვა გვარად ან არის განსაზღვრული.

მუხლი 115.

რესპუბლიკას აქვთ საკუთარი სააღმინცემო და სამრეწველო მეურნეობა, რომლის გაფართოვება და ერთი მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნა მისი მთავარი მიზანია.

რესპუბლიკა ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანიზაციისა და საერთაშორისო მეურნეობის გაფართოვებას და გაძლიერებას.

რესპუბლიკას შეუძლია კანონმდებლობის გზით გაასაზოგადოოს ის სავაჭრო სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო დარგი და წარმოება, რომელიც ამისათვის გამოსადევია.

მუხლი 116.

წვრილი მწარმოებლის — სოფლის მეურნეობის, ხელოსანის, შინამრეწველის — შრომის ნაყოფის დაცვა კერძო პირთა ექსპლოატაციისაგან სახელმწიფოს განსაკუთრებული საზრუნავი საგანია.

რესპუბლიკის განსაკუთრებული საზრუნავია აგრეთვე სოფლის მეურნეობის აყვავება; მიწის დამუშავება და გამოყენება შეაღენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

მუხლი 117.

შრომა საფუძველია რესპუბლიკის არსებობისა და მისი უზრუნველყოფა

რესპუბლიკის განსაკუთრებული მუხლებისათვის.

მუხლი 118.

რესპუბლიკის კანონმდებლობის ადგილობრივ თვითმმართველობას ევალება დაარსოს შრომის ბირჟა, საშვამავლო კანტორა და სხვა მემკვიდრეობის სამუშაოს უმუშევრობა, რომელიც იღნება სამუშაოს უმუშევრობის და შუამავლობას გაუწევს სამუშაოს შოვნაში.

მუხლი 119.

უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით.

მუხლი 120.

მოხუცებულობით, დაავადებით თუ სხვა მიზეზით შრომის უნარს მოკლებული მოქალაქე, რომლისთვისაც ზრუნვა კანონით ან ჩვეულებით დავალებული არა აქვთ მემკვიდრეობა, მზრუნველს, მწარმოებელს ან სხვა კერძოსათვის საზოგადოებრივ დაწესებულებას, და რომელსაც არსებობის სახსარი არ მოეპოვება, მიიღებს დახმარებას სახელმწიფო ხაზინიდან დაზღვევით ან სხვა სახით. ასევე დაეხმარება ხაზინა, უკეთუ მემკვიდრეს ან მზრუნველს შრომის უნარდაკარგულის რჩენა არ შეუძლია.

მუხლი 121.

დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაპკარგავს საესებით ან ნაწილობრივ შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით თავის ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შესდგეს დამქირავებელზე შეწერილ საგანგებო გადასაზადისაგან.

მუხლი 122.

გარდა საგანგებო ან ამ მიზნით შეწრილი გადასტადისა ზემოსლნიშნულ მოვალეობათ ასასრულებლათ ჩესპუბლიკის შემოსავლიდან უნდა გადიდოს ყოველ წლიურად განსაზღვრული ნაწილი.

მუხლი 123.

ნორმალური სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს კერძოში 48 საათს; ამასთანავე კერძოში ერთხელ მუშა უნდა ისვერნებდეს განუწყვეტლივ 42 საათს. გამონაკლისს სამუშაო დროს შესარებ განსაზღვრავს კანონი.

სასოფლო მეურნეობასა და სხვა სასეზონო წარმოებაში სამუშაო დროის შეფარდება განსაკუთრებულ პირობებთან განისაზღვრება კანონით.

მუხლი 124.

წარმოებაში 16 წლამდის ყმაწვილის შრომა აკრძალულია; 16-18 წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო განისაზღვრება და საათთ დღეში; მოზარდთა და საზოგადოთ ქალთათვის ღამით მუშაობა აკრძალულია.

მუხლი 125.

რესპუბლიკის საზრუნვაზი საგანია განსაზღვროს მინიმუმი ხელფასი და შრომის ნორმალური პირობანი წარმოებაში.

ასედება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა. რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს დამჭირავებელთაგან.

მუხლი 126.

განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის

მავნე წარმოებაში; მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლებ ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯიმაგირის მოუსპობლად; დამჭირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები.

მუხლი 127.

შრომის დამცველ კანონების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს იგებენ სისხლის სამართლის წესით.

მუხლი 128.

რესპუბლიკის და აღგილობრივ მმართველობას ევალება დედობის და ბავშვების დაცვისათვის მზრუნველობა.

თავი მთოთხევი

ეროვნულ უსამართლებრივი უფლება

მუხლი 129.

არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.

ყველას აქვს უფლება სწეროს, პბეჭილოს და ილაბარაკოს დედა-ენაზე.

მუხლი 130.

ეროვნულ უმცირესობისაგან შემდგარი აღგილობრივ თვითმმართველობის ერთეულებს (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შეერთდნენ და დაარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და ვასაძლო-

ლად კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში.

ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც ასეთი თვითმმართველობის ორგანოები არ მოექოვება. შეუძლია ამის გარეშეც შეადგინოს ეროვნული კავშირი ამ მუხლში აღნიშნულ უფლებითა და კომპეტენციით.

ეროვნულ კავშირში შესვლა ხდება სალაპარაკო ენის მიხედვით.

ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელ საკიროებათა დასაქმაყოფილებლად სახელმწიფო და თვითმმართველობათა ბიუგეტიდან გადაიღება ფინანსიური საშვალებები პროპორციულად მცხოვრებთა რაოდენობისა.

მუხლი 181.

არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობისას.

მუხლი 182.

ყოველ ეროვნულ კავშირს შეუძლია აღძრას და დაიცვას სასამართლოს წინაშე ის საქმე, რომელიც ეხება კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

მუხლი 183.

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო თუ საერობო სამსახური.

მუხლი 184.

ეროვნულად ნაჩევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გადადებული თანხით დაარსოს საქმაო რიცხვი სკოლე-

ბის და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებისა მოქალაქეთა ეროვნულ შედგენილობის პროპორციის მიხედვით.

მუხლი 185.

ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბაგჟვის სალაპარაკო ენაზე.

მუხლი 186.

ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც.

მუხლი 187.

არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს.

დაწერილებით წესს განსაზღვრავს კანონი.

თავი გეთაცთავაზე

სახალაფიცო მოხალანი

მუხლი 188.

საქართველოს მოქალაქე შეიძლება მიღებულ იქნეს ყოველ თანამდებობაზე, თუ კანონის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

მუხლი 189.

მოხელე ან თანამდებობის პირი შეიძლება, გადაყენებულ ან დისციპლი-

ნარულ წესით დასჭილ იქნეს იმ დაწე-
სებულების ან უფროსის განკარგულე-
ბით, ვისგანაც იყო მიღებული; ხოლო
სამსახურიდან სრულიად დათხოვნის
წესს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 140.

თვითეულ მოხელეს აქვს უფლება
პენსიის მიღებისა. მოხელისა და მისი
ოჯახის წევრთა მიერ პენსიის მიღების
პირობას განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 141.

თვითეული მოხელე პასუხისმგებე-
ლია სასამართლოს წინაშე საერთო წე-
სისამებრ.

მოქალაქეს უფლება აქვს პასუხისმგე-
ბაში მისცეს ყოველი მოხელე საზოგა-
დო წესით მისი დანაშაულისათვის.

მოქალაქეს უფლება აქვს მოსთხო-
ვოს მოხელის უკანონო მოქმედებით
მიყენებული ზარალის ანაზღაურება
საზელმწიფოს.

ანაზღაურების წესი და პირობა განი-
საზღვრება კანონით.

თავი გეთაქვსევთე

სახელმწიფო და მართვის

მუხლი 142.

სახელმწიფო და ეკლესია გაცალე-
ვებულნი და დამოუკიდებელნი არიან.

მუხლი 143.

არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს
უპირატესობა.

მუხლი 144.

ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზი-
ნიდან და ადგილობრივ თვითმართვე-

ლობათი თანხიდან სარწმუნოებრივ უზრუნველყოფა
საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალუ-
ლია.

თავი გეთაქვსევთე

პონსტიტუციის გადასინჯვის

მუხლი 145.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწი-
ლობრივი გადასინჯვის ინიციატივის
უფლება აქვს:

- ა) პარლამენტის წევრთა ნახევრის
არა ნაკლებსა და
- ბ) 50,000 ამომრჩეველსა.

მუხლი 146.

წინადადება კონსტიტუციის საზოგა-
დო ან ნაწილობრივი გადასინჯვისა პარ-
ლამენტის დღიურ წესრიგში დაისმის
განსახილველიდ არა უადრეს ექვსი
თვისა შეტანის დღიდან.

მუხლი 147.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწი-
ლობრივი გდასინჯვის პროექტი მიღე-
ბული უნდა იქნეს პარლამენტის ყველა
წევრთა ორი მესამედის უმრავლესო-
ბით. იგი ძალაში შედის მხოლოდ ხალ-
ხის უმრავლესობის მიერ დადასტურე-
ბის შემდეგ.

მუხლი 148.

საქართველოს დემოკრატიულ რეს-
პუბლიკის მართვა-გამერბის ფორმის
გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონ-
სტიტუციის გადასინჯვის წინადადების
საგნად.

მუხლი 149.

პირველ პარლამენტის შექრებამდე
მის მაგიერობას გასწევს დამფუძნებე-
ლი კრება.

ჩედაკციისაშან: დღეს შეიძლება იმის შესაძლებლობა, რომ ახლებურად, ობიექტურად გაშუქდეს გიგანტური თაბუდადებული ისტორიული მოვლენა. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე დაისვა რუსთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევისა და საქართველოს ანექსიის საკითხი. მოხდა პროგლობის საჯარო განხილვა. გამოძიების გეგმი საინირესო მასალა, წირილები, მათ შორის ი. ფუტბარაძის სამართლებრივი გამოკვლევა „არ უნდა დაგვრჩის „თითოე ლავაბი“ („კომუნისტი“, 1989 წლის 23 და 25 აგვისტო). ავტორი განასვავდა პროგლობის ორ მხარეს — ფაქტობრივად და სამართლებრივს. მას მიაჩნია, რომ რუსეთის ფედერაციამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ 1921 წლის თებერვალ-მარტი განახორციელა შეიარაღებული ინტერვენცია (აზრისი), საგვოთა უადგინებების ერთორთირება სამხადრო ოკუპაციის საფუძვლის („საგვოთა უადგინებები“, 1989, № 7, გვ. 4.). საგითხისაღი მიღობობს პრინციპი და მოვლენის ავტორისეული სამართლებრივი უფასავება არსებოთად გამოირჩებულია სამართველოსა და საგვოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაის დადგული ხელშეკრულების დარღვევის კოლეგიური და საგართლებრივი უფასავების საკითხთა კომისიის დასკვნაში, რომელიც განხილა და დაადასტურა სამართველოს უზინაში საგვოთა ცენტრ, ვიზიტორთ, გითხვისათვის საინირესო იჩნევა ი. ფუტბარაძის ზემოხსენებული სტატია.

ინარჩ ფუტბარაძი

¶

საქართველოს გასახმოვანი სამართლებრივი მემკვება

ჭართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთმიმართება საერთაშორისო-სამართლებრივ საქართველოს უნდა დამყარებოდა. ამ მხრივ განმსაზღვრელ სამართლებრივ აქტია იქცა ხელშეკრულება, რომელიც ორმხრივი მეცადინეობის შედეგად მოსკოვში 1920 წლის 7 მაისს დაიდო. მას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით ხელი მოაწერა დამფუძნებელი კრების წევრებმა გრიგოლ ურატაძემ, რუსეთის ფედერაციის მხარედან კი — საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოაღვილეს ლევ კარახანმა, რომელიც, სხვათა შორის, „პრესტის ზავის“ ერთ-ერთი ხელისმომმწერიც იყო (ლ. კარახანი, თბილისელი სომეხი, 15 წლის გიმნაზიელი იყო, როცა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შევიდა).

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება შედგენილია ორ ცალიდ რუსულ ენაზე (ქართულ პრესაში გამოკვეყნებული ტექსტი არაოფიციალურია). სასურველი იყო. რომ დედანი მეორე მხარის ენაზეც — ქართულადაც შეედგინათ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო სამართალი არ ცნობს ხელშეკრულების სავალდებულო ენას; იგი შეიძლება მხარეთა შეთანხმებით განისაზღვროს. საერთოდ, შესაძლებელია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება ნებისმიერ ენაზე დაიღოს.

ხელშეკრულება დაბეჭდილია ოფიციალურ, კანონთა გამოსაქვეყნებლად განკუთვნილ ბეჭდვით ორგანოებში (ასეთ გამოცემაში მოთავსებული ტექსტი კი ავთენტურია. დელნის ძალის მქონეა). მოქმედი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების კოდებულში. რომელიც რსფსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოსუა, იგი საზავო ხელშეკრულების სახელწოდებით შეტანილია კავშირ-ურთიერთობის დამყარების დოკუმენტთა განყოფილებაში.

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებამ ასახა რუსეთისა და საქართველოს იმდროინდელი სახელმწიფო კოდების ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. ამ მიზნებლოვანი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტით განმტკიცებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და საშინაო საქმეებში ჩაურჩევლობის პრინციპი. მხარეები პრემიერულაში (შესავალ ნაწილში) აცხადებდნენ, რომ ხელშეკრულების დადებისას ხელმძღვანელობდნენ საერთო სურვილით — დაემყარებინათ ორ ქვეყანას შორის მტკიცე და მშვიდობიანი ურთიერთობა თითოეულ მათგანში მცხოვრები ხალხების საკეთილდღეოდ. ერთი სიტყვით, 7 მაისის ხელშეკრულება უნდა გამხდარიყო საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მქონე ამ ორი ქვეყნის ხანგრძლივი მშვიდობიანი თანამასებობისა და მჭიდრო თანამშრომლობის მყარი სამართლებრივი საფუძველი.

სამუხაროდ, რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებამ ძალზე მოქლე ზანს, სულ რაღაც ცხრა თვის მანძილზე იმოქმედა. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის ჯარები შეიტრნენ საქართველოს ტერიტორიაზე. დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი. იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამარცხებით, მისი დამხობითა და საბჭოთა სისტემის შემოღებით დამთავრდა. ომშა, ცხადია, შეწყვიტა 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულების მოქმედება.

საჯაროობისა და გარდაქმნის დაწყებამდე მიღებული იყო შეხედულება, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაემხო ქართველი მშრომელების აჯანყებისა და მათი მოწვევით მოსული საბჭოთა ჯარების ინტერნაციონალური ჩარევის, რუსეთის ფედერაციის „ცოტაოდენი სამხედრო დახმარების“ შედეგად. ახლა მთელს საბჭოთა კავშირში დაიწყო ღირებულებათა გადაფასება, რაც საქართველოს გასაბჭოების პრობლემასაც შეეხო. ამასთან დაკავშირებით ფართოდ და მწვავედ წამოიჭრა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის ხელშეკრულების დარღვევის მიუყერძოებელი სამართლებრივი შეფასების საკითხი, დღეს „ჩვენ გვჭირდება, უწინარეს ყოვლისა, დაუმახინჭებელი,

სრული სიმარტლე სსრ კავშირში ეროვნებათშორის ურთიერთობათ განვითა-
 რების რეალური პროცესების შესახებ, ამის, შესახებ, თუ რამ გამოიწვია
 მწვავე კოლიზიები ეროვნებათშორის საქმეებში.. აქ არ უნდა დაგვრჩეს „თე-
 თრი ლაქები“, ყოველივე ეს აუცილებელია ნდობისა და ურთიერთობაგების
 განტრიცებისათვის“ (სკპ პლატფორმა — „პარტიის ეროვნული პოლიტიკა
 თანამედროვე პირობებში“).

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე 1989 წლის 29
 მაისს გამოცხადდა ქართველ სახალხო დეპუტატთა პოზიცია ყრილობისადმი
 და საქართველოსთან მიმართებით დაისვა რამდენიმე პრინციპული ხასიათის
 საკითხი (იხ. 1989 წლის 31 მაისის „იზვესტია“, 27 და 31 მაისის „კომუნის-
 ტი“ და 26 მაისის „თბილისის“).

ქვეყნის მთელი პოლიტიკური სისტემის არსებით შეცვლასთან დაკავ-
 შირებით ქართველმა დეპუტატებმა, კერძოდ, მოითხოვეს, რომ „დაიგმოს
 1921 წლის ოქტომბერის დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს
 რესპუბლიკის ანექსია, როგორც თანასწორუფლებიან სუვერენულ სახელმწი-
 ფოებს — დემოკრატიულ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ვ. ი.
 ლენინის მიერ მოწონებული 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების უხეში
 დარღვევა.

ამ ხელშეკრულების ფუძემდებელი პრინციპები იურიდიულად მართლ-
 ზომიერად იქნეს ცნობილი თანამედროვე პირობებშიც, როგორც საქართვე-
 ლოს სს რესპუბლიკის რეალური და სრული სუვერენიტეტის უზრუნველ-
 ყოფის გარანტია“.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების
 ფუძემდებელ პრინციპებად, რომლებზეც ლაპარაკია ქართველ დეპუტატთა ზე-
 მოაღნიშნულ მიმართვაში, იგულისხმება საქართველოს სახელმწიფოს დამო-
 უკიდებლობისა და თავისუფლების ცნობა ყოველგვარი პირობის გარეშე
 და, აქედან გამომდინარე, სრული ჩაურევლობა მის საშინაო საქმეებში (ეს პრი-
 ციპები ჩამოყალიბებულია ხელშეკრულების პირველ და მეორე მუხლებში).
 ამ გარემოების გათვალისწინებით ქართველ დეპუტატთა განცხადება, რომ ხე-
 ნებული პრინციპები „იურიდიულად მართლზომიერად იქნეს ცნობილი თანა-
 მედროვე პირობებშიც“, ასესებითად სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართ-
 ველოს გამოყოფისა და განკალებებულად ყოფნის მოთხოვნად აღიქმება. ასე-
 თ საკითხის საქეუყნოდ, ზოელი მსოფლიოს გასავონად წამოჭრა კი მხოლოდ
 და მხოლოდ მთელი ხალხის საქმეა, თვით ქართველი ერის პრეროგატივაა.

კორექტულად და ზომიერად, წინასწარი შეფასების გარეშე დასვა რუ-
 სეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის საკით-
 ხი ყრილობაზე რესპუბლიკის კომუნისტების ლიდერმა. მისი სიტყვით, „ნა-
 მდვილად რომ მივცეთ ძალაუფლება საბჭოებს, დროა ვიცოდეთ, თუ რო-
 გორ მკვიდრდებოდა ეს ძალაუფლება საქართველოში 1918-1921 წლებში,
 სამართლიანი ისტორიული შეფასება მივცეთ ვ. ი. ლენინის მიერ მოწონე-
 ბული საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წელს დადებული
 ხელშეკრულების დარღვევას, ობიექტურად განვიხილოთ ამ ხელშეკრულე-
 ბის ფუძემდებელი პრინციპები ღლევანდელ ღლესთან მისადაგებით, ობიექ-
 ტურად აღვადგინოთ ამ წინააღმდეგობრივი ეპოქის ცნობილ მოღვაწეთა პო-
 ლიტიკური პორტრეტები“ („კომუნისტი“, 1989 წლის 9 ივნისი).

საერთოდ, 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევისა და საქართველოს გა-
საბჭოების შეფასების საკითხის დაყენება სსრ კაშირის სახალხო დეპუტატ-
თა ყრილობაზე დიდმიშვნელოვან მოვლენად აღიქვეს საქართველოში.

ყრილობიდან სამშობლოში დაბრუნებულმა დეპუტატებმა უურნალის-
ტებთან შეხვედრისას განაცხადეს, რომ „ჩვენი დეპუტაციის მნიშვნელოვა-
ნი მონაბოვარია ყრილობაზე დაყენებული საკითხი: 1921 წლის 25 ოქტომბერი-
ლი საქართველოს ანექსიად ჩიათვალის; რომ 1920 წლის 7 მაისს საქართ-
ველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას
შორის დადებული ხელშეკრულების ფუძემდებლურმა პუნქტებმა აღიდგინონ
ძალა მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს საკეთილდღეოდ. ყრილობაზე
ამ საკითხების დაყენებით დიდი საქმე გაკეთდა, ამ მხრივ ჩვენ უკვე გვაქვს
ერთი წინგადადგმული ნაბიჯი, იგივე მიზნისკენ მსწრაფ ბალტიისპირელებ-
თან შედარებით — ჩვენ მიერ დაყენებული საკითხი ყრილობის დოკუმენტე-
ბში დაფიქსირდა, ბალტიისპირელებმა კი საგანგებო კომისია უნდა გაიარონ
საკითხის ამ დონეზე მისაყვანად“ (?); „25 ოქტომბერის აქტს ასე მოურიდებ-
ლად და გარკვევით ანექსის ფორმულირება მივცეთ — ეს არ უნდა ნიშნავ-
დეს ცოტას“ (თბილისი). 1989 წლის 22 ივნისი).

განსახილველი საკითხი მართლაც მნიშვნელოვანია და ქარ-
თველი ხალხის ძირეულ, სასიცოცხლო ინტერესებს შეეხება. მით უფრო ხაზ-
გასმით უნდა ითქვას, რომ პრობლემის გამოწვლილვით შესწავლისა და თავ-
დაპირველად რესპუბლიკურ დონეზე ყოველმხრივი განსჯის გარეშე მისი სა-
კაშირო და მსოფლიო მასშტაბის სამსახუროზე დიახაც მოურიდებლად გა-
ტანა მაინცდამაინც სანაქებო საქმედ ვერ ჩიათვლება. საკითხი კი ჯეროვნად
რომ არ არის შესწავლილი და ჯერჯერობით საერთოდ მოუმზადებელია, ამის
თვალსაჩინოდ დამადასტურებელი ფაქტები ყოველდღიურად გვხვდება ჩვენს
პრესაში. თუნდაც მატოთ ის რადა ლირს, რომ საქართველოს გასაბჭოებას
პრესის მასალების მიხედვით სხვადასხვაგვარი კვალიფიკაცია ეძლევა, როგო-
რიცაა, სახელმობრ, ანექსია ანდა „ფარული ანექსია“, ოკუპაცია, ინტერ-
ვენცია, პოლიტიკური სისტემის ექსპორტი და ა. შ. ასეთი ვითარებისას, რო-
დესაც საკითხი ჯერ თვითონაც საქმიანდ ვერ გაგვიაზრებია, ყრილობაზე
მისი განხილვის შემთხვევაში ხომ ფართო გასაქანი მიეცემოდათ ჩვენს არც-
თუ მცირერიცხვან „კეთილისმყოფელთ“. აკი ერთმა მათგანმა, იმ ივად სახ-
სენებელმა გენერალმა, ყრილობაზე აუგად მოიხსენია ქართველ მომიტინ-
გეთა მოთხოვნა, რომ „1921 წლის 25 ოქტომბერილ ეცნოთ რუსეთის ბოლშევი-
კური ძალების მიერ საქართველოს ოკუპაციის დღედ“ (იხ. 1989 წლის 1
ივნისის „იზვესტია“ და „კომუნისტი“). სახელმწიფო ორგანოში, სადაც „აგ-
რესიულად მორჩილი უმრავლესობაა“, მარტომოდენ „მოურიდებლად და გა-
რკვევით“ ფორმულირება ვერ გვიშველის, — ვერას გააწყობ, თუკი უცი-
ლობელი არგუმენტებით არ იქნები შეიარაღებული.

მისასალმებელია, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-
დიტომა შექმნა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების
დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისია,
რაც მოიწონა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. რო-

გორუ პრესაში იტყობინებიან, კომისია ინტენსიურად და ერთბაშად რამდენიმე მიმართულებით მუშაობს. რა თქმა უნდა, სათანადო ანგარიში გაეწევა ამ ბოლო დროს უურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ საყურადღებო მასალებს, რომელნიც გარკვეულწილად წინამდებარე სტატიაშიც აისახა. კომისიის დასკვნაზე იმსჯელებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია. ოლონდ საჭირო იქნება, რომ მანამდე კომისიის მუშაობის შედეგებს გაეცნოს ფართო საზოგადოებრიობა.

1921 წლის 25 თებერვლის აქციისა და შემდგომი პერიოდის მოვლენების სამართლებრივ შეფასებაში, ბუნებრივია, სწორედ იურიდიული ნიშან-თვისებების განხილვა და ჩამოყალიბება იგულისხმება. რაც შეეხება საქმის ფაქტობრივ მდგომარეობას, იგი სამართლებრივი სტატუსის რეალიზაციის ამა თუ იმ ღონის გამომხატველია და ცალკე, საგანგებო შესწავლის საჭიროებს. საკითხისადმი ასეთი მიღვომა, რაღა თქმა უნდა, ეგრეთ წოდებულ ფარულ ანექსიაზედაც გრუელდება. საერთოდ, უმართებულო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ იურიდიული ფორმა თოვქოს სრულიად უმნიშვნელო რამ არის, მთავარი და არსებითი კი ფაქტობრივი მდგომარეობა. ნათქვამის საილუსტრაციოდ ჩვენს დღევანდელ ვითარებას მივმართოთ. ამჟამად ოფიციალურ დონეზედაც კი აღიარებენ, რომ მოკავშირე რესპუბლიკები ფაქტობრივად არ არიან სუვერენული სახელმწიფოები. მაგრამ ეს გარემოება კი არ ამცირებს, არამედ პირიქით, კიდევ უფრო მკვეთრად წარმოაჩენს მათი კონსტიტუციური სტატუსის უდიდეს მნიშვნელობას. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა ბალტი-ისპირეთში გახალებული მძლავრი პოლიტიკური მოძრაობა. რომელიც დღეს მოკავშირე რესპუბლიკების სამართლებრივი სტატუსის, მათი სუვერენული უფლებების რეალიზაციის ნიშნით წარიმართება.

საქართველოს გასაბჭოების სხვადასხვა კვალიფიკაციათა შორის უპირატესობა მაინც ანექსის ეძლევა. უმრავლესობა სწორედ ასეთ შეფასებას ემსრობა, ესე იგი იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომელიც ქართველ დეპუტატთა ჯგუფმა ოფიციალურად წარუდგინა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობას. საქართველოს მწერალთა კავშირის 15 ივნისის საერთო კრებამ მიმართ რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს მოთხოვნით, რომ „ცნობილ იქნას რსფსრ-სა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შორის 1920 წლის 7 მიისის ხელშეკრულება დარღვეულად რსფსრ-ს მხრიდან და, აქედან გამომდინარე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1921 წლის 25 თებერვალს ანექსირებულად.“ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ცნობით, ასეთ მოთხოვნებს „მთლიანად იზიარებს თითქმის მთელი საქართველო, ჩვენი საზოგადოებრიობის ყველა ფენა“. კერძოდ, თბილისის ივ. გავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდულ პრეს-კლუბს მიაჩია, რომ „აუცილებელია რესპუბლიკისა და საკავშირო უმაღლესი სახელმწიფოებრივი ორგანოების წინაშე მთელი პრინციპულობით დაისვას საკითხი 1921 წლის თებერვლის ანექსიის ფაქტის დაგმობის შესახებ“ (იხ. 1989 წლის 16 ივნისის „თბილისი“, 16 და 30 ივნისის „ლიტერატურული საქართველო“).

აქვს თუ არა სამართლებრივი საფუძველი ასეთ მოთხოვნას? ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა უკავასუხოთ.

საერთაშორისო სამართლში ანექსია ეწოდება ისეთ მართლსაშინააღმდეგო აქციას. როცა მოძალადე სახელმწიფო ძალით შეიერთებს სხვა ქვეყანას, მიღებაცებს მის ტერიტორიას. ანექსის თვალსაჩინო მაგალითისთვის ცხრა მთს იქთ წასკლა როდი გვპირდება. რუსეთმა XIX საუკუნის დასაწყისში განახორციელა საქართველოს სრული ანექსია, როდესაც შეიერთა იგი, გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა და დამყარა თავისი უშუალო ტმართველობა. ამა თუ იმ ქვეყნის ანექსირების დროს მას მთლიანად შთანთქმას ხოლმე მოძალადე სახელმწიფო, საქართველოში ასეთი რამ არ მომზადა. ქვეყანა რუსეთს არ შეერთებია და არც ქართული სახელმწიფოებრიობა გაუქმდებულა. საქართველო 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგაც ცალკე სახელმწიფოს საბით ასებდობდა.

ესთო სიტყვით, საბჭოთა რუსეთს 1921 წლის თებერვალ-მარტში არ განხორციელებია საქართველოს ანექსია. ხელუხლებლად არა, მაგრამ მაინც შენარჩუნებულ იქნა ეროვნული სახელმწიფოებრიობა, ქვეყნის ტერიტორია და საზღვრები. მაში, უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის დაგმობის მოთხოვნა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე. ცხადია, რომ საქართველოს ანექსირებულად ცნობის საკითხი, ფართო საზოგადოებრიობის სურვილის მიუხედავად, არც რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მომავალ სესიაზე არ უნდა დაისვის. ეს. რა თქმა უნდა. სრულიადაც არ გამორიცხავს რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის საკითხის უმაღლეს სახელმწიფოებრივ დონეზე განხილვასა და 25 თებერვლის აქციის მართებული ოფიციალური შეფასების შესაძლებლობას.

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებასთან და, მაშასადამე, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან საბჭოთა რუსეთის მიმართების ვასარკვევად ასებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა პოზიციაზე იდგა. ერთი მხრივ, ლენინი — მმართველი პარტიის ბელადი და საბჭოთა მთავრობის მეთაური, ზოლო. მეორე მხრივ, სტალინი — ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი, რომელიც იმხანად ფაქტობრივად განაგებდა თავისი მშობელი ქვეყნის ბედს.

მოსკოვის მუშათა და გლეხთა საბჭოს პლენუმის სხდომაზე 1921 წლის 28 თებერვალს საერთაშორისო საკითხებზე მსჯელობისას ლენინი შეეხო თურქეთის დელეგაციისთან მოლაპარაკების დაწყებას, „რამდენადმე მაინც მტკიცე ზევის დასადებად... რაც შეიძლება მეტ დაომობას... ყველა იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც წინათ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიონდენ“ და, ბოლოს, კავკასიას, სადაც „ამ ბოლო დროს დიდი მასშტაბის ამბები მოხდა“. კერძოდ, საქართველოსა და სომხეთს შორის მდებარე ნეიტრალურ ზონაში. ლენინის სიტყვით, „თებერვლის დამდეგს იფეთქა საშინელება აჯანყებამ, რომელიც საოცარი სისწრაფით გავრცელდა“; მასში მონაწილეობდა „რუსეთის ჯარების გარკვეული ნაწილიც“ (თანამედროვე ტერმინოლოგიით — „შეზღუდული კონტიგენტი“) და, ყოველივე მის შედეგად, „თბილისში... საბჭოთა ხელისუფლება აღმოჩნდა“. მოვლენათა ასეთი სწრაფი განვითარება, ლენინის თქმით რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების არარსებობამ (!) განაპირობა. „ჩვენ რომ საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება გვქონდა, — განაცხადა მან, — ჩვენ რაც შეიძლება უფრო მეტ

ხანს უნდა გაგვეციანურებინა საქმე” (ვ. ა. ლენინი, თხ. ტ. 32, გვ. 172-173).

შეიძლება კაცმა იფიქროს. რომ მძიმე ავადმყოფობამ და უკიდურესად დაძაბულმა პარტიულ-სახელმწიფოებრივმა საქმიანობამ ლენინს საერთოდ გადაავიწყა საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება (ასეთი ვითარებისას მის გარშემო მყოფი ქართული წარმოშობის ღიღმოხელენი შესხენებისათვის, რაღაც თქმა უნდა, თავს არ გამოიდებოდნენ). მაგრამ ეს, ცხადია ასე არ იყო. ლენინს სურდა, რომ როგორმე გაემართლებინა საქართველოში შეჭრა, რასაც საბჭოთა ხელმძღვანელობა საგანგებოდ ამზადებდა და, როდენ საკვირველიც არ უნდა იყოს. უცხოსთანაც კი აღარ მაღლავდა.

1920 წლის 14 ავგისტოს ლენინს თურქეთის დელეგაციის მიღებისას განუცხადება: „უცხოელია ის ფაქტი, რომ უახლოეს დროში მოიძებნება მიზეზი სომხეთსა და საქართველოში ჩვენი შესვლისა“. ამასთან დაკავშირებით ხსენებული დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, რომელიც 1921 წლის იანვრის ბოლოს თბილისიდან ბაქოში ჩავიდა, პირდაპირ წერს: „ჩვენი ყურადღება წითელი არმიის ნაწილების კონცენტრაციამ მიიპყრო. ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ სულ ახლო მომავალში ისინი საქართველოში შეიჭრებოდნენ“ („ლიტერატურული საქართველო“, 1989, № 27, გვ. 12).

ეტყობა, საბჭოთა რუსეთის პარტიულ-სახელმწიფო და სამხედრო ხელმძღვანელობას ადრევე „გარდაუწყვეტია ბედი ქართლისა“.

კაცმა რომ თქვას, რუსეთის მე-11 არმიის შეჭრა საქართველოში არც ეწინააღმდეგებოდა პარტიის იმდრინიდელ ეროვნულ პოლიტიკას. ასეთი სამხედრო „დახმარება“ დაასაბუთა და გაამართლა სტალინმა რკპ (ბ) XII ყრილობაზე. მან მოიშველია მარქსისა და ლენინის დებულება „მუშათა საქოთხოან“ შედარებით ეროვნული საკოთხის დაქვემდებარებული მნიშვნელობის შესახებ და აღნიშნა: კომუნისტებმა, მართალია, არ უნდა აწყენინონ ნაციონალებს, მაგრამ ერთა თვითგამორკვევის უფლება არ შეიძლება იყოს და არც უნდა იყოს დაბრკოლება იმ საქმისათვის, რომ მუშათა კლასმა განახორციელოს თავისი დიქტატურის უფლება. „ასე იყო საქმე, მაგალითად, 1920 წელს, — თქვა სტალინმა, — როდესაც ჩვენ, მუშათა კლასის ძალაუფლების დაცვის ინტერესებისათვის, იძულებული გავხდით წავსულიყვათ ვარშავაზე“ (ი. სტალინი, თხ. ტ. 5, გვ. 292-294). ზუსტად ასევე, „რევოლუციისათვის კავკასიის დიდი მნიშვნელობის“ გათვალისწინებით „წავიდა“ მე-11 არმია ბაქოზე, ერევანსა და თბილისზე. ასე, ინტერნაციონალური მოვალეობის მოხდის მოტივით „მართლდება“ მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან სამხედრო ჩარევა სხვა ქვეყნის საქმეში. ამ ტენდენციის ბოლოდროინდელ გამოვლინებად „საბჭოთა ჯარების შეზღუდული კონტიგენტის“ ქაბულზე „წავლა“ წარმოგვიდგება.

ოქტომბრის რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე, სანამ საქმე საქმეზე მიღებოდა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობა ბოლშევიკების თავში საცემ პრაქტიკულ პრობლემად იქცეოდა, სტალინი მტკიცედ მოითხოვდა რუსეთის დროებითი მთავრობისაგან, რომ იმპერიაში შემავალ ხალხებს დაუყოვნებლივ მისცემოდათ შესაძლებლობა თავიანთ დამფუძნებელ კრებებზე განესაზღვრათ საკუთარი პოლიტიკური წესწყობილების ფორმები. მაშინ იგი წერდა, რომ არავის არა აქვს უფლება ძალდატანებით ჩაერიოს ერების საშინაო ცხოვრებაში და ძალით „გაასწოროს“ მათი შეცდომე-

ბი. ერები სრულუფლებიანი არიან თავიანთი საშინაო ცხოვრების საქმეებში, და მათ უფლება აქვთ თავიანთი სურვილისამებრ მოაწყონ საკუთარი ცხოვრება” (თხ. ტ. 3, გვ. 236). 1920 წლისათვის კი ქუთაისი, მისივე სიტყვით, გადაჭრით უკუაგდებდა „რუსეთისაგან განაპირა მხარეების გამოყოფის მოთხოვნას, როგორც კონტრრევოლუციურ წამოწყებას“. სამაგიეროდ „ჩვენ, — გულმოწყალება ამბობდა იგი, — ანტანტისაგან ინდოეთის, არაბეთის, მარკოს და სხვა კოლონიების გამოყოფის მომხრენი ვართ“ (ტ. 4, გვ. 405-406).

უკრადღებას იქცევს სტალინის შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სტალინი მარტო საქართველოს მიმართ როდი იყო ასე განწყობილი. მის იდეალს წარმოადგენდა ახლებურად ორგანიზებული „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის ზემდლავრი სახელმწიფო. ამიტომაც ვერ ურიგდებოდა და აგდებულადაც უყურებდა „ხალხთა საპყრობილიან“ თავდალშეული ერების დამოუკიდებლობას. საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკისადმი მიძღვნილ სტატიაში 1920 წლის 10 ოქტომბერს იგი წერდა: „ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი საქართველოს, სომხეთის, პოლონეთის, ფინეთისა და სხვ. ეგრეთწოდებული დამოუკიდებლობა მხოლოდ მაცდური მოჩვენებაა, რომელიც ფარავს ამ, უკაცრავად პასუხია, სახელმწიფოების სრულ დამოუკიდებლობას იმპერიალისტთა ამა თუ იმ ჯგუფისაგან“ (ტ. 4, გვ. 384-385). მოგვიანებით, 1920 წლის ოქტომბრის ბოლოს, გაზეთ „პრავდის“ თანამშრომელთან საუბრისას სტალინმა განაცხადა, რომ II ინტერნაციონალის გახრწილმა ბელადმა ბ-ნა კაუცკიმ... თავშესაფარი ჰპოვა დამყაყებულ... საქართველოში, გაკოტრებულ ქართველ სოციალ-მედუნებთან“. მან, ამასთანავე, თვალბედითი წინასწარმეტყველებით(!) დასძინა, რომ „ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის“ (იხ. იქვე, გვ. 447).

ასეთი „დიპლომატიური ეტიკეტი“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ სრულიად დაუშვებელი იყო იმ სახელმწიფოს ეროვნებათა საქმეების უწყების ხელმძღვანელის მხრივ, რომელსაც ეს პატარა ქვეყანა, თავისი უმაღლური შვილებისაგან აგრე-რიგად შეგინებული და განწირული, საერთაშორისო ხელშეკრულებით უკავშირდებოდა. მდგომარეობას კიდევ უფრო მძიმებდა ის გარემოება, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობის წევრის დიპლომატიური უხამსობანი ქვეყნის მმართველი პარტიის ცენტრალურ ბეჭდვით ორგანოში — გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა.

ყოველივე ეს ნიშნავდა დამოუკიდებელი ქვეყნის სუვერენული უფლებების ხელყოფას, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების იმ უმნიშვნელოვანების პირობის უხევ დარღვევას, რომ „რუსეთი ვალდებულად ხდის თავს ხელი აიღოს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე“. (მუხ. 2).

სტალინის გამოსვლები, რაღა თქმა უნდა, სრულიადაც არ წარმოადგენდა შემთხვევით მოვლენას, ეს იყო წინასწარგანზრახული აქცია, 25 თებერვლის აქტის იდეოლოგიურად მომზადების მნიშვნელოვანი ეტაპი.

მაიც რა იურიდიული შეფასება უნდა მიეცეს იმას, რაც საქართველოში 1921 წლის თებერვალ-მარტში მოხდა და სიმბოლურად 25 თებერვლის აქტით — დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობითა და საბჭოთა წყობილების დამყარებით გამოიხატება?

უბირველეს ყოვლისა, ეს იყო აგრესია. ესაა განსახილველი მოვლენაზე უფელაზე უფრო ზოგადი სამართლებრივი კვალიფიკაცია.

აგრესია ეტიმოლოგიურად, სიტყვის წარმომავლობის მიხედვით, თავდასხმას ნიშნავს. აგრესიის არსის შეცნობის, მოვლენის ისტორიული ფესვების ძიების თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ რომის სამართლის ცნობილ წყაროებში — დიგესტება და იუსტინიანეს კოდექსში (VI საუკუნე) „აგრესორი“ მარცველსა და მკვლელს აღნიშნავდა. ამ მნიშვნელობით ძველ ქართულ სამართალში ტერმინი „მეკობრე“ ინმარებოდა.

აგრესიის თანამედროვე იურიდიული შინაარსი გულისხმობს საერთაშორისო სამართალთან შეუთავსებელ ნებისმიერ ძალადობას, რასაც სახელმწიფო მიმართავს სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

უტყუარი ისტორიული მასალებით დასტურდება. რომ 1921 წლის 25 ოქტომბრის აქტი იყო უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების დარღვევა, გულდასმით მომზადებული და წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით განხორციელებული აგრესია. მაგრამ ასეთ შეფასებაზე შეჩერება არამც და არამც არ შეიძლება. იგი მეტისმეტად ზოგადია და მაშასადამე, დასაკონკრეტებელია. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ განხორციელდა პირდაპირი აგრესია. ეს იყო აგრესიის ყველაზე უფრო საშიში ფორმა — შეიარაღებული თავდასხმა (შეიარაღებული აგრესია).

პირდაპირი აგრესიის აქტით საბჭოთა მთავრობამ ცალმხრივად, თანაც უხეშად დაარღვია და მოშალა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება. რუსეთის ჯარების შემოჭრა საქართველოში ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების ფაქტობრივი დარღვევით განხორციელდა.

სამხედრო ძალის უკანონო გამოყენება, ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული თავდასხმა სხვა სახელმწიფოზე შვიდობისა და კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. სწორედ კაცობრიობის საწინააღმდეგო უმძიმეს დანაშაულად გამოაცხადა აგრესია თვით საბჭოთა-სახელმწიფოს პირველმა საგარეო-პოლიტიკურმა აქტმა — 1917 წლის 26 ოქტომბრის (8 ნოემბრის) დეკრეტმა ზავის შესახებ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შეიარაღებული აგრესიის აქტის გამართლება რამე პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თუ სხვა მოსაზრებით დაუშვებელია.

აგრესიის შედარებით სრულყოფილი ცნება თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბდა. ეს გარემოება როდი გამორიცხავს მის მისადაგებას საქართველოში 1921 წლის თებერვალ-მარტში დატრიალებული .მოვლენებისადმი. საქმე ისაა, რომ აგრესიის საერთაშორისო დაგმობის იდეა იმ ღროისათვის უკვე საკმაოდ ღრმად ფესვგაღმული იყო.

თავდაპირველად აგრესიის აქტითვის იდეა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპის სახით წამოიჭრა და ჩამოყალიბდა 1917 წლის ზემოხსენებულ ლენინისეულ დეკრეტში ზავის შესახებ. რაც მთავარია. აგრესიის დაგმობა აისახა ერთა ლიგის წესდებაში. ამასთანავე, ეს წესდება შევიდა პარიზის 1919-1920 წლების კონფერენციის მიერ შემუშავებულ საზავო ხელშეკრულებებში, რომლებითაც ოფიციალურად დასრულდა პირველი მსოფლიო ომი (ვერსალის 1919 წლის საზავო ხელშეკრულება და სხვ.)

სხვათა შორის, საბჭოური თვალსაზრისი ერთა ლიგის „ანტისაბჭოთა ხაზის“ ერთ-ერთ გამოვლინებად მიიჩნევს იმ საერთაშორისო ორგანიზაციის ჩარევას „საქართველოს საკითხში“ მის გასაბჭოებასთან დაკავშირებით.

უნდა ითქვის, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მისი არსებობის მთელ პერიოდში, არამიმდინარი აგრძესის აქტებიც ხორციელდებოდა. ასეთი იყო, სახელდობრ, ძირგამომთხრელი საქმიანობის წაქეზება, სამოქალაქო ომის გაჩაღებისა და შინაგანი გადატრიალებისაოვის ხელის შეწყობა, აქ ისიც აღსანიშნავია, რომ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება შეიცვდა რუსეთის ერთ მთავითვე არარეალურ ვალდებულებას. ხელშეკრულების მე-6 მუხლის მიხედვით, „რუსეთი ვალდებულია არ მისცეს უფლება მის ტერიტორიაზე ყოფნისა და მოქმედების... იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც თავის მიზნად საქართველოს მთავრობის დამხობა ექნება დასახული“. ამ ვალდებულებას საბჭოთა რუსეთი, ცადია, არაეთიან შემთხვევაში არ შეასრულებდა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დაუძინებელი მტრის. მისი დამხობის მოწადინე და ყოველნაირად მეცადინე ორგანიზაციის — საქართველოს კომპარტიის მიმართ, რომელიც რკპ (ბ) შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

ყველაზე ცუდი მაინც ის იყოს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა პირდაპირი ანუ შეიარაღებული აგრესის მძიექტი.

საქმარისად. ამომწურავად ასეთი შეფასებაც ვერ ჩაითვლება, ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც. რომ რუსეთმა მთახდინა საქართველოს სამხედრო ოკუპაცია — თავისი შეიარაღებული ძალებით დაიკავა დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია.

სამხედრო აქცია, უსამართლო ამი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1920 წლის მაისის პირველ ჩიტევებში დაიწყო — სწორედ იმ დღეებში, როდესაც ორ ქვეყანას შორის სამშვიდობო შოლაპარაკება მიმდინარეობდა. გ. ორჯონიქიძე ამ დროს ერთ-ორ კვირაში იმედოვნებდა თბილისის ოლებას, მაგრამ მაშინ საქმე კეთილად დამთვრდა. ლენინი, ნ. უორდანიას სიტყვით, „ევროპის სკანდალს მოერიდა და გადასწყვიტა ხელშეკრულების დადგება“ („კომუნისტი“, 1989 წლის 30 ივნისი).

თუმცამდე, მალე გამოიჩვა, რომ ეს იყო „ლენინური შესვენება“ (გ. ორჯონიქიძე). 1921 წლის დასაწყისში საბჭოთა ხელმძღვანელობამ დაჩქარებულად დაწყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საწინააღმდეგო სამხედრო აქციის საგულდაგულოდ მომზადება და გეგმაზომიერად განხორციელება.

„საქართველოს საკითხს“ მსვლელობა მიეცა რსფსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ჩიჩერინის 1921 წლის 20 იანვრის „მამხილებელი“ წერილის საფუძველზე, ჩიჩერინი ლენინს სთავაზობდა „გათავსედებული“ საქართველოს გასაბჭოებას სამხედრო ჩარევის მეშვეობით. 24 იანვარს სტალინი კატეგორიულად მიმართა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებს დაუყოვნებლივ მოეწონებინათ „ჩიჩერინის ხაზი“ და დირექტივა მიეცათ ორჯონიქიძისათვის, რათა მას მოემზადებინა მეამბოხეთა გამოსკლები „საქართველოს გარევეულ რაიონებში“. ლენინმაც საქმის სწრაფად წარმართვა მოიხსნება და შეადგინა სათანადო რეზოლუციის პროექტი, რომელიც 26 იანვარს დაადასტურა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმშა, ამ ლენინის ე-

ული დოკუმენტის დანიშნულება იყო საქართველოსთან წარმატებული ოშინ
 უზრუნველყოფა. 28 იანვარს სტალინმა უდეპეშა ოჩონიკიძეს ცეკას „გა-
 დაწყვეტილება გასწიოს მოსამზადებელი მუშაობა“, რათა საჭიროებისას გან-
 ხორციელდეს, „სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია“ (ამ საკითხ-
 თან დაკავშირებით იხ. ვ. ი. ლენინის თხ. 42-ე ტომის 289-290 გვ, 1989
 წლის 27 ივნისის „ზარია ვოსტოკა“, 10 ივნისის, 1 და 11 აგვისტოს „კომუ-
 ნისტი“).

ცოტა ხნის შედეგ, 14 და 15 თებერვალს, ცეკას პოლიტბიურომ დამტ-
 კიცა რუსეთის მე-11 არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოსადმი მიმარ-
 თული ორი ლენინისეული დეპეშა, რომლებითაც სარდლობას ნება დაერთო
 აქტიურად დაეჭირა მხარი ვითომდა საქართველოში დაწყებული „აჯანყები-
 სათვის“ და ეგრეთწოდებული ნეიტრალური ზონის (სომხეთ-საქართველოს
 საზღვარზე მდებარე სოფელ ლორეს) უშიშროების უზრუნველისაყოფად (!)
 დაეკავებინა, აელო თბილისი „საერთაშორისო ნორმების დაცვით“. ფაქტობრი-
 ვად ეს ნიშნავდა პირდაპირი აგრესის, სამხედრო ოკუპაციის სანქციონირე-
 ბას. ვ. ი. ლენინმა, განათლებით იურისტმა, ცხადია, კარგად იცოდა, რომ შეუძ-
 ლებელია ერთი სახელმწიფოს ჯარმა საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმე-
 ბის დაცვით თვითნებურად იღოს ამ სახელმწიფოსთან სამშვიდობო ხელშეკ-
 რულებით დაკავშირებული მეორე დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწი-
 ფოს დედაქალაქი. ეტყობა, ამიტომაც იყო, რომ ლენინს 14 თებერვლის ზე-
 მოაღნიშულ დეპეშაზე მიუწერია: „...უმჯობესია შეინახოთ არქისიაღმლოდ
 2-3 თვით“. ნიშანდობლივია ისიც, რომ ხსენებული დეპეშები პირველად
 მხოლოდ 1965 წელს (ეს იგი პოლიტბიუროს სხდომაზე მათი დამტკიცები-
 დან 44 წლის შემდეგ) გამოქვეყნდა.

ასე ამოძრავდა უზარმაზარი სახელმწიფოს ზემძლავრი პარტიულ-აღმინის-
 ტრაციული აპარატი და სამხედრო მანქანა პატარა ქვეყნის ახლად ფეხადგმუ-
 ლი დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

კავკასიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარებ გ. ოჩონი-
 კიძემ თადარიგი აღრევე დაიჭირა. მისი დავალების შესაბამისად რუსეთის მე-11
 არმიის სარდალმა ჰეკერმა ჯერ კიდევ 1920 წლის 18 დეკემბერს მოამზადა
 საიდუმლო მოხსენება, „თუ რა პირობებში უნდა მოხდეს საქართველოში
 შეჭრა და რა უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ამისათვის“ („სამშო-
 ლო“, 1989 წლის ივლისი, № 18).

ჰეკერმა ყოველმხრივ გაანალიზა „საქართველოს ოკუპაციის პრობლემა“,
 გაითვალისწინა საერთაშორისო ფაქტორი (მიუთითა, რომ აუცილებელია „შე-
 თანხმება თურქეთის სარდლობასთან“, რადგან თურქებთან ურიერთობის წი-
 ნისწარი მოვარების გარეშე საშიშად მიიჩნია „საქართველოს წინააღმდეგ
 სამხედრო ოპერაციების დაწყება“), დაგეგმა სამხედრო ძალების თავმოყრა და
 განლაგება, ჯარების მომარაგების მოგვარება „საქართველოზე თავდასხმის“
 დაწყებამდე („თბილისზე ლაშქრობის დროს ჯარის მომარაგებაზე გზაზე შე-
 უძლია გამოიშვიოს პროტესტები მოსახლეობისა, რომელიც მტრულადა გან-
 წყობილი წითელი არმიის მიმართ“), სარდალს ძალზე აწუხებდა ზურგის ვი-
 თარება („კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ზურგი არ შემიძლია უშიშრად ჩავ-
 თვალო“). ცხადია, იგი ანგარიშს უწევდა ქართული სამხედრო ძალების მდგო-

მარეობის („ქართულ ჯარებს შეუძლიათ წინააღმდეგობა, განსაკუთრებით თუ თავიღანვე ჩვენ ინიციატივა წაგვერთვა“).

საქართველოზე შეტევა. — მოახსენებდა რუსეთის არმიის სარდალი ჰექერი ქართველ ორგონიზირებს. — „უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ კარგი მომზადების შემდეგ. აათა სასწრაფოდ მოვუთავოთ ხელი თბილისის ხალხს“ (თუ ასე არ მოხდება, „მაშინ უნდა მოველოდეთ იმას, რომ ომი საქართველოს წინააღმდეგ შილებს ბანგჩაძლივ ზასიათს“), ჰექერი ლრმად იყო დარწმუნებული. რომ „ამ პირობების და ჯარის ერთეულთა სიმტკიცის შემთხვევაში... კამპანია საქართველოს წინააღმდეგ შეიძლება მოთავდეს ეჭვის კვირის განმავლობაში.“

ასე დაიგეგმა რუსეთის ჯარების შეჭრა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს იყო პირდაპირი აგრესის უშუალო მომზადება. მალე რუსეთის არმია თავს დაესხა საქართველოს და. ამრიგად, აგრესის აქტი პრაქტიკულადაც განხორციელდა.

საბჭოთა ჯარების 1921 წლის თებერვალ-მარტის ოპერაციები საქართველოს წინააღმდეგ შესწავლილია რუსულ სპეციალურ (სამხედრო-ისტორიულ) ლიტერატურაში. განხილულია სამხედრო ოპერაციების გეგმები, გაანალიზებულია მათი ღირსება-ნაკლოვანებანი და კორექტივები ომის მსვლელობის დროს. ასე მაგალითად, ჯარის ნაწილებისადმი 17 თებერვლის ბრძანების მიხედვით თბილისი 19 თებერვალს უნდა აეღოთ. მაგრამ თბილისის მისადგომებთან საბჭოთა ჯარი შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა. ქართველთა ჯავშანმატარებლებს ძალზე შეუვიწროებიათ მტრის არტილერია. მათი ორი თვითმფრინავი წარმატებით ბომბავდა საბჭოთა ნაწილებს. მტრის 58-ე ბრიგადამ 19 თებერვალს იალლუჭის მიღებოებში 530 კაცი დაიკარგა. ასე რომ, თბილისზე ელვისებური შეტევა ჩაიშალა. 21 თებერვლის ბრძანების საფუძველზე მოხდა საბჭოთა ჯარების გადაჭუფება. მათ 24 თებერვალს კვლავ შეუტიეს თბილის. ბრძოლაში ჩაერთო ავიაცია. ტანკები და საქართველოს დედაქალაქიც დაცა.

საქართველოს დამარცხება ამ უთანასწორო ომში, ცხადია, მოსალოდნელი იყო. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1921 წლის აპრილის განცხადებაში აღნიშნულია. რომ „საქართველოს ყოველ მხრიდან შემოესინ რუსეთის ჯარები, კერძოდ. მე-11 არმია, შემდეგ კი მე-8, მე-9 და მე-13 არმიები, და აგრეთვე ბულიონის და ულობას კავალერიის ნაწილები... სამხედრო ტექნიკის და მასალას მოკლებული, უმოკავშირეოდ, თავის ბედის ანაბარად მიტოვებული საქართველო. რომელიც არსაიდან დახმარებას არ მოელოდა, ხანგრძლივად ვერ გაუძლებდა დოდ რუსეთს“.

მართლაც. აგრესია. უსამართლო ომი საქართველოს სრული ოკუპაციით დასრულდა.

ახლა ვიყითხოთ, თუ რა მიზნით განხორციელდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ოკუპაცია, რა ამოძრავებდა საბჭოთა რუსეთი? პასუხი ცხადზე უცხადესია. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის, მისი სტრატეგიული მნიშვნელობისა და ეკონომიკურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით რუსეთი ყოველნაირად ცდილობდა გასაბჭოების გზით თავის ორბიტაში მოექცია იგი. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, რევოლუციის ეჭვპორტზე ლაბარაკობენ ხოლმე. მაგრამ საქართველოს იმდროინდელ ვითარე-

ბაში რევოლუციის პროცესის ვერა და ვერ მოხერხდა. ასე რომ, საქართველოში რუსეთის მხრივ პირდაპირ საბჭოთა წესწყობილების ექსპორტი-რება განხორციელდება.

სამხედრო ოკუპაციის ზემოხსენებულ მიზანდანიშნულებასთან დაკავშირებით 25 ოქტომბერის აქტის სამართლებრივი შეფასების კიდევ ერთი მხარე გამოიკვეთა.

საბჭოთა წესწყობილების ექსპორტი-რება რსფსრ-ის მხრიდან მოასწავებდა ძალმომრეობით ჩარევას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში. ამას კი საერთაშორისო სამართალში ინტერვენცია ეწოდება. მაშასადამე, საბჭოთა წესწყობილების ექსპორტი-რება, რაც რუსეთის ფედერაციამ საქართველოში 1921 წლის ოქტომბერის განხორციელა, ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას ანუ ინტერვენციას წარმოადგენდა.

ამგარად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მიმართებით რუსეთის ფედერაციამ უგულებელყო სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი, რომელიც ჯერ კიდევ საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ჩამოაყალიბა და შემდგომში ცივილიზაციულ საერთაშორისო ურთიერთობათა ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად იქცა. ამ პრინციპის განმსაზღვრელი მნიშვნელობა დაადასტურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1965 წლის 21 დეკემბრის „დეკლარაციამ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის დაუშვებელობის, მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის შესახებ“. დეკლარაციით აღიარებულია, რომ „ყოველ სახელმწიფოს აქვს ხელშეუფალი უფლება იმრჩიოს თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სისტემა სხვა რომელიმე სახელმწიფოს მხრივ ამა თუ იმ ფორმით ჩარევის გარეშე“ (მუხ. 5).

ინტერვენციას კრძალავს საერთაშორისო სამართალი. ერთი სახელმწიფოს ჩარევა მეორის საშინაო საქმეებში საერთაშორისო დელიქტად არის მიჩნეული. ინტერვენცია ხელყოფს სახელმწიფოს სუვერენიტეტს. იგი დაუშვებელი და გაუმართლებელია.

ამასთანავე, ცნობილია ეგრეთ წოდებული „დასაშვები“ ინტერვენციის თეორია. იგი შესაძლებლად მიიჩნევს ინტერვენციას ყალკეულ შემთხვევებში, გამამართლებელი პირობების არსებობის დროს. უნდა ითქვას, რომ ასეთი „სამართლებრივი“ საფუძვლის არსებობისა და საქართველოში ინტერვენციის გამართლების ილუზიის შექმნას რუსეთის ოფიციალური პირები და სათანადო ორგანოებიც ცდილობდნენ. სახელმწიფო, რმის მომზადებასთან დაკავშირებით ლენინი მოითხოვდა აღნიშნათ, რომ „საქართველო საშინლად გათავსედდა“; სისტემატურად უნდა შეეკრიბათ მასალები იმის საჩვენებლად, რომ საქართველო ვითომდა არღვევდა 7 მაისის ხელშეკრულების პირობებს.

სწორედ „მამხილებელი“ მასალების მოპოვების მიზნით მიუთითა ლენინმა 1921 წლის 26 იანვარს რსფსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომ მან საქართველოსაგან გამომწვევად — „უფრო დაუინებით მოითხოვოს სომხეთში სურათ-სანოვაგის გატარება“. მართლაც, ერთი თვის შემდეგ (28 ოქტომბერვალს) ლენინმა რუსეთის ჯარების საქართველოში შეკრის გასამარლებლად იმ გარემოებაზედაც მიუთითა. რომ „ქართველი მენშევიკების ხელში იყო

სომეხი გლეხობის სურსათის გასაღები — საერთო რეინიგზა. არავის არ ყოფა მოთმინება წაიკითხოს ის დეპეშები, განცხადებანი და პროტესტები. რომლებითაც ჩვენ მივმართავდით საქართველოს ამის გამო” (იხ. ვ. ი. ლენინი, თაზ, ტ. 32, გვ. 176, ტ. 42, გვ. 289). ასეთივე ჩელოვნურ საბაბს წარმოადგენდა აგრეთვე აჯანყება ლორეს ნეიტრალურ ზონაში. უხერხულიც კია იმაზე სერიოზულად მსჯელობა. რომ ამ ეგრეთ წოდებული „აჯანყების” მონაწილეთა დასაცავად სამხედრო მოსაზრებით აუცილებელი იყო თბილისის დაკავება, ნისი აღება მე-11 არმიის მიერ. არადა. სწორედ ასეა ნათქვამი რკპ (ბ) ცეკვის პოლიტბიუროს 1921 წლის 14-15 ოქტომბერის დეპეშებში, რომლებიც ხსენებული არმიის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს გაეგზავნა.

ვერც საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თბოვნა-მიმართვა ლენინი-სადმი აჯანყებულთათვის დაზმარების აღმოჩენის თაობაზე ვერ ჩაითვლება შართლზომიერ აქტით და რუსეთის გარების საქართველოში შემოკრის სამართლებრივ საფუძვლად თუნდაც იმ უბრალო და აწ აბსოლუტურად უდავო მიზეზის გაძმ, რომ ამ დროს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საყოველთაო სამოქალაქო მშვიდობიანობა სუფევდა და სინამდვილეში არავითარი აჯანყება არ ყოფილა.

საბჭოთა მხარე ხშირად უჩიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევას. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ მას საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის დროს ასეთი მოტივი არ წამოუყენებია. ჩაც ხსენებული ბრალდების უსაფუძლობის მაჩვენებელია; ამისთან, საქართველოს კიდევ რომ დაერღვია ხელშეკრულების რომელიმე პირობა, ეს სრულიადაც არ იძლეოდა დამოუკიდებელ ქვეყანაში ლაშექრით შესევისა და მისი ოკუპაციის უფლებას. საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი პრინციპი ისეთია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულების თაობაზე წამოკრილი ყველა დავა უნდა განიხილებოდეს მშვიდობიანი გზით (არბიტრაჟი, სასამართლო, შემთანხმებელი კომისია).

ასე რომ, რუსეთის ფედერაციის გარების შემოკრა საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობისა და საბჭოთა წესწყობილების დამყარების მიზნით არამართლზომიერი, საერთაშორისო სამართლით დასაგმობი აქტია, დაუფარავი ინტერვენციაა. მისი გამართლებისა და მართლზომიერების მტკიცების ყოველგვარი ცდა ეგრეთ წოდებული „დასაშვები“ ინტერვენციის, ამ რეაქციული და საერთაშორისო სამართლის ნორმებთან შეუთავსებელი თეორიის ერთგვარ გმოვლინებად წარმოგვიდგება.

რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ძალის შეყვანითა და ამ გზით ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევით განახორციელა ინტერვენციის ყველაზე უფრო აშკარა და საშიში სახეობა — შეიარაღებული ინტერვენცია. ასეთი ინტერვენცია კი აგრესიად არის მიჩნეული. სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის დაუშვებლობის, მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის თაობაზე მიღებულ ზემოხსენებულ დეკლარაციაში პირდაპირაა იღნიშნული, რომ „შეიარაღებული ჩარევა აგრესიის სინონიმია“.

მოკლედ რომ ვთქვათ, შეიარაღებულ ინტერვენციის მოიცავს, ფარავს აგრესიის ცნება. ამის მიუხედავად, ინტერვენციის სპეციფიკის გათვალისწინებით, მაინც მიშანშეწონილია პირდაპირი აგრესიის გვერდით მისი ცალკე, და-

მოუკიდებელ ნიშანად გამოყოფა 1921 წლის 25 თებერვლის აქტის სამართლებრივ შეფასებაში.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთის ფედერაციაშ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიშართ 1921 წლის თებერვალ-მარტში განახორციელა პირდაპირი აგრძესია შეიარაღებული ინტერვენციის ფორმით, საბჭოთა წესწყობილების ექსპორტირება სამხედრო ოკუპაციის საფუძველზე.

ასე გვესახება რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის, სახელდობრ კი 1921 წლის 25 თებერვლის აქტის იურიდიული კვალიფიკაცია.

ახლა განვიხილოთ მოვლენების შემდგომი განვითარების სამართლებრივი შეფასების საკითხი,

იურიდიული თვალსაზრისით როგორი იყო და რამდენ ხანს გრძელდებოდა სამხედრო ოკუპაციის რეჟიმი საქართველოში?

საოკუპაციო რეჟიმს განსაზღვრავს ჰავის 1899 და 1907 წლების კონვენციები მის კანონ-ჩვეულებების შესახებ და სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები. ცხადია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ოკუპაცია, რაც საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალ-მარტში განახორციელა, არამართლზომიერ აქტს წარმოადგენდა. საერთოდ, სამხედრო, ოკუპაცია, მართლზომიერი თუ უკანონო, თავისთვად არ ცვლის ოკუპირებული ტერიტორიის კუთვნილებას და ოკუპანტს სუვერენიტეტი არ გადაეცემა. ომონდეს კია, რომ ოკუპაციის დროს ოკუპირებული სახელმწიფოს ხელისუფლება პრაქტიკულად შეწყვეტილია და ქვეყნის მართვა-გამგეობას, როგორც წესი, საოკუპაციო ჯარის სამხედრო სარდლობა ახორციელებს. იგი პატივისცემით უნდა მოეპყრას ადგილობრივ მოსახლეობას. სამხედრო ოკუპაციის რეჟიმი დროებითი ხასიათისაა და ჯერ კიდევ არ ნიშავს ანექსიას. იგი უქმდება ომის მდგომარეობის შეწყვეტასთან ერთად და ამის შემდეგ შეიარაღებულ ძალებს ან გაიყვანენ ოკუპირებული სახელმწიფოდან, ან შეუცვლიან ხოლმე ქვეყანაში ყოფნის სამართლებრივ საფუძველს, სტატუსსა და ფუნქციებს.

საქართველოშიც ანალოგიური სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა.

ოკუპაციამდე საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. მისი ეს სამართლებრივი სტატუსი არც ოკუპაციის პროცესში და არც შემდგომ პერიოდში არ შეცვლილა. იურიდიულად საქართველო კვლავაც ცალკე არსებულ დამოუკიდებელ რესპუბლიკად ჩებოდა. მაკუპირებელ სახელმწიფოს — რუსეთის ფედერაციას — არ მინიჭებია ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიაზე საკუთრების უფლება და სუვერენიტეტი. იმდროინდელ დოკუმენტებში იფიციალურად აღინიშნებოდა, რომ წითელი არმის მიზანს არ შეადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა. ჯერ კიდევ 1921 წლის 16 თებერვლის აქტში — რევოლის მიმართვაში ლენინისადმი „აჯანყებულთათვის“ დახმარების აღმოჩენის შესახებ იხსენიება „საქართველოს ახალშობილი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“. 18 თებერვალს კი, მენშევიკური მთავრობის დამხობის თაობაზე გამოცემულ მოწოდებაში პირდაპირ გამოცხადდა, რომ „ამიერიდან საქართველო სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“. მართლაც, მომდევნო პერიოდში საქართველო სწორედ ამ სამართლებრივი სტატუსით არსებობდა და მოქმედდებდა.

ოკუპაციის პროცესში ჩამოყალიბდა საგანგებო სახელმწიფო ორგანოები — რევოლუციური კომიტეტები, განისაზღვრა საქართველოს სსრ-ის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ერთიანი სისტემა, მათ კომპეტენცია და საქმიანობის წესი (საქართველოს რევოლუციის 1921 წლის 21 აპრილის დეკრეტი საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ). ლენინი, როგორც რსფსრ-ის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, აღიარებდა საქართველოს სსრ-ის სუვერენული ორგანოების არსებობას და მოითხოვდა მთღამი მე-11 არმიის ხელმძღვანელობის მხრივ განსაკუთრებული პატივისცემით მოპყრობას, ქართველი მოსახლეობის მიმართ საგანგებო ყურადღებისა და სიფრთხილის გამოჩენას, და მაინც, ლენინის მითითება არ ცვლიდა სამხედრო ოკუპაციის ზასიათს. საოკუპაციო რევოლუციის შესაფერისად, რეალური ხელისუფლება საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ორგანოებს კი არა, არამედ მათი კომიტეტის წევნის — რსფსრ-ის წარმომადგენლებს ეკუთვნოდა. ამ მხრივ უდავოდ სარწმუნოა საქართველოს რევოლუციის თავმჯდომარის ფ. მახარაძის განცხადება, რომ იმ პერიოდში მტკიცე ადგილობრივი ხელისუფლების დამყარება ვერ მოხერხდა, „რადგან რამდენიმე ორგანო აღმოჩნდა: ერთი მხრივ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რევოლუციური კომიტეტი, რომლებიც მხოლოდ ნომინალურად იყვნენ ამ ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანიზაციის მხრივ რეპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო და სრულიად რუსეთის ცენტრალური პროფსაბჭო და XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო. რომლებიც ფაქტობრივად ნამდვილად ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები იყვნენ. ეს უკანასკნელი ორგანოები, უმეტესწილად საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და რევოლუციური კომიტეტისათვის შეუტყობინებლად, უაველაციოდ წყვეტილენ უკალა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხს, რომლებიც უშუალოდ საქართველოს ეხებოდა“ („კომუნისტი“, 1989 წლის 10 ივნისი).

ასეთი ვითარება რუსი ბოლშევიკებისაგან ქართველი კომუნისტების „გამასხარავებას“ როდი მოასწავებდა. იგი სავსებით შეესაბამებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებით განსაზღვრული სამხედრო საოკუპაციო რევიმის პირობებს.

მალე საბჭოთა რუსეთმა მიღწეულად ჩათვალა ის მიზანი, რისთვისაც განხორციელდა მისი ჯარის საქართველოში შემოქრა და საოკუპაციო რევიმის შემოღება. უკვე განაღდებული იყო დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა და საბჭოთა წესწყობილების დამყარება. ოკუპაცია ისედაც ხომ დროებითი ლონისძიებაა და მისი გახანგრძლივება თვით მათკუპირებელ რუსეთსაც ხელს არ აძლევდა. რადგანაც ამით მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში აშკარად ჩირქი ეცხებოდა ერთა თვითგამორკვევის მედროშე და ჩაგრული ხალხების ქომაგ საბჭოთა მთავრობას. დღის წესრიგში დადგა ყავლგასული საოკუპაციო რევიმის იურიდიულად გაუქმება. რაც ორმხრივი აქტით განხორციელდა. იგულისხმება 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს რსფსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გიორგი ჩიჩერინმა და საქართველოს სსრ რევოლუციის თავმჯდომარის მოადგილემ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მამა ორაზელაშვილმა.

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულება თავისებურად საყურადღებო საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტია. იგი როგორც

ფორმით, ისე შინაარსით განსხვავდებოდა ასტურ-ისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებისაგან. თვით მხარეები პირველ მათგანს პრეამბულაში (შესავალ ნაწილში) ზოგადად „ხელშეკრულებას“ („განსაკუთრებულ ხელშეკრულებას“) უწოდებენ, მეორეს კი — „მუშურ-გლეხურ საკავშირო ხელშეკრულებას“. ასეთი სხვადასხვაობა, ცხადია, სრულიადაც არ იყო შემთხვევითი მოვლენა.

21 მაისის ხელშეკრულების სახელშოდებაში („მუშურ-გლეხური საკავშირო ხელშეკრულება“) ყურადღებას იქცევს ორი მომენტი: ჯერ ერთი, მასში გამოხატულია იდეოლოგიური ნიშან-თვისება, ხელშეკრულების კლასობრივი ბუნება და დანიშნულება — მხარეთა შორის დადებული აქტი მუშურ-გლეხურია, ამ კლასების ინტერესების შესაბამისია; მეორეც, მასში ასახულია ხელშეკრულებით დამყარებული და განმტკიცებული იურიდიული ურთიერთობის რაობა — მხარეთა ურთიერთმიმართება კავშირის ხასიათისაა, — ახლო, მჭიდრო ურთიერთობის, სიახლოვის, ერთიანობის ნიადაგზეა დაფუძნებული. ორივე ეს მომენტი გაპირობებული იყო იმით, რომ ხელშეკრულების დამდები მხარეები ერთი და იმავე ტიპის სახელმწიფოებს — საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს წარმოადგენდნენ. მეორე მომენტის — კავშირის — შინაარსი პირველი ნიშან-თვისების — კლასობრიობის — პრინციპებით განისაზღვრებოდა. მხარეებმა ხაზგამით განაცხადეს, რომ მათ მიერ ნაკისრ ყველა ვალდებულებას განაპირობებდა მხოლოდ მუშებისა და გლეხების საერთო ინტერესები.

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საცხებით გამოეყო რუსეთის ფედერაციას, იურიდიულად გაწყვიტა მასთან ყოველგვარი სახელმწიფო-სამართლებრივი კავშირი და დამყარა მარტონდენ საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა.

1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხურ საკავშირო ხელშეკრულებაში საერთაშორისო-სამართლებრივს უდავოდ სკარბობდა სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობა: საქართველოს სსრ საბჭოთა რუსეთან ერთგვარ ფედერაციულ კავშირ-ურთიერთობას ამყარებდა. გათვალისწინებული იყო სამხედრო და სამეცნიერო კავშირი, სახელმწიფო აპარატის სათანადო დარგების ერთიანობა. ხელშეკრულების მიხედვით, გაერთინებული ორგანოების ხელმძღვანელობა ხორციელდებოდა სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობისა და ცავის მეშვეობით. გადაწყდა ამ ორგანოებში საქართველოს წარმომადგენლების შეყვანა.

ასეთი ვითარების გათვალისწინებით გასაგებია, რომ 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულება, 7 მაისის ანალოგიური აქტისაგან განსხვავებით, უკვე აღარ შეიცავდა დებულებას საქართველოს საშინაო საქმეებში რუსეთის ჩაურევლობის შესახებ.

მაინც, ძალზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ 21 მაისის ხელშეკრულება უდავოდ მოასწავებდა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის შეცვლას და რუსეთ-საქართველოს შემდგომი ურთიერთობის წარმართვის შედარებით დემოკრატიულ სამართლებრივ საწყისებზე.

საოკუპაციო რეჟიმის გაუქმების შემდეგ საქართველოში შექმნილი ვითარების გასათვალისწინებლად საინტერესოა გავიხსენოთ რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 15 სექტემბრის დადგენილება ეგრეთ წოდებული „ავტონომიზაციის“ შესახებ. ცეკამ უარყო ეს მართლაც

მანკიერი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა სუვერენული რესპუბლიკების გადაქცევას ჩატარების ფედერაციის შემადგენელ ნაწილებად. მან, ამასთანავე, მხოლი დაუჭირა რესპუბლიკების სამეცნიერო ღონისძიებათა გაერთიანებას და საკროთ პოლიტიკას. ოლონდ „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებით“. საფიქრებელია. რომ ამაში არსებითად იგულისხმებოდა კონფედერაციის საწყისებზე აგებული ურთიერთობა. ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური რეემი უკვე აღარ იყო საოკუპაციო. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა დამოუკიდებლობის ატრიბუტების შენარჩუნების მოთხოვნა.

1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური საქართველოს სუვერენულობის აღიარებისათვის. მან, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ძრინციპების შესაბამისად, კვლავაც ოფიციალურად დადასტურა. რომ ჩატარების ყოფილი იმპერიისადმი ქართული მიწა-წყლის წინააღმდელი ფაქტობრივი კუთვნილების გამო საქართველოს არავითარი ვალდებულება არ ეკისრებოდა. ხალხთა თვითგამორჩვევის უფლებითან გამომდინარე, ასფარ და საქართველოს სსრ ცნობდნენ ხელშეკრულების დადგები თითოეული მხარის დამოუკიდებლობასა და სუვერენულობას. ამისგან განსხვავებით, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაში განმტკიცებული იყო არა ორმხრივი, არამედ მხოლოდ ცალმხრივი ცნობის აქტი — რსფსრ-ის მხრივ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება. ეს იმით აიხსნება, რომ 7 მაისის ხელშეკრულებით განმტკიციდა რუსეთისაგან საქართველოს გამოცალკევება და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

ამგვარად, ასფარ საქართველოს დამოუკიდებელ და სუვერენულ საბჭოთა რესპუბლიკად აღიარებდა.

ასეთი სამართლებრივი სტატუსი შემდგომში განამტკიცა საქართველოს სსრ პირველმა (1922 წლის) კონსტიტუციამ: „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც არ იწყნარებს არავის სწორუფლებით მფლობელობას თავის ტერიტორიაზე; სამაგიროდ, არც თვითონ განავრცელებს თავის უფლებებს თავის საზღვრებს გარეშე“ (მუხ. 5). სუვერენული რესპუბლიკის სამართლებრივი სტატუსით შევიდა საქართველოს სსრ იმიტრავისის ფედერაციისა და სსრ კავშირის შემადგენლობაში, 1936 წლიდან იგი სტულაფლებიანი მოქავშირე რესპუბლიკა.

დღევანდელი კონსტიტუციური სტატუსის მიხედვით საქართველო არის მოქავშირე რესპუბლიკა, სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც სხვა ასეთსავე რესპუბლიკებთან ერთად თანასწორუფლებიანობის საფუძველზე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირად გაერთიანდა (სსრ კავშირის კონსტიტუცია, მუხ. 76; საქართველოს სსრ კონსტიტუცია, მუხ. 68).

ჩვენ კარგად ვიცით, რომ საქართველოს სამართლებრივ სტატუსს საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგ მოელი ისტორიული პერიოდის განმავლობაში არ შეესაბამებოდა და თანამედროვე ეტაპზედაც არ მიესადაგება მისი ფაქტობრივი მდგომარეობა. ამ მხრივ სიტყვასა და საქმეს შუა მართლაც რომ დიდი ზღვარია. აშკარა იყო ასფარ ის აღმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სახელმწიფო პარატის დექტატი, რომელსაც საბჭოთა საქართველო თავ-

დაპირველად უშუალოდ, შემდეგ კი ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობის განიცდიდა. მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მიღების შემდეგაც საქართველოს სსრ არსებითად იმავე მდგომარეობაშია. ამის მიზეზთა მიზეზი ისაა, რომ სსრ კავშირი ფაქტობრივად ავტონომიის საწყისებზე მოქმედი ფედერაციული სახელმწიფოა, სადაც დამკვიდრებულია იმპერიული მართვა-გამგეობის ტრადიციები.

მიუხედავად ამისა, მაინც უმართებულო იქნებოდა საბჭოთა საქართველოს როგორც ადრინდელი, ისე თანამედროვე სამართლებრივი სტატუსის უგულებელყოფა.

საქართველოს ახლანდელი კონსტიტუციური მდგომარეობა მნიშვნელოვანი მონაბოგარია. იგი კეშმარიტი ეროვნული და სახელმწიფო სუვერენიტეტის მიღწევის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ნუ დაგვავიწყდება, რომ საბჭოთა ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების მიხედვით სუვერენობა და კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება მხოლოდ და მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკას გააჩნია. რესპუბლიკის თანამედროვე სამართლებრივი სტატუსი საყრდენად უნდა გამოვიყენოთ და გულმოდგინედ ვილგაწოთ მისი სრულად ხორციელებისათვის იმის გათვალისწინებით, რომ „საჭიროა რადიკალური გარდაქმნები საბჭოთა ფედერაციაში“ (სკეპ პლატფორმა — „პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში“).

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივ შეფასებას, მას დღეს შემეცნებით მნიშვნელობასთან ერთად ქმედითი ისტორიულ-იურიდიული აღგუმენტის როლიც ანიჭება რესპუბლიკის ნამდვილი სუვერენულობისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის გაშლილ სახალხო მოძრაობაში.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა ჯარებს თბილისში „წინ მიუძღვოდა წითელი ბაირალით ხელში, თეთრ ცხენზე მჯდომი, ერთი ქართველ-კომისართაგანი. მას გვერდით უხილავათ მოჰყვებოდა. გაძვალტყავებულ ჯახრიკაზე, ძონძებში გახვეული ჩონჩხი, და გასისხლიანებულ თითებში ეჭირა ნგრევის ცელი“ (ზ. ავალიშვილი). დიახ, ეს ნამდვილად ასე იყო, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ არ მოისპონ ეროვნული სახელმწიფოებრიობა. ეს კი იმის სამედო საწინდარია, რომ ჩვენი „ივერი ალსდგეს ძლიერი, და დადგეს ერად სხვა ერთა შორის“ (გრ. ორბელიანი).

— — —

პიონერი დადარღვევილი

ქართული სამართლის პუბლიკონის შესახებ

ქართული სამართლის ისტორიის ცნობილი მკვლევარი აკადემიკოსი ი. დოლიძე 1963 წელს წერდა: „ქართული სამართლის წიგნებისა და, კერძოდ, ვახტანგის კანონების შესწავლისას ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ჩვენი სამართლისათვის უცხოა ბრალდებულის წამებით გამოტეხის ის საშინელი ხერხები და აგრეთვე მსჯავრდებულის სიკვდილით დასჯის შემზარავი სახები, რომელიც დაკანონებული იყო შეუსაუკუნეების ევროპისა და რუსეთის სამართლის ძეგლებით. მა მხრივ ქართული სამართლი გაცილებით უფრო ჰუმანურია, ვიდრე სხვა საქრისტიანო ქვეყნების იმდროინდელი სჭულმდებლობა. მაგრამ ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ვახტანგის სამართლში რულიმენტული სახით შემორჩენილია დრომოჭმული სასამართლო ორდალების ფორმებიც“.¹

ასეთ ან მსგავს მოსაზრებას მკითხველი არც თუ იშვიათად წააწყდება ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ვგახსენდება ასეთი ფაქტიც: აპოლონ როგვა იცავდა სადოქტორო დისერტაციას. განხილვა-პაექტობის საგანი იყო 1959 წელს აპოლონ როგვას რედაქციითა და გამოკვლევით გამოცემული დავით ბატონიშვილის ნაშრომი „საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნების მიმობილვა“. ნაშრომის ავტორს, ა. როგვას ეკამათება ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი; მისი თეზისია: თუ საქართველოსათვის უცნობი იყო მკაცრი სასჯელები, წამების მეშვეობით გამოტეხის პრაქტიკა. რაც დასაჯერებელი არაა, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა განვითარებული არ ყოფილა, სინამდვილეში ქართული სახელმწიფოებრიობა X-XIII საუკუნეებში განვითარების მაღალ დონეზე იდგა და შეუძლებელია. რომ ფეოდალური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი მკაცრი სასჯელები მისთვის უცნობი ყოფილიყო.

ერთი და იგივე მოვლენა, ისტორიული ფაქტი, სხვადასხვა მიმართულების ისტორიკოსთა ხელში განსხვავებულ შეფასებას პოულობს. სახელმწიფო სამართლის გარეშე ვერ იარსებებს, ხოლო სამართლის ნორმების შესრულების უზრუნველყოფას სახელმწიფოებრივი ზემოქმედება სჭირდება. ამ ზემოქმე-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი პირველი, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა: ქრებული, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 6-7.

დების ერთ-ერთი მთავარი სახეა სასჯელი, სახელმწიფოსმიერი რეაქცია სახელმწიფოს ხლის სამართლის კანცანის დარღვევისათვის, მაგრამ სასჯელი საზოგადოებაზე სახელმწიფოს ზემოქმედების განსაკუთრებული, უკიდურესი სახეობაა. საზოგადოებაზე სახელმწიფოს ზემოქმედების უფრო ნორმალური ფორმაა საზოგადოების წევრთა მორალური, იდეოლოგიური და სამართლებრივი ოლტრდა. სახელმწიფოსათვის სასურველი ქცევის წესების მორალურად და მატერიალურად წახალისება. იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების წევრების იდეოლოგიური და სამართლებრივი ოლტრდა ეფექტურად წარმოებს და სათანადო ნაყოფსაც იძლევა, სახელმწიფოს არ სჭირდება მასობრივი რეპრესიებისა და სასტიკი სასჯელების ხშირი გამოყენება. სასჯელი მაშინაა ეფექტური. როდესაც ხალხის მართლშეგნებაში მას სამართლიანობის ბეჭედი აზის. ქართული მართლშეგნებისათვის დამახსიათებელია თქმა: „სიმართლით მოჭრილი ხელი არ მეტყინებაო“. უსამართლოდ მეცარი სასჯელები ხალხის შეგნებისათვის გარეგანი ძალაა, უცხოა, ის მისთვის მიუღებელია. მართლშეგნება მართავს ადამიანის შინაგან სამყაროს. მართლშეგნება აღიარებს მოვალეობას, როგორც ზნეობის, მორალის მიმართ, ასევე ხალხის გონივრული ტრადიციების მიმართ. თუ სასტიკი სასჯელების სამართლიანობა ხალხის მართლშეგნებამ არ გაიზიარა, სახელმწიფო სასტიკი სასჯელებით მიზანს ვერ მიაღწევს.

ერთი ცნობილი მოაზროვნე აღნიშნავდა: „ისტორია და ისეთი მეცნიერება, როგორიც არის სტატისტიკა, ამომწურავი სიცხადით ამტკიცებენ, რომ კენის დროიდან მოკიდებული, ეს ქვეყანა სასჯელით ვერც ვერავის გამოუწოდებია და ვერც დაუშინებია“.

ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც სხვა ქვეყნების დაპყრობა აქვს მიზნად დასახული, სასტიკი დისკიპლინისა და სასტიკი სასჯელების გარეშე ვერ იარსებებს. და დროის გარკვეულ მონაცემთშე ტოტალური სახელმწიფო ახერხებს ხალხის ფიზიკურად და მორალურად მოქანცებს, მის დამორჩილებას. მაგრამ სწორია აზრი, რომ ხანგრძლივი დროის თვალსაზრისით სასტიკი სასჯელები საბოლოოდ არ ამართლებენ. უარი უნდა ვთქვათ ცალმხრივ. მექანიკურ აზროვნებაზე და ამა თუ იმ სამართლის კანონმდებლობის ჰუმანურობა განვიხილოთ მოვლენათა რთული ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის თვალსაზრისით.

როდესაც ქართული სამართლის ჰუმანურობაზე ლაპარაკობენ, უმთავრესად მხედველობაში აქვთ გარკვეული ეპოქა.

მართლაც, მეცხრე-მეათე საუკუნეებიდან, ქართული კულტურის აღმაღლობის ამ შესანიშნავი ხანიდან, შეიმჩნევა სასჯელთა სისტემის შედარებითი ჰუმანიზაცია, რომელიც ძალუმად ვლინდება XI-XII საუკუნეებში და ნაწილობრივ XIII საუკუნეშიც, ვიდრე მონლოლთა შემოსევამ არ შეაფერხა ქართული კულტურის განვითარება.

სამართლის ისტორიკოსთა ნაწილში დავხს არ იწვევს ის დებულება, რომ ჩაც უფრო დესპოტურია სახელმწიფო და ჩაც უფრო დაწვევითებულია საზოგადოება ზნეობრივად და კულტურულად, სასჯელებიც მით უფრო მხეცური და ულმობელი ხასიათისაა. ემილ დიურკაპიმის აზრით

„სასჯელების ინტენსიუობა მით უფრო დიდია. ჩაც უფრო განვითარების და ბალ ტიპს განვითარება საზოგადოება და ჩაც უფრო შეუზღუდველი ხასიათის მატარებელია ამ საზოგადოებაში ცენტრალური მართვის ორგანო“.

ჩაც უფრო დაშორებულია ხალხს მმართველი ფეხი, მით უფრო სასტიკი სასჯელების მეშვეობით ცდილობს ის ხალხის დაშინებასა და მის დამორჩილებას. ცესპოტებისა და ტირანების მხოლოდ საზარელი, მეტისმეტად მკაცრი სასჯელების. მოწინააღმდეგე: ძალების მნიშვნელოვანი ნაწილის ფიზიკურდ შესპობის საშუალებით შეუძლიათ ძალაუფლების შენარჩუნება. ფეოდალურ ტირანულ სახელმწიფოებში სიკვდილით დასჯის გაუქმდაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. სიკვდილით დასჯა, როგორც წესი, ფეოდალური ხანის სახელმწიფოთა მნიშვნელოვან ნაწილში ნორმალურ. ჩვეულებრივ სასჯელად ითვლებოდა.

ფეოდალურ დასავლეთ ევროპაშიც კი დიდი ხნის განმავლობაში, ვიდრო მეჩვიდმეტე-მეოთვრამეტე საუკუნეებამდე, სიკვდილით დასჯა და სხეულებრივი სასჯელები ასეული წლების განმავლობაში წარმოადგენდა ისეთ სასჯელთა სისტემას, რომელსაც მეთოდურად ეყრდნობოდა სისხლის სამართალი.

მეფის, შეუზღუდველი მონარქის კულტი ძველ აღმოსავლეთში წარმოიშვა, სადაც გარკვეული მიზეზების გამო სახელმწიფო ისეთ ფენომენად იქცა. რომელიც ბატონობდა საზოგადოებაზეც და თან დადებით როლსაც ასრულებდა საირიგაციო ნაგებობათა მოვლა-პატრიონობის და ორგანიზაციის მშენებ. ძველ აღმოსავლეთშივე წარმომშვა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის სასტიკი ცენტრალიზმი. მეფე, სახელმწიფოს მეთაური, იყო აგრძელებული საზოგადოებრივ სამუშაოთა უპირველესი ორგანიზატორი, ღმერთის მატერიალიზაცია სააგარში. ძველ ეგვიპტეში ადამიანებს გული უწუხდათ იმ ფიქრით გამოწვეული მღელვარებისაგან, რომ მათ ფარაონთან შეხვედრის ან საუბრის შესაძლებლობა ექნებოდათ. ერთი კარისკაცი კი, რომელსაც მეფის ახლო ნახევის შესაძლებლობა მიეცა. სიხარულისაგან გარდაიცვალა.

შეუ საუკუნეების ევროპაში მეფის ასეთ გაღმერთებას ვერ ვხვდებით.

გვიანთეოდალურ რუსეთში სხვადასხვა მიზეზთა გამო სახელმწიფო ისე გაძლიერდა, რომ იგი საზოგადოებაზე აშკარად გაბატონებულ ძალად იქცა. აბსოლუტურმა მონარქიამ რუსეთში ისეთი ძლიერი დამსჯელი ხელისუფლება შექმნა. რომ შიშის ზარსა სცემდა ხალხს. შექმნა სახელმწიფოს კულტი, რასაც შედეგად მოჰყვა სახელმწიფოს მეთაურის, მონარქის კულტის წარმოშობაც, მონარქის კულტის წარმოშობაში იმ გარემოებამაც ითამაშა როლი, რომ რუსეთის მეფეები მსხვილ ბოიარებს ებრძოდნენ და ამით ხალხის, განსაკუთრებით კი გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილის გულს იგებდნენ. გლეხობას მსხვილი ბოიარების წინააღმდეგ მიმართული ლონისძიებები სამართლიანად მიაჩნდა. მეფის კულტის შექმნაში დიდ როლს თამაშობდა მაშინდელი იდეოლოგია, რომელიც მოსახლეობის არაეკონმიკური იძულების სისტემაში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა: სახელმწიფო იყო ყველაფერი, პიროვნება — თითქმის არაფერი. ახასიათებდა რა რუსულ აბსოლუტიზმს, ა. გერიუნი 1859 წელს აღნიშნავდა: პეტერ პირველი ეპოქის ყველაზე სრულყოფალი ტიპია ანუ ცხოვრების დანაბადი გენიოსი-ჭალათია, რომლისთვისაც სახელმწიფო ყველაფერი იყო, ხოლო ადამიანი არაფერი; სწორედ პეტრემ

დაიწყო ჩვენი ისტორიის კატორლული სამუშაო, რომელიც საუკუნენახევა-
რი გრძელდებოდა და კოლოსალურ შედეგებსაც მიაღწია.

„კოლოსალური შედეგები“ კი მიღწეულ იქნა მძიმე მსხვერპლის ფასად.
ტოტალური სასჯელების გამოყენების მეშვეობით, სახელმწიფოს კულტის და-
მკიდრებას რუსეთში XV-XVI საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი და ეს ის-
ტორიული ტრადიცია დიდიანს განაგრძობდა ასებობას.

1930 წელს სკპ (ბოლშევიკების) XVI ყრილობას აკი მოხსენდა კიდეც,
რომ საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს „ყველაზე უფრო მძლავრ და ყვე-
ლაზე უფრო ღონიერ ძალაუფლებების დღემდე არსებულ ყველა ძალაუფლება-
ბასთან შედარებით“.¹⁰

სწორედ აქ გამოიყონა ძველმა რუსულმა მემკვიდრეობამ, სახელმწიფოს
კულტმა. ის ყველაზე უფრო მძლავრი და ყველაზე ღონიერი ძალაუფლებაა
დღემე ასებულ ძალაუფლებებთან შედარებით და ამიტომ ყოვლისშემძლეა.
ეს უკანასკნელი კი ღმერთის თვისებაა და სახელმწიფოც ღმერთივით ყოვ-
ლის შემძლეა. ღმერთია სახელმწიფოს მეთაური მონარქიც. აბსოლიტურ მო-
ნარქის კი ახალიათებს სასტრიკი ცენტრალიზაცია, ძლიერი სადამსჯელო ხელი-
სუფლება. ასეთი სახელმწიფო გარკვეულ პერიოდში დადებით, ისტორიული
აუცილებლობით ნაკარნახევ უზნქციასაც ასრულებს, თუ სახელმწიფოს სათა-
ვეში ისეთივე ძლიერი პიროვნება დგას, როგორიც პეტრე პირველი, ერთსადა-
იმავე დროს გენიონიც და ჭალათიც, საკმაო საფუძველი ჩნდება მისი კულტის
წარმოშობისათვის. ჭალათობას სახელმწიფოებრივ აუცილებლობად უთვლიან
და გენიალობას უფასებენ. ისტორია მას პეტრე დიდს უწოდებს.

ახლა ვნახოთ რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში. .

საქართველოში თვით გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის ხანაშიც
არ ყოფილა სახელმწიფო ისე ძლიერი, როგორც ეს აბსოლუტიზმის დროს იყო
დასავლეთ ეროვნაში და მით უფრო რუსეთში. XII საუკუნეშიც კი, როცა სა-
ქართველოს ძლიერებამ ზენიტს მიაღწია, ქართველი მეფის ძლიერება არ იყო
მანამდე არსებულ ყველა ძალაუფლებასთან შედარებით ძლიერი და ღონიერი.
ამიტომ საქართველოში სახელმწიფოს ფაქტობრივად არ შეეძლო საზოგადო-
ებაზე გაბატონება. როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური სიძლიერით
ქართული ფეოდალური მონარქია ვერ შეეცრებოდა აბსოლუტური მონარქი-
ის ღონებზე აღზევებულ სახელმწიფოებს, რომლებიც უფრო მაღალ სოცია-
ლურ-ეკონომიკურ ბაზისს ეყრდნობოდნენ და „მესამე წოდებას“ და ფეო-
დალებს შორის წინააღმდეგობას მოხერხებულად იყენებდნენ სახელმწიფო
ხელისუფლების სასარგებლოდ. გარდა ამისა, ქართულ ფეოდალურ მონარქი-
ის XII საუკუნეში სხვა უფრო რთული ამოცანებიც ჰქონდა გადასაჭრელი,
ვიდრე ეკონომულ მონარქიებს XVII-XVIII საუკუნეებში.

ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში ქართული სახელმწიფოს დამსჯელი
ხელისუფლება, სასჯელთა ქართული სისტემა. ვერ იქნებოდა ისე მკაცრი. რო-
გორც აბსოლუტური მონარქიებისათვის იყო დამახასიათებელი. გარდა ამისა,
სერიოზული მნიშვნელობის ფაქტორი უნდა ყოფილიყო ქართული კულტურის
პუმანური ტრადიციები, სახელმწიფოს მეთაუროა ანუ მეფეთა, აგრეთვე დი-
დებულთა სუბიექტური თვისებები და მონაცემები. კულტურული ბიზანტიის
დიდი გავლენა.

სიკვდილით დასჭა და სხეულებრივი სასჯელების ჩშირი გამოყენება რუ-
სეთში. მისივე ისტორიის, რუსული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი და გარ-
კვეულად აუცილებელი პროცესი.

სიკვდილით დასჭა ჩშირად მიმართავდნენ აგრეთვე შუა საუკუნეების ინ-
გლისში. ინგილისი და რუსეთი შესაბამისად ითვლებოდნენ სიკვდილით დას-
ჭას და სხეულებრივი სასჯელების კლასიკურ ქვეყნებად.

ფაქტია, რომ გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში ორცერთ ზე-
მობსენებულ უკიდურესობას ადგილი არ ჰქონია. იმ დროსაც კი, როდესაც
საქართველოში მწვავე კლასობრივი ბრძოლები მიმდინარეობდა. მკაცრ სას-
ჯელებს იყენებდნენ, მაგრამ შედარებით შეზღუდულ ფარგლებში. მხედველო-
ბაში მისალებია ისიც, რომ ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწეები, ეჭ-
ვითმე და გიორგი მთაწმინდელები, ეფრემ მცირე, მართლმსაჯულებასა და კა-
ნონმდებლობაში ჰუმანურობის, გონივრული ლმობიერების მომხრენი იყვნენ,
ეფრემ მცირეს აზრით არ არის მოსაწონი შურისძიებით ნაკარნახევი სასჯელი.
ეს უკანასნელი მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის განხორციელების
საქმეს უნდა ემსახურებოდეს. აგრორის თქმით სასჯელის მიზანია „მართლმსა-
ჯულებითი იგი მიხდა პატიუისა“².

მართალია, ძლიერი ქართველი შეფეხები ბაგრატ მესამე, დავით აღმაშენე-
ბელი და გიორგი მესამე საჭიროების შემთხვევებში მკაცრ სასჯელებსაც მიმარ-
თავდნენ ხოლმე, მაგრამ მათ არასოდეს მიუღიათ ისეთი მასობრივი ხასიათი,
როგორც ეს XVI საუკუნის რუსეთში ხდებოდა.

ცნობილია, გიორგი მთაწმინდელისგან ბაგრატ IV-ის დამოძღვრა: „უმეტეს
ყოვლისა წყალობა შეიტყოს. რამეთუ წყალობა და სამართალი უყვარს
უფალსათ“. .

თვით ისეთი ქმედობაუნარიანი და ძლიერი მეფე, როგორც დავით აღ-
მაშენებელი იყო, მრავალი შინა და საგარეო ომის გადამხდელი, ქვეყნისა და
სახელმწიფოს მამა, ისტორიულ წყაროებში მაღალი ზნეობის განათლებულ
მონარქიდ მოჩანს. თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ დავითი ყოფილიყო სას-
ტიკი რეპრესიების მომხრე, მოღალატეთა და ორგულთა მიმართ მკაცრი. ლაშა
გიორგის დროინდელი მემატიანე დაჭით აღმაშენებლის შესახებ წერს, რომ
იგი „ერთგულთა შემწყნარებელი იყო და შეცოდებულთა სამართლიანად მწურ-
ოლი“-ო.

დავითის ისტორიკოსის სიტყვით მეფეს ახასიათებდა დამნაშავეთა გამოს-
წორებაზე ზრუნვა. მეფემ განდგომილი ლიპარიტ ამირა დააპატიმრა — „პყრო-
ბილ ყო უამ რაოდენმე, რომელიც კმა იყო განსასწავლელად გონიერისა ვის-
ტე“. რამდენადაც მოღალატე ფეოდალის გამოსწორებას საშველი არ დაადგა,
მან იგი საქართველოდან გააძევა.

ცხადია, მეფეს მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესებით რომ ეხელმდღვანელა
და მხედველობაში არ მიეღო ჰუმანურობის, გონივრული ლმობიერების პრინ-
ციპები. გამოუსწორებელ მოღალატე ამირას იგი სიკვდილით დასჭიდა. მაგ-
რამ დამნაშავეთა წვრთნა-გამოსწორების იდეამ, საელმწიფო უშიშროების და
სახელმწიფო აუცილებლობის იდეას სძლია.

საერთოდ, შედარებით ძლიერი სამეფოს მეთაურებიც კი საქართველოში
იშვიათ შემთხვევებში მიმართავდნენ სიკვდილით დასჭას. ამ მხრივ მკაცრი მეფე
გიორგი მესამის მეფობის ხანაც არ იყო გამონაკლისი. მართალია, რამდე-

² „შველი საქართველო“, ტ. III, ტფილისი, 1913-1914, გვ. 258.

ნიმე მოღალატე მან სიკვდილით დასაჭა, მაგრამ ეს განსაკუთრებული შეძლებები ხვევა იყო და იქ გარკვეულ გამონაკლისთან გვაქვს საქმე.

ისტორიკოსის თქმით, თამარ მეფე თავისი ზეობის წლებში არა თუ სიკვდილით სჯიდა დამნაშავებებს, არამედ „არც თუ ტაჯგანაგი უბრძანა ვის სადმე კრევად“³-ო. თამარ მეფე ისეთი ბრძენი და ამაღლებული ჭიუის პატრონი იყო, რომ თავისი „განგების“ მანძილზე მისი განკარგულებით არავინ დაუსჯით ღირსების შეურაცხმყოფელი იმგვარი სასჯელით, როგორიც მათხაზით ცემაა. მისთვის უცხო იყო აგრეთვე სასჯელები — დაბრძავება და დასაზიჩრება. ისტორიკოსი აქებს და იწონებს მეფის ასეთ საქციელს.

ის გარემოება, რომ თამარ მეფე სიკვდილით დასჯისა და ასოთდამაზიანებელი, დამასახიჩრებელი სასჯელების მოწინააღმდეგ იყო, შეუსაუკუნეების ისტორიაში მას საპატიო ადგილს უმკვიდრებს.

ქართველი ისტორიკოსები, რომელთა თხზულებებიც შემდეგ „ქართლის ცხოვრება“-ში შევიდა, ერთხმად აღასტურებენ, რომ სასჯელთა სისტემის ჰუმანურობამ საქართველოში დადებითი შედეგები მოიტანა.

თამარ მეფის დროს არსებული ვითარების შესახებ უფრო ზუსტ ცნობებს გვაწვდის მისი მეორე ისტორიკოსი — ბასილი ეზოსმოძღვარი:

„დღეთა შინა თამარისთა არავინ გამოჩნდა მიმდლავრებული მეცნიერებითა მისითა, არცავინ დასჯილი. თვინიერ ძულისა სჯულის, რომელ ძეს ავაზია ზედა, ძელსა ზედა ჩამორჩობა. თვით არც ვის ღირსა სიკვდილისასა და არც პატივისასა მიეხადა თანანადები. არც ვინ ბრძანებითა მისითა ასომოკუეთილ იქნა, და არცა სიბრძინითა დაისაჭა, თვინიერ გუზან, ღირსი სიკუდილისა, რომელ ორგულებით განდგა და კოლას სადმე მთათა შინა ავაზაკობდა მალვით. ეს შეიძყრეს მთიბავთა ოვისათა, და დავით მეფისა წინაშე მოიყანეს. ხოლო მან იცოდა დიდი მოწყვალება თამარისა, ამისთვის მისსა შეკითხვამდის თუალნი დასწუნა ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტიანეთასა“³.

თამარის ორივე ისტორიკოსის ცნობების შექერებით ირკვევა, რომ თამარის მეფობის ხანაში ცველაზე მძიმე დამნაშავებებსაც კი სიკვდილით არ სჯიდნენ. ცხადია, სიკვდილით არ დაუსჯიათ პოლიტიკური დამნაშავებებიც.

ქველი ქართული წესის თანახმად, სიკვდილით დასჭა ან ასოთდამაზიანებელ-დამასახიჩრებელი სასჯელის გამოყენება დამნაშავების მიმართ მეფის სათანადო ნებართვის გარეშე არ შეიძლებოდა. თამარის მეფობის დროს კი არავინ დაუსჯიათ სიკვდილით. გარდა ამისა, მეფე ქალს სათანადო დამსჯელი ორგანოებისათვის არასოდეს მიუკია ასოთდამაზიანებელი, დამასახიჩრებელი სასჯელების გამოყენების ნება. შეიძლება თამარის დროსაც არ იყო გაუქმებული გიორგი მესამის მიერ შემოღებული კანონი რეციდივისტ-ავაზაკების, მრავალჯერ მპარავ-მეკობრეთა „ძელთა ზედა ჩამორჩობის“ შესახებ, მაგრამ ალბათ მეფე სიკვდილმისჯილს სასჯელს უმსუბუქებდა. თუ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის მიერ მოწოდებული ცნობა ზუსტია, მაშინ თამარის ეპოქის საქართველოში ავაზაკობის შემთხვევები თითქმის არ უნდა ყოფილიყო. ერთადერთი ავაზაკი, რომელიც თამარის დროს თვალების ამოწვით, დაბრძავებით დასაჯეს, გუზან ტაოსკარელი იყო. თამარის მეუღლემ, დავით სოსლანმა თავის თვაზე აიღო მისი მკაცრად დასჭა და წესი დაარღვია, თამარ მეფის დაუკითხავად დაბრძავა.

ისტორიკოსის თქმით სასჯელთა შემსუბუქებას დადებითი შედეგები მო-

³ „ქართლის ცხოვრება“. ტ. 11. 1959, ს. ყოვხჩიშვილის რედ. გვ. 141.

უტანია ქვეყნისათვის. თამარის მეფობის დროს „ქარავანს ვერავინ ძალუეიდაშაულიანია“⁴. ამერი და იმერი, ძეველი სამეფო მათი აფხაზეთისა დაშანარებით ჰქონდა, რომელ ერთიცა ქათამი არსად მოიკვლოდა; მპარავი, ავის-მოქმედი ობარ იყო. თუ ნაპარევი ვინჩე პოვის, კარსა ზედა მიიღის და დროშათა ქუეშე დადვის. თესმან, მთიულმან და ყიფჩაუმან და სუანმან ვერ იკადრიან პარვა“⁵.

როცა ლიპარიტ ერისთავის შთამომავლებმა ხუთმა ძმამ, ანტონ კუონდიდლის ორი ძმა გამოასალმეს წუთისოფელს, თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ მევლელებს სასტიკად დასჯილენ. მაგრამ მკვლელები ჭერ ცასეში ჩამწყვდიეს, ხოლო შემდევ მაკედონიაში გააძევეს.

როგორც ჩანს, თამარ მეფის დასჯითი პოლიტიკა ხალხის მხარდაჭერას პოულობდა. ხალხმა თამარის ჰუმანიზმი იმით დააფასა, რომ ხალხურ სიტყვირებაში მას უკვდავი ძეგლი აუგო. არც ერთ ქართველ მეფეს არ ლირსებია ხალხის იმდენი პატივისცემა, როგორიც თამარს ერგო.

სულ სხვა საკითხია, რამდენად სწორი იყო თამარის მემკვიდრის, ლაშა-გიორგის პოლიტიკა. ეს იყო უშუალოდ მონღოლთა შემოსევების წინა პერიოდი და დრო სასტიკ დისტიპლინას, დიდი განსაცდელისათვის ხალხის მომზადებას მოითხოვდა. საამისოდ საქართველოს გენიალური ჯალათი მეფე კი არ სკირდებოდა, არამედ ისეთი ბრძენი და გონიერი კაცი, როგორც დავით აღმაშენებელი იყო, სწორედ დავითს შესწევდა იმის უნარი, რომ იგი დიდი მეფეც ყოფილიყო, დიდი ადამიანიც და ჰუმანისტიც. დავით აღმაშენებლის გენიალური პატრიოტიზმი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი იყო დიდი სახელმწიფით მოღვაწეც და უაღრესად ლმობიერი ადამიანიც — „შეცოდებულთა სამართლიანად მწურთელი“.

ერთობლიობაში ქართული სამართალი მართლაც ჰუმანური იყო. მას არა-სოდეს უდალატია ამ პრინციპისათვის იმ ფარგლებში, რის საშუალებასც იძლეოდა ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ვითარება. იმის შიუხედავად, რომ ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის სავსებით უცხო არ იყო ბრალდებულის წამებით გამოტეხის ხერხები და მსჯავრდებულის სიკვდილით დასჯის საშინელი სახეები, საქართველოს ისტორიის დიდ მონაკვეთზე მაინც შედარებითი ლმობიერება იგრძნობოდა.

ქართული სინამდვილის ერთგვარი გავლენით, სიკედილით დასჯის შეზღუდვისა და სასჯელთა შემსუბუქების ტენდენციას ატარებს მხითარ გოშის (გარდაიცვალა 1213 წ.) სამართლის წიგნიც. ჩრდილოეთ სომხეთი, სადაც გოში ცხოვრობდა, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შემოდიოდა.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სასჯელთა სისტემის ჰუმანურობა, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, განაპირობა საქართველოს იმ სოციალურ-ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ცხოვრებამ, რომელიც მან თავისი არსებობის ხსენებულ პერიოდში გაიარა.

⁴ „ქართლის ცხოვრება“, ანა დედოფლისეული ნუსხა, თბ., 1942, გვ. 240.

⁵ „საბელმწიფო და სამართალი“, № 5.

სახართაშორისო პარტი

სამოქალაზო და პოლიტიკური უფლებების უსახება

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახსიათებელი ღირსების, მათი თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება არის თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველი:

აღიარებენ, რომ ეს უფლებები გამომდინარეობენ ადამიანისათვის დამახსიათებელი ღირსებიდან,

აღიარებენ, რომ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, თავისუფალი, შიშისა და გაჭირვებისაგან თავისუფალი ადამიანის პიროვნების იდეალის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ შეიქმნა ისეთი პირობები, როცა თითოეული შეძლებს ისარგებლოს თავისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით, ისევე როგორც თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებით,

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით სახელმწიფოები ვალდებული არიან წაახალისონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემა და დაცვა;

ითვალისწინებენ, რომ თითოეული ცალკეული ადამიანი, აქვს რა ვალდებულებანი სხვა ადამიანებისა და იმ კოლექტივის მიმართ, რომელსაც ეკუთვნის, უნდა იღვწოდეს ამ პაქტით აღიარებულ უფლებათა წახალისებისა და დაცვისათვის;

შეთანხმდნენ შემდეგი მუხლების გამო:

ნაწილი I

მუხლი 1

1. ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად აწესებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ. თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

2. ყველა ხალხს თავისი მიზნების მისაღწევად შეუძლია თავისუფლად

მოიხმაროს თავისი ბუნებრივი სიმდიდრენი და რესურსები ისე, რომ ზიაჩიძე არ მიაყენოს ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საერთა-შორისო ეკონომიკური თანამშრომლობიდან და საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულებას. არც ერთ ხალხს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წაერთვას საარსებო საბსრები, რომლებიც მას ეკუთვნის.

3. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფო, მათ შორის ის სახელმწიფო-ები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა არათვითმმართველი და სამეურვეო ტერიტორიების მართვისათვის, უნდა ახალისებდეს თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას და პატივს სცემდეს ამ უფლებას.

ნაწილი II

მუხლი 2

1. ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას პატივი სცეს და მის ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისათვის უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებები, რაიმე განსხვავების გარეშე, როგორიცაა განსხვავება რაისის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამისის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოების გამო.

2. თუ ეს უკვე გათვალისწინებული არ არის არსებული საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებებით, ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი თავისი საკონსტიტუციო პროცედურებისა და ამ პაქტის შესაბამისად, რათა მიიღოს საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს ამ პაქტით აღიარებული უფლებების განხორციელებისათვის.

3. ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას:

ა) ყველა პირი, რომლის ამ პაქტით აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი შელახულია, უზრუნველყოს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს დარღვევა ჩაიდინეს ოფიციალურად მოქმედმა პირებმა;

ბ) უზრუნველყოს, რომ თითოეული პირის სამართლებრივი დაცვის უფლებას, ვინც კი ასეთ დაცვას მოითხოვს, ადგენდნენ კომპეტენტური სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ხელისუფალი ან გათვალისწინებული სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემით, ყოველი სხვა კომპეტენტური ორგანო და განავითაროს სასამართლო დაცვის შესაძლებლობანი;

ც) უზრუნველყოს კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ სამართლებრივი დაცვის იმ საშუალებათა გამოყენება, რომლებსაც მათ აძლევს.

მუხლი 3

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ მამაკაცებისა და ქალების თანაბარი უფლება ისარგებლონ ამ პაქტით გათვალისწინებული ყველა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებებით.

1. სახელმწიფოში საგანგებო წესების შემოღების დროს, როცა ერთს სიცოცხლე საფრთხეშია და ეს ოფიციალურად გამოაცხადეს, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაუხვიონ პაქტით ნაკისრ თავიანთ ვალდებულებებს იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმძაფრე, და განახორციელონ ღონისძიებანი იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებანი შეუთავსებელი არ იქნება საერთაშორისო სამართლით დაკისრებულ სხვა ვალდებულებებთან და მათ არ მოჰყება დისკრიმინაცია მხოლოდ და მხოლოდ რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიისა თუ სოციალური წარმოშობის საფუძველზე.

2. ეს დებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს რაიმე გადახვევებს მე-6, 7, 8 (1 და 2 პუნქტები), 11, 15, 16 და 18 მუხლებიდან.

3. ამ პაქტის მონაწილე კველა სახელმწიფომ, რომელიც იყენებს გადახვევის უფლებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის საშუალებით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამ პაქტის მონაწილე სხვა სახელმწიფოებს, თუ რომელ დებულებებს გადაუხვია და რა მიზეზებმა მიაღებინეს ასეთი გადაწყვეტილება. იმავე შუამავლის საშუალებით მან უნდა შეატყობინოს აგრეთვე თარიღი, როცა შეწყვეტს ასეთ გადახვევას.

მუხლი 5

1. ამ პაქტში არ შეიძლება არაფრის განმარტება ისე, თითქოს ნიშნავდეს, რომ რომელიმე სახელმწიფოს, რომელიმე ჯგუფს ან რომელიმე პირს ჰქონდეს უფლება ეწეოდეს რაიმე საქმიანობას ან სჩადიოდეს რაიმე მოქმედებას, რომელთა მიზანია ამ პაქტით აღიარებული რომელიმე უფლებისა თუ თავისუფლების მოსპობა ან მათი შეზღუდვა უფრო მეტად, ვიდრე ეს პაქტი ითვალისწინებს.

2. არ შეიძლება შეიზღუდოს ან დაკნიდეს ადამიანის რომელიმე ძირითადი უფლება, რომელიც აღიარებულია ან კანონის, კონვენციების, წესებისა თუ ზე-ჩე-უფლებების ძალით არსებობს პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოში, იმ საბაბით, რომ ამ პაქტით ასეთი უფლებები აღიარებული არ არის ან აღიარებულია ნაკლები მოცულობით.

ნაწილი III

მუხლი 6

1. სიცოცხლის უფლება თითოეული ადამიანის განუყოფელი უფლებაა. ამ უფლებას იცავს კანონი. არავის არ შეიძლება თვითნებურად წართვან სიცოცხლე.

2. ქვეყნებში, რომელებსაც არ გაუუქმებიათ სიკვდილით დასჭა, სიკვდილის განაჩენი შეიძლება გამოიტანონ მხოლოდ ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის იმ კანონის შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა დანაშაულის ჩადენის დროს და არ ეწინააღმდეგება ამ პაქტისა და გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებასა და მისთვის დასჭის შესახებ კონვენციის დებულებებს. ეს დასჭა

შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპეტენტური სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო განაჩენის შესასრულებლად.

3. როცა სიცოცხლის წართმევა გრძნოციდის დანაშაულს შეაღენს, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ. რომ ამ მუხლში ორაფერი არ ძლევს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს უფლებას, რომ რამე საშუალებით გადაუხვიონ რომელიმე ვალდებულებას, რომელიც იყისრებს გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისთვის დასჭის შესახებ კონვენციის დებულებათა შესაბამისად.

4. თითოეულს. ვისაც სიკვდილი მიუსაჭეს, უფლება აქვს ითხოვოს შეწყალება ან განაჩენის შერბილება. ამნისტია. შეწყალება ან სიკვდილის განაჩენის შეცვლა შეიძლება ნამოქმები იყოს ყველა შემთხვევაში.

5. სიკვდილის განაჩენის გამოტანა არ შეიძლება დანაშაულისათვის, რომელიც ჩაიდინეს თვრამეტ წლამდე ასაკის პირებმა, და მისი შესრულება არ შეიძლება ფერზმიმე ქალების მიმართ.

6. ამ მუხლში ორაფერი არ შეიძლება იყოს იმის საფუძველი, რომ ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფომ გადადოს ან არ დაუშვას სიკვდილით დასჭის გაუქმება.

მუხლი 7

არავინ არ უნდა განიცდიდეს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან მისი ლისტების დამამცირებელ მოქცევასა თუ სასჯელს. კერძოდ, არც ერთ პირზე, თუ არ იქნა მისი თავისუფალი თანხმობა, არ შეიძლება სამედიცინო ან სამეცნიერო ცდების ჩატარება.

მუხლი 8

1. არავინ არ უნდა ცხოვრობდეს მონობაში; აკრძალულია ყველა სახეობის მონობა და მონათვაჭრობა.

2. არავინ არ უნდა ცხოვრობდეს დაბეჩავებულ მდგომარეობაში.

3. a) არავის არ უნდა აიძულონ იძულებითი თუ სავალდებულ შრომა;

b) იმ ქვეყნებში, სადაც დანაშაულისათვის სასჯელის სახით შეიძლება დანიშნონ თავისუფლების აღვეთა, რომელიც დაკავშირებულია საკატორო სამუშაოებთან. მე-3 პუნქტი (a) არ ითვლება დაბრკოლებად, რათა შესრულდეს საკატორო სამუშაოები იმ კომპეტენტური სასამართლოს განაჩენით, რომელმაც ასეთი სასჯელი დანიშნა;

c) ამ პუქტში ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო შრომა“ არ შეიცავს:

i) როგორიც უნდა იყოს სამუშაოს თუ სამსახურს, რომელიც ნახსენები არ არის ხელშეკრუნვის, და რომელიც, როგორც წესი, უნდა შეასრულოს სასამართლოს კანონიერი განკარგულების საფუძველზე პატიმრობაში მყოფმა პირმა, ან ასეთი პატიმრობიდან პირობითად გნათვისუფლებულმა პირმა;

ii) როგორიც უნდა იყოს სამხედრო ხასიათის, სამსახურს, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც აღიარებულია სამხედრო სამსახურზე უარის თქმის პოლიტიკური თუ რელიგიურ-ეთიკური მოტივებით, როგორიც უნდა იყოს სამსახური, რომელიც კანონით გათვალისწინებულია ასეთი მოტივებით სამხედრო სამსახურზე უარის მთქმელ პირთათვის;

iii) როგორიც უნდა იყოს სამსახური, რომელიც სავალდებულოა საგვარეულოს გებო წესებისა თუ უბედურების დროს, რაც საფრთხეს უქმნის მოსახლეობის სიცოცხლესა თუ კეთილდღეობას;

IV) როგორიც უნდა იყოს სამუშაო თუ სამსახური, რომელიც შედის ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ მოვალეობებში.

მუხლი 9

1. თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ არ შეიძლება თვითნებურად დაპატიმრონ ან პატიმრობაში აიყვანონ. არავის არ შეიძლება თავისუფლება აღსუკვეთონ სხვაგვარად, თუ არა ისეთ საფუძველზე და ისეთი პროცედურის შესაბამისად, რომლებიც კანონით არის დაწესებული.

2. თითოეულ დაპატიმრებულს დაპატიმრების დროს ეუბნებიან მისი დაპატიმრების მიზეზებს და სასწრაფო წესით ატყობინებენ, თუ რა ბრალდების უყენებენ.

3. სისხლის სამართლის ბრალდებით დაპატიმრებული თუ დაკავებული ყოველი პირი სასწრაფო წესით უნდა მიიყვანონ მოსამართლესთან ან სხვა თანამდებობის პირთან, რომელსაც კანონით უფლება აქვს განახორციელოს სასამართლო ხელისუფლება, და დაპატიმრებულ ან დაკავებულ პირს გონივრული ვალის მანძილზე აქვს სასამართლო გარჩევისა თუ განთავისუფლების უფლება. სასამართლო გარჩევის მოლოდინში დაპატიმრებულთა ყოფნა საკრთო წესი არ უნდა გახდეს, მაგრამ მათი განთავისუფლება შეიძლება დამკიდებული იყოს სასამართლოში გამოცხადების, სასამართლო გარჩევის უკელის სტადიაში გამოცხადების და, საჭიროების შემთხვევაში, განაჩენის შესასრულებლად გამოცხადების გარანტიების წარდგენაზე.

4. თითოეულს, ვისაც თავისუფლება აღეკვეთა დაპატიმრებისა თუ პატიმრობაში აყვანის შედეგად, აქვს უფლება, რომ მისი საქმე გაარჩიოს სასამართლომ, რათა ამ სასამართლომ დაუყოვნებლივ გამოიტანოს დაღენილება, კანონიერია მისი დაკავება თუ არა, და გასცეს განკარგულება მისი განთავისუფლების შესახებ, თუ უკანონოდ იყო დაკავებული.

5. თითოეულს, ვინც უკანონოდ დაპატიმრებისა თუ პატიმრობაში აყვანის მსხვერპლი გახდა, აქვს კომპენსაციის უფლება, რომელსაც სარჩელის ძალა ენიჭება.

მუხლი 10

1. ყველა თავისუფლებაარყეოთილ პირს აქვს უფლება, რომ პუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის, ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ირსებას.

2. a) იმ შემთხვევებში, როცა არ არის განსაკუთრებული გარემოებანი, ბრალდებულებს ათავსებენ მსჯავრდადებულებისაგან ცალკე და უწესებენ ცალკე რეჟიმს, რომელიც შეესაბამება არამსჯავრდადებულ პირთა სტატუსს;

b) არასრულწლოვან ბრალდებულებს ათავსებენ სრულწლოვანებისაგან ცალკე და უმოკლეს ვადაში წარუდგენენ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოსატანად.

3. პენიტენციალური სისტემით პატიმრებისათვის. გათვალისწინებულია რეესიმი, რომლის არსებითი მიზანია მათი გამოსწორება და ახლებური სოციალური ორგანიზაცია. არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს აცალებენ ვალუტურის სრულწლოვანებისაგან და უწესებენ რეესიმს, რომელიც შეესაბამება მათს ასაქსა და სამართლებრივ სტატუსს.

მუხლი 11

არავის არ შეიძლება იღებვეთოს თავისუფლება მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ არ შეუძლია შეასრულოს რამე სახელშექრულებო ვალდებულება.

მუხლი 12

1. თითოეულს, ვინც კანონიერად იმყოფება რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამ ტერიტორიის ფარგლებში უფლება აქვს თავისუფლად გადაადგილდეს და თავისუფლად აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი.

2. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება წავიდეს ყოველი ქვეყნიდან, მათ შორის საკუთარი ქვეყნიდან.

3. ზემოთ აღნიშნული უფლებები არ შეიძლება გახდეს რამე შეზღუდვის ობიექტი, გარდა იმ შეზღუდვებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, საჭიროა სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ ზნეობის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის და ეთავსება ამ პაქტით აღიარებულ სხვა უფლებებს.

4. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოართვან უფლება ჩავიდეს თავის საკუთარ ქვეყანაში.

მუხლი 13

უცხოელი რომელიც კანონიერად იმყოფება ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, შეიძლება გაასახლონ მხოლოდ კანონის შესაბამისად გამოტანილი გადაწყვეტილების შესასრულებლად, და, თუ სახელმწიფო უშიშროების იმპერატიული მოსაზრებანი სხვას არ მოითხოვენ, მას უფლება აქვს წარმოადგინოს უდავო საბუთები თავისი გასახლების წინააღმდეგ, მოითხოვოს, რომ მისი საქმე გადასინჯოს კომპეტენტურმა ხელისუფლებამ ან პირმა თუ პირებმა, რომლებსაც სპეციალურად დანიშნავს კომპეტენტური ხელისუფლება, რომ ამ მიზნით წარსდგეს ამ ხელისუფლების, პირისა თუ პირთა წინაშე.

მუხლი 14

უცელა პირი თანასწორია სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე. თითოეულს აქვს უფლება მისთვის წაყენებული ყოველი სისხლის სამართლის შრალდების განხილვისას, ან რომელიმე სამოქალაქო პროცესში მისი უფლება-მოვალეობის განსაზღვრისას, რომ მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. შეიძლება, რომ პრესა და საზოგადოება არ დაუშევან მთელ სასამართლო გარჩევაზე თუ მის ნიშილზე მორალის.

დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი წესრიგისა თუ სახელმწიფო უშიშროების მოსაზრებებით ან როცა ამას მოითხოვს მხარეთა კერძო ცხოვრების ინტერესები, ან იმდენად, რამდენადაც ეს, სასამართლოს აზრით, ძალზე საჭიროა, განსაკუთრებულ ვითარებაში, როცა საჯაროობა შელახავს მართლმსაჯულების ინტერესებს; მაგრამ ყოველი სისამართლო დადგენილება სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო საქმის გამო საჯარო უნდა იყოს, იმ შემთხვევების გარდა, როცა არასრულწლოვანთა ინტერესები სხვას მოითხოვენ, ან, როცა საქმე ეხება მატრიმონიალურ დავის ან ბავშვთა მეურვეობას.

2. თითოეულს, ვისაც ბრალად სდებენ სისხლის სამართლის დანაშაულს, უფლება აქვს ჩაითვალოს უდანაშაულოდ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. თითოეულს აქვს უფლება მისთვის წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას როგორც მინიმუმი მიიღოს შემდეგი გარანტიები სრული თანასწორობის საფუძველზე:

a) სასწრაფო წესით და დაწვრილებით შეატყობინონ იმ ენაზე, რომელიც ესმის, თუ რა ხასიათისაა და რა საფუძველზე წაყენებს ბრალდება;

b) ჰქონდეს საქმარისი დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს თვის დასაცავად და შეხვდეს მის მიერ არჩეულ დამცველს;

c) გაასამართლონ გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე;

d) გაასამართლონ მისი თანდასწრებით და დაიცვას თვის პირადად ან მის მიერ არჩეულ დამცველის საშუალებით; თუ მას არ ჰყავს დამცველი, უნდა შეატყობინოს ეს უფლება და ჰყავდეს მისთვის დანიშნული დამცველი ყველა შემთხვევაში, როცა მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვენ, უსასყიდლოდ იმ შემთხვევაში, როცა არა აქვს საქმარისი სახსრები ამ დამცველის ასანაზღაურებლად.

e) დაკითხოს მოწმენი, რომლებიც მის წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებას, ან ჰქონდეს უფლება, რომ ეს მოწმეები სხვამ დაკითხოს, და ჰქონდეს უფლება, რომ გამოიძახონ და დაკითხონ მისი მოწმენი იმავე პირობებით, რომლებიც არსებობს მის წინააღმდეგ გამოსული მოწმეებისათვის;

f) ისარგებლოს თარგიმინის უფასო დახმარებით თუ არ ესმის ენა, რომელსაც სასამართლოში ხმარობენ, ან არ ლაპარაკობს ამ ენაზე;

g) არავინ არ აიძულოს, რომ ჩვენება მისცეს საკუთარი თვის წინააღმდეგ, ან თავი დამნაშავედ იღიაროს.

4. არასრულწლოვანთა მიმართ პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ გაითვალისწინონ მათი ასაკი და მათი ხელახალი აღზრდისათვის ხელშემწყობის სასურველობა.

5. თითოეულს, ვინც მსჯავრდადებულია რაიმე დანაშაულისათვის, აქვს უფლება, რომ მისი მსჯავრდადება და განაჩენი გადასინჯოს ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამ კანონის შესაბამისად.

6. თუ რომელიმე პირს საბოლოოდ გადაწყვეტილებით დასდეს მსჯავრი სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და თუ მისთვის გამოტანილი განაჩენი შემდგომში გააუქმეს ან მისთვის ნაბოძები იყო შეწყალება იმ საფუძველზე, რომ რაიმე ახალი ან ახლად აღმოჩენილი გარემოება უცილობლად ამტკიცებს, რომ მოხდა სასამართლო შეცდომა, მაშინ ეს პირი, რომელიც დაისაჭა ასეთი მსჯავრდადების შედეგად, იღებს კომპენსაციას კანონის თანაბმად, თუ არ დამტკიცდა, რომ აღნიშნული უცნობი გარემოება თვის დროზე ვერ აღმოჩინეს მხოლოდ მისი ან ნაწილობრივ მისი მიზეზით.

7. არავინ არ შეიძლება მეორედ გაასამართლონ ან დასაჯონ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი უკვე საბოლოოდ იყო მსჯავრდადებული ან გამართებული თითოეული ქვეყნის კანონისა და სისხლის სამართლის პროცესუალური სამართლის შესაბამისად.

მუხლი 15

1. არავინ არ შეიძლება ცნონ დამნაშავედ რაიმე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის რომელიმე ისეთი მოქმედებისა თუ შეცდომის შედეგად, რომელიც მისი ჩადენის მომენტში მოქმედი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობისა თუ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად არ იყო სისხლის სამართლის დანაშაული. ასევე არ შეიძლება დაინიშნოს უფრო მძიმე სასჯელი. ვიდრე ის, რომელიც უნდა გამოვყენებინათ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მომენტში. თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ კანონით წესდება უფრო მსუბუქი სასჯელი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ამ დამნაშავეზე.

2. ამ მუხლში არაფერი არ უშლის ხელს, რომ ყოველი პირი გადაეცეს სასამართლოს და დაისაჭიროს ყოველი მოქმედებისა თუ შეცდომისათვის, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად ჩადენის მომენტში სისხლის სამართლის დანაშაული იყო.

მუხლი 16

თითოეულ ადამიანს, სადაც უნდა იყო იგი, აქვს უფლება, რომ ცნონ მისი სუბიექტობის უფლება.

მუხლი 17

1) არავინ არ უნდა განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან მისი კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა ან მისი ლირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა.

2. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, რომ კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა თუ ასეთი ხელყოფისაგან.

მუხლი 18

1. თითოეულ ადამიანს აქვს აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება, ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას პერსონალის აღებდეს რელიგიისა თუ მრწამს საკუთარი არჩევანით და თავისუფლებას აღიარებდეს თავის რელიგიისა და მრწამს როგორც ერთპიროვნულად, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ თუ კერძო წესით, ასრულებდეს კულტს. რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩერეულებებსა და მოძღვრებას.

2. არავინ არ უნდა განიციდეს იძულებას, რომელიც ლაბავს მის თავისუფლებას იქონიოს ან მიიღოს რელიგიი თუ მრწამსი საკუთარი არჩევანით.

3. რელიგიისა თუ მრწამსის აღიარების თავისუფლებას შეიძლება დაუ-

წესდეს მხარეობის შეზღუდვები, რომლებიც დადგენილია კანონით და საჭიროა საზოგადოებრივი უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

4. ამ პაქტის მონაშილე სახელმწიფოები კასტრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ მშობელთა და, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეთა თავისუფლებას უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი ღრმულდა საკუთარი მრწამსის შესაბამისად.

მუხლი 19

1. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად ჰქონდეს საკუთარი აზრი.

2. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას, რომ სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით თუ პრესისა და გამოხატვის მხატვრული ფორმების საშუალებით ან სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა განსაკუთრებულ მოვალეობას და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აქისრებს. მაშასადამე, იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს ზოგიერთ შეზღუდვასთან, რომლებიც უნდა იყოს კანონით დადგენილი და აუცილებელი:

ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის;

ბ) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ ზნეობის დასაცავად.

მუხლი 20

1. ომის ყოველგვარი პროპაგანდა უნდა აიკრძალოს კანონით.

2. ყოველგვარი გამოსვლა ეროვნული, რასობრივი თუ რელიგიური შულის სასარგებლოდ, რაც წარმოადგენს დისკრიმინაციის, მტრობისა თუ ძალადობის წაქეზებას, უნდა აიკრძალოს კანონით.

მუხლი 21

ალიარებულია მშვიდობიანი კრებების უფლება. ამ უფლებით სარგებლობას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც შეესაბამება კანონს და საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვისა თუ სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებისათვის.

მუხლი 22

1. თითოეულ ადამიანს აქვს სხვებთან ასოციაციის თავისუფლების უფლება, მათ შორის უფლება შექმნას პროფესიონალურები და შევიდეს პროფესიონებში თავისი ინტერესების დასაცავად.

2. ამ უფლებით სარგებლობას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს და, რომლებიც საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნების დაცვის თუ სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებისათვის. ეს მუხლი ხელს არ უშლის, რომ ამ უფლებით სარგებლობის კანონიერი შეზღუდვები შემოიღონ იმ პირთათვის, რომლებიც შედიან შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის შემთხვენლობაში.

3. ამ მუხლში არაფერი არ აძლევს უფლებას სახელმწიფოებს, რომლებიც მონაწილეობენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1948 წლის კონვენციაში ასოციაციათა თავისუფლებისა და ორგანიზაციის უფლების დაცვის შესახებ, მიიღონ საკანონმდებლო აქტები აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების საზიანდ, ან კანონი გამოიყენონ ისეთნაირად, რომ ეს საზიანო იყოს ამ გარანტიებისათვის.

მუხლი 28

1. ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უქრედია და აქვს უფლება, რომ იგი დაიცვან საზოგადოებამ და სახელმწიფომ.

2. მამაკაცებსა და ქალებს, რომლებმაც მიაღწიეს ქორწინების ასაკს, აქვთ უფლება დაქორწინდნენ და აქვთ უფლება შექმნან ოჯახი.

3. არც ერთი ქორწინება არ შეიძლება მოხდეს მექორწინეთა თავისუფალი და სრული თანხმობის გარეშე.

4. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ საჭირო ლონისძიებანი დაქორწინების, ქორწინებაში ყოფნისა და განქორწინების დროს შეუღლეთა თანასწორი უფლებებისა და მოვალეობების უზრუნველსაყოფად. განქორწინების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ბავშვის საჭირო დაცვა.

მუხლი 24

1. თითოეულ ბავშვს რასის, კანის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის ქანებრივი მდგომარეობისა თუ დაბადების გამო ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს უფლება დაცვის ისეთ ლონისძიებებზე, რომლებიც მას, როგორც მცირეწლოვანს, უნდა გაუწიონ მისმა ოჯახმა, საზოგადოებამ და სახელმწიფომ.

2. თითოეული ბავშვი რეგისტრირებული უნდა იყოს დაუყოვნებლივ დაბადების შემდეგ და ჰქონდეს სახელი.

3. თითოეულ ბავშვს აქვს მოქალაქეობის მიღების უფლება.

მუხლი 25

თითოეულ მოქალაქეს მე-2 მუხლში ნახსენები რამე დისკრიმინაციისა და ტაუსაბუთებელ შეზღუდვათა გარეშე უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა:

a) მონაწილეობდეს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით;

b) მისცეს ხმა და არჩეულ იქნეს ნამდვილ პერიოდულ არჩევნებში, რომელიც წარმოებს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით და უზრუნველყოფს ამომრჩევლების ნება-სურვილის თვისუფალ გამოვლინებას;

c) თვის ქვეყანაში თანასწორობის საერთო პირობებით შეეძლოს სახელმწიფო სამსახურში შესვლა.

მუხლი 26

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვთ კანონის თანასწორი დაცვის უფლება. ამ მხრივ ყოველგვარი დისკრიმინაცია უნდა აიკრძალოს კანონით და კანონი უნდა უზრუნველყოფდეს ყველა პირის თანასწორ და ეფექტურ დაცვას რაიმე ნიშნის, როგორიცაა რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის პოლიტიკური თუ სხვა მრწამისის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოების გამო დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

მუხლი 27

იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობანი, პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობას ექუთვნიან, არ შეიძლება უარი ეთვათ უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ თავიანთი რელიგია და შეასრულონ მისი წესები, აგრეთვე ილაპარაკონ დედა ენაზე.

თავილი IV

მუხლი 28

1. იქმნება ადამიანის უფლებათა კომიტეტი (რომელსაც ქვემოთ ამ პაქტში ეწოდება „კომიტეტი“). მასში შედის თვრამეტი წევრი და იგი ასრულებს ქვემოთ გათვალისწინებულ ფუნქციებს.

2. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან პირები, რომლებიც ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეები არიან, აქვთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და აღიარებული კომპეტენტობა ადამიანის უფლებათა დარგში, ამასთან გათვალისწინებულია, რომ სასაჩვენებლო იურიდიული გამოცდილების მქონე რამდენიმე პირის მონაწილეობა.

3. კომიტეტის წევრებს ირჩევენ და ისინი მუშაობენ პირადად.

მუხლი 29

1. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით იმ პირთა სიიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ 28-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, და ამ მიზნით დაასახელეს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა.

2. ამ პაქტის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია დაასახელოს

არაუმეტეს ორი პირისა. ეს პირები უნდა იყვნენ ამ სახელმწიფოს მოქალაქენი.

3. ყველა პირს აქვს უფლება, რომ განმეორებით დაასახელონ.

მუხლი 30

1. პირველადი არჩევნები ეწყობა არაუგვიანეს ექვსი თვისა ამ პაქტის ძალაში შესვლის შემდეგ.

2. კომიტეტის თითოეულ არჩევნებამდე, გარდა არჩევნებისა ვაკანსიათა შესავსებად, რომლებიც ცხადდება 34-ე მუხლის შესაბამისად, სულ ცოტა ოთხი თვით აღრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი წერილობით სთხოვს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს, რომ სამი თვის მანძილზე წარმოადგინონ კომიტეტის წევრთა კანდიდატურები.

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ანბანის წესით ადგენს ასეთნაირად დასახელებულ პირთა სიას, სადაც აღნიშნულია ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები. რომლებმაც ეს პირი დაასახელოს, და უგზავნის მას ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს არაუგვიანეს ერთი თვისა თითოეული არჩევნების მოწყობის თარიღამდე.

4. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა სხდომაზე, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში. ამ სხდომაზე, რომლისთვისაც კვორუმია ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედის დასწრება, კომიტეტში არჩეულად ითვლება ის პირები, რომელთა კანდიდატურები მიიღებენ ყველაზე მეტ ხმას და მონაწილე სახელმწიფოთა იმ წარმომადგენელთა ხმების აბსულუტურ უმრავლესობას, რომლებიც სხდომას ესწრებოდნენ და კენჭისყრაში მონაწილეობდნენ.

მუხლი 31

1. კომიტეტში არ შეიძლება შევიდეს ერთი და იმავე სახელმწიფოს ერთზე მეტი მოქალაქე.

2. კომიტეტის არჩევნების დროს ითვალისწინებენ წევრთა სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებას და სხვადასხვა ფორმის ცივილიზაციისა და ძირითადი იურიდიული სისტემის წარმომადგენლობას.

მუხლი 32

1. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ოთხი წლის ვადით. მათ აქვთ უფლება ხელახლა იყონ არჩეული მათი კანდიდატურების განმეორებით დასახელების შემთხვევაში. მაგრამ ამასთან პირველ არჩევნებზე არჩეულთა შორის ცხრა წევრის რწმუნებათა ვადა იწურება ორი წლის პერიოდის დამლევს; დაუყოვნებლივ პირველი არჩევნების შემდეგ ამ ცხრა წევრის სახელებს წილისყრით განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე, რაც აღნიშნულია 30-ე მუხლის მე-4 პუნქტში.

2. რმწუნებათა ვადის გასვლის შემდეგ არჩევნები ხდება პაქტის ამ ნაწილის წინა მუხლების შესაბამისად.

1. თუ სხვა წევრთა ერთსულვანი აზრით, კომიტეტის რომელიმე წევრმა შეწყვიტა თავისი ფუნქციების შესრულება ჩაიმე მიზეზით, გარდა დროებით არყოფნის შესრულებისა, კომიტეტის თავმჯდომარე ამას ატყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც შემდეგ ამ წევრის აღგილს ვაკანტურად აცხადებს.

2. კომიტეტის რომელიმე წევრის გარდაცვალებისა თუ გადადგომის შემთხვევაში თავმჯდომარე ამას დაუყოვნებლივ ატყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც ამ აღგილს ვაკანტურად აცხადებს გარდაცვალების დღიდან, როცა გადადგომა ნამდვილი ხდება.

1. როცა 33-ე მუხლის შესაბამისად ცხადდება ვაკანსია, და თუ შესაცვლელი წევრის რწმუნებათა ვადა არ იწურება ამ ვაკანსის გამოცხადების შემდეგ ცქვის თვის მანძილზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამას ატყობინებს ამ პაქტის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია ორი თვის მანძილზე 29-ე მუხლის შესაბამისად წამოაყენოს კანდიდატურა ამ ვაკანსის შესავსებად.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ანბანის წესით ადგენს ამრიგად წამოყენებულ პირთა სიას და წარუდგენს გა ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს. შემდეგ არჩევნები ვაკანსის შესავსებად ეწყობა პაქტის ამ ნაწილის დებულებათა შესაბამისად.

3. 33-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადებული ვაკანსის შესავსებად არჩეული კომიტეტის წევრი თანამდებობრივ მოვალეობებს ასრულებს იმ წევრის რწმუნებათა ვადის დარჩენილი ნაწილის მანძილზე, რომელმაც გათვისუფლა აღგილი კომიტეტში აღნიშნული მუხლის დებულებათა შესაბამისად.

კომიტეტის წევრები იღებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ ანაზღაურებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახსრებიდან იმ წესით და პირობებით, რომლებსაც ადგენს გენერალური ასამბლეის კომიტეტის მოვალეობათა მნიშვნელობის გათვალისწინებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უზრუნველყოფს საჭირო პერსონალსა და მატერიალურ სახსრებს ამ პაქტის შესაბამისად კომიტეტის ფუნქციათა ეფექტიანი განხორციელებისათვის.

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს

კომიტეტის პირველ სხდომას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტ-
რალურ დაწესებულებებში.

2. თავისი პირველი სხდომის შემდეგ კომიტეტი იქრიბება იმ დროს, რო-
მელიც გათვალისწინებულია პროცედურის მისი წესებით.

3. ჩვეულებრივ კომიტეტი იქრიბება გაერთიანებული ერების ორგანი-
ზაციის ცენტრალურ დაწესებულებებსა თუ გაერთიანებული ერების ორგა-
ნიზაციის უწევის განყოფილებაში.

მუხლი 38

კომიტეტის თითოეული წევრი, სანამ თავის მოვალეობის შესრულებას
შეუდგებოდეს, კომიტეტის ღია სხდომაზე აკეთებს საჯარო განცხადებას, რომ
თავს ფუნქციებს შეასრულებს მიუკერძოებლად და კეთილსინდისერად.

მუხლი 39

1. კომიტეტი თავის თანამდებობის პირებს ირჩევს ორი წლის ვადით.
შეიძლება მათი ხელახლა არჩევა.

2. კომიტეტი აღგენს პროცედურის საკუთარ წესებს, მაგრამ ამ წესებით,
კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იყოს. რომ

a) კომიტეტის თორმეტი წევრი შეადგენეს კვორუმს;

b) კომიტეტი დადგენილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმის უმრავლე-
სობით.

მუხლი 40

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას
წარადგინონ მოხსენებები, თუ რა ლონისძიებანი დასახეს ამ პაქტით აღია-
რებულ უფლებათა განხორციელებისათვის და რა პროგრესს მიაღწიეს ამ
უფლებათა გამოყენებაში:

a) ერთი წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც ეს პაქტი ძალაში შევა შე-
საბამის მონაწილე სახელმწიფოთა მიმართ;

b) ამის შემდეგ ყველა შემთხვევაში, როცა ამას მოითხოვს კომიტეტი.

2. ყველა მოხსენებას წარულგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის
გენერალურ მდივანს, რომელიც მათ განსახილველად უგზავნის კომიტეტს.
მოხსენებებში უნდა აღინიშნოს ფაქტორები და სიძნელენი, თუ ასეთები არი-
ან, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ პაქტის განხორციელებაზე.

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კომიტეტ-
თან კონსულტაციების შემდეგ შეუძლია დაინტერესებულ სპეციალიზებულ
დაწესებულებებს გაუგზავნოს მოხსენებათა იმ ნაწილების ეგზემპლარები,
რომლებიც შეიძლება ეხებოდეს მათი კომპეტენციის სეფროს.

4. კომიტეტი სწავლობს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წარ-
მოდგენილ მოხსენებებს, იგი მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის თავის მოხ-
სენებებსა და ზოგადი ხასიათის ისეთ შენიშვნებს, რომლებიც მიზანშეწონილად
მიაჩინია, კომიტეტს შეუძლია აგრეთვე ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს გა-

უგზავნოს ეს შენიშვნები იმ მოხსენებათა უგზემპლარებთან ერთად, რომლებიც ბიც მიიღო ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებისაგან.

5. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ კომიტეტს წარუდგი- ენო თვითანთ მოსაზრებანი ყველა შენიშვნის გამო, რომლებიც შეიძლება გა- კეთდეს ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 41

1. ამ მუხლის შესაბამისად პაქტის მონაწილე სახელმწიფოს ყოველოვის შეუძლია განაცხადოს, რომ ცნობს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და გა- ნიხილოს ცნობა, სადაც რომელიმე მონაწილე სახელმწიფო ამტკიცებს. რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს ამ პაქტით ნაკისრ ვალდებუ- ლებებს. ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობები კომიტეტმა შეიძლება მი- იღოს და განიჩილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგინა მონა- წილე სახელმწიფომ, რომელმაც გააკეთა განცხადება, რომ ცნობს ამ კომიტე- ტის კომპეტენციას. კომიტეტი არ იღებს არავითარ ცნობას, თუ იგი ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც არ გაუკეთებია ასეთი განცხადება. ამ მუხლის შესაბამისად მიიღებულ ცნობების განხილვა ხდება შემდეგი პროცე- დურის მიხედვით:

a) თუ ამ პაქტის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მე- ორე მონაწილე სახელმწიფო არ ახორციელებს ამ პაქტის დებულებებს, მას შეუძლია წერილობით შეატყობინოს ეს აღნიშნულ მონაწილე სახელმწიფოს. ამ შეტყობინების მიღების დღიდან სამი თვეს მანძილზე მიღებმა სახელმწი- ფომ წერილობით უნდა წარუდგინოს ასეთი ცნობის გამომგზავნ სახელმწიფოს განმარტება ან რაიმე სხვა განცხადება, სადაც განმარტებული იქნება ეს სა- კითხი, რომელიც უნდა შეიცავდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მიზან- შეწონილი იქნება, მითითებას შინაგანი პროცედურებისა და ორინისძიებების შესახებ, რომლებიც მიიღო, მიიღებს ან შეიძლება მიიღოს ამ საკითხზე;

b) თუ საკითხი არ გადაწყდა ორივე დაინტერესებული მონაწილე სახელ- მწიფოსათვის დამაკმაყოფილებლად ექვსი თვეს მანძილზე მას შემდეგ, რაც მეორე სახელმწიფომ მიიღო პირველი ცნობა, თითოეულ ამ სახელმწიფოს უფ- ლება აქვს ეს საკითხი გადასცეს კომიტეტს, ამასთან ეს შეატყობინოს კომი- ტეტსა და მეორე სახელმწიფოს;

c) კომიტეტი მისთვის გადაცემულ საკითხს განიხილავს მხოლოდ მას შემ- დეგ, როცა დარწმუნდება, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად ამ შემთხვევაში სცადეს და ამოწურეს ყველა მისაწვდომი შინაგანი საშუალებანი. ეს წესი არ მოქმედებს ისეთ შემ- თხვევებში, როცა ამ საშუალებათა გამოყენება გაუმართლებლად ჭიათურდება;

d) ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობების განხილვისას კომიტეტი აწ- ყობს დახურულ სხდომას;

e) კომიტეტი ც ქვეპუნქტის დებულებათა დაცვით კეთილ სამსახურს უწევს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს, რათა მეგობრულად გა- დაწყვიტონ საკითხი ამ პაქტით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ძირი- თაღი თავისუფლებების პატივისცემის საფუძველზე.

f) მის განსახილველად გადაცემულ ყველა საკითხზე კომიტეტმა შეიძლება

სთხოვოს ხ ქვეპუნქტში ნახსენებ დაინტერესებულ მონაწილ ესახელმწიფოებს წარდგინონ უკველნაირი ინფორმაცია, რომელიც საქმეს ეხება.

დ) ქადაგებუნქტში ნახსენებ დაინტერესებულ მონაწილ ესახელმწიფოებს აქვთ უფლება წარმოდგენილი იყვნენ კომიტეტში საკითხის განხილვისას და გააკეთონ წარდგინებაზი ზეპირად და ან წერილობით;

ჩ) შეტყობინების მიღების დღიდან თორმეტი თვის მანძილზე კომიტეტი ხ ქვეპუნქტის შესაბამისად წარადგენს მოხსენებას:

ი) თუ მიღწეულია გადაწყვეტილება ე ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში, კომიტეტი თავის მოხსენებაში იფარგლება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსით;

ii) თუ გადაწყვეტილება ე ქვეპუნქტის დებულებათა ფარგლებში მიღწეული არ არის, მაშინ კომიტეტი თავის მოხსენებაში იფარგლება ფაქტების მოკლე შინაარსით; მოხსენებას ერთვის დაინტერესებულ მონაწილ ესახელმწიფოთა წარმომადგენლების წერილობითი წარდგინებაზი და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერი.

თითოეულ საკითხზე მოხსენება ეგზავნება დაინტერესებულ მონაწილ ესახელმწიფოებს.

2) ამ მუხლის დებულებანი ძალაში შედის, როცა ამ პაქტის მონაწილ ათი სახელმწიფო გააკეთებს განცხადებას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. მონაწილ სახელმწიფოები ასეთი განცხადებების დეპონირებას აწდენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან, რომელიც განცხადებების პირებს უგზავნის დანარჩენ მონაწილ ესახელმწიფოებს. გენერალური მდივნის შეტყობინებით განცხადების უკან წაღება ყოველთვის შეიძლება. ასეთი მოქმედება ხელს არ უშლის რომელიმე იმ საკითხის განხილვას. რომელიც ამ მუხლის შესაბამისად უკვე გადაცემული ცნობის საგანია, მას შემდეგ, რაც გენერალური მდივანი მიიღებს შეტყობინებას, რომ განცხადება უკან წაიღეს. ალარ მიიღება მონაწილ ესახელმწიფოს არავითარი შემდგომი ცნობები. თუ დაინტერესებულ მონაწილ ესახელმწიფოს არ გაუკეთებია ახალი განცხადება.

მუხლი 42

1. a) თუ რომელიმე საკითხი, რომელიც კომიტეტს გადაეცემა 41-ე მუხლის შესაბამისად, არ გადაიჭრა დაინტერესებულ მონაწილ ესახელმწიფოთათვის დამაკმაყოფილებლად, კომიტეტს შეუძლია დაინტერესებულ მონაწილ ესახელმწიფოთა წინასწარი თანხმობით დანიშნოს სპეციალური შემათანხმებელი კომისია (რომელსაც შემდგომში ეწოდება „კომისია“). კომისია კეთილ სამსახურს უწევს მონაწილ ესახელმწიფოებს, რათა მეგობრულად გადაწყვიტონ ესა თუ ის საკითხი ამ პაქტის დებულებათა დაცვის საფუძველზე.

b) კომისიაში შედის დაინტერესებულ მონაწილ ესახელმწიფოთათვის მისაღები ხუთი პირი. თუ სამი თვის მანძილზე დაინტერესებული მონაწილ ესახელმწიფოები ვერ შეთანხმდნენ კომისიის მთელი შემადგენლობისა თუ შემადგენლობის ნაწილის თაობაზე, კომისიის იმ წევრებს, რომელთა დანიშვნის თაობაზე ვერ მიაღწიეს თანხმობას, ირჩევენ ფარული კენჭისყრით კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან კომიტეტის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

2. კომისიის წევრები მოვალეობას ასრულებენ პირადადაინიჩულ უნდა იყვნენ დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფო ორგანიზაციების ან იმ სახელმწიფო უნდა მოქალაქეები, რომელიც ამ პაკტის მონაწილე არ არის. ან იმ მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქენი, რომელსაც არ გაუკეთებია განცხადება 41-ე მუხლის შესაბამისად.

3. კომისია ირჩევს თავის თვემჯდომარეს და იდენტიურის საკუთარ წესებს.

4. კომისიის სხდომები ჩვეულებრივ ეწყობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებსა თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უწევის განყოფილებაში. მაგრამ სხდომები შეიძლება მოწყოს სხვა მოსახერხებელ ადგილებშიც. რომლებიც კომისიამ შეიძლება განსაზღვროს გაერთიანებელი ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან და შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებთან კონსულტაციით.

5. 36-ე მუხლით უზრუნველყოფალი სამდივნო ემსახურება აგრეთვე ამ მუხლის საფუძველზე დაინიშნულ კომისიებს.

6. კომიტეტის მიერ მიღებული და შესწავლილი ინფორმაცია გადადის კომისიის განკარგულებაში და კომისიას შეუძლია სთხოვოს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს, რომ წარუდგინონ ყოველნაირი ინფორმაცია, რომელიც საქმეს ეხება.

7. როცა კომისია მთლიანად განიხილავს საკითხს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს 12 თვისა მას შემდეგ, რაც მას გადაეცა ეს საკითხი, იგი კომიტეტის თვემჯდომარეს წარუდგენს მოხსენებას დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოებისათვის გასაგზავნად:

a) თუ კომისიას არ შეუძლია დამტკიცოს ამ საკითხის განხილვა თორმეტი თვის მანძილზე, იგი მოხსენებაში მოკლედ აღნიშნავს, თუ რა მდგრადეობაშია ამ საკითხის განხილვა;

b) თუ მიღწეულია ამ საკითხის მეგობრული გადაწყვეტა ამ პაკტით აღნარებული დამტკიცის უფლებათა დაცვის საფუძველზე, კომისია თვის მოხსენებაში სჯერდება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსს;

c) თუ ს ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილება მიღწეული არ არის, კომისიის მოხსენება შეიცავს მის დასკვნებს ფაქტიური ხასიათის ყველა საკითხის გამო, რომლებიც ეხება დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა დაცვას, და კომისიის მოსაზრებებს ამ საკითხის მეგობრულად მოვარეობის შესაძლებლობის შესახებ. ეს მოხსენება აგრეთვე შეიცავს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების წერილობითს წარდგინებებსა და ზეპირ წარდგინებათა ჩანაწერს;

d) თუ კომისიის მოხსენება წარდგენილია ც ქვეპუნქტის შესაბამისად, დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები ამ მოხსენების მიღებიდან სამი თვის მანძილზე პრიობინებენ კომიტეტის თვემჯდომარეს ეთანხმებიან თუ არა კომისიის მოხსენების შინაარსს.

8. ამ მუხლის დებულებანი არ აკნინებენ 41-ე მუხლით გათვალისწინებულ კომიტეტის მოვალეობებს.

9. დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოები თანაბრად ანაზღაურებენ კომისიის წევრთა ყველა ხარჯებს იმ ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელსაც წარადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.

10. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უფლება აქვს, თუ ეს საჭიროა. ანაზღაუროს კომისიის წევრთა ხარჯები, სანამ მათ ანაზღაურებდნენ დაინტერესებული მონაშილე სახელმწიფოები ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 43

კომიტეტისა და იმ სპეციალური შემთანხმებელი კომისიების წევრებს, რომლებიც შეიძლება დაინიშნოს 42-ე მუხლის შესაბამისად. აქვთ იმ ექსპერტთა შეღავათების, პრივილეგიებისა და იმუნიტეტების უფლება, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიღლინებებში გზავნის, როგორც ეს გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების კონვენციის შესაბამის ნაწილებში.

მუხლი 44

დებულებანი ამ პაქტის განხორციელების შესახებ უნდა გამოიყენონ ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ პრივილეგებს ადამიანის უფლებათა დაჩვით, რომლებსაც ითვალისწინებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სპეციალიზებულ დაწესებულებათა დამფუძნებელი აქტები და კონვენციები, ან მათ შესაბამისად, ეს დებულებანი ხელს არ უშლიან ამ პაქტის მონაშილე სახელმწიფოებს მიმართონ დავის გადაწყვეტის სხვა პრივილეგებს მათ შორის მოქმედი საერთო და სპეციალურ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე.

მუხლი 45

ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საშუალებით კომიტეტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას წარუდგენს ყოველწლიურ მოხსენებას თავისი მუშაობის შესახებ.

ნაწილი 1

მუხლი 46

ამ პაქტში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სპეციალიზებულ დაწესებულებათა სხვადასხვა ორგანოს შესაბამის მოვალეობათა განმსაზღვრელ სპეციალიზებულ დაწესებულებათა წესდების დებულებათა მნიშვნელობის დაკნინება იმ საკითხებში, რომლებსაც ეს პაქტი ეხება.

მუხლი 47

ამ პაქტში არაფერი არ უნდა იყოს განმარტებული როგორც დაქნინება ჩველის განუყოფელი უფლებისა მოლიანად და თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებითა და რესურსებით.

მუხლი 48

1. ამ პაქტს შეუძლია ხელი მოაწეროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა ყველა სახელმწიფომ ან ყველა მისი სპეციალიზებული დაწესებულების წევრმა, საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მონაწილე ყველა სახელმწიფომ და ყველა სხვა სახელმწიფომ, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა შესთავაზებს ამ პაქტში მონაწილეობას.

2. ეს პაქტი რატიფიცირებული უნდა იყოს სარატიფიკაციო სიგელები დეპონირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

3. ამ პაქტს შეუძლია შეუერთდეს ამ მუხლის I პუნქტში აღნიშნული ყველა სახელმწიფო.

4. შეერთებისათვის საჭიროა შეერთების დოკუმენტის დეპონირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ატყობინებს ყველა სახელმწიფოს, რომელმაც ხელი მოაწერეს ამ პაქტს ან შეუერთდნენ მას, თითოეულ სარატიფიკაციო სიგელისა თუ შეერთების დოკუმენტის დეპონირების შესახებ.

მუხლი 49

1. ეს პაქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან დეპონირებული იქნება ან ცუდამეტხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელი ან შეერთების დოკუმენტი.

2. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ პაქტის რატიფიკაციას ახდენს ან უერთდება მას ცუდამეტხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელისა ან შეერთების დოკუმენტის დეპონირების შემდეგ, ეს პაქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა დეპონირებული იქნება მისი საკუთარი სარატიფიკაციო სიგელი თუ შეერთების დოკუმენტი.

მუხლი 50

ამ პაქტის დებულებანი ვრცელდება ფედერაციულ სახელმწიფოთა ყველა ნაწილზე რაიმე შეზღუდვისა თუ გამონაკლისის გარეშე.

მუხლი 51

1) ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფოს შეუძლია შესათვაზოს გასწორებანი და წარუდგინოს ისინი გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი შემდეგ შემოთავაზებულ გასწორებებს უგზავნის ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს და თხოვს შეატყობინონ, მომხრე არიან თუ არა, რომ მოიწვიონ მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენცია ამ წინადადებათა განსახილველად და მათვის კენჭის საყრელად.

თუ მონაწილე სახელმწიფოთა სულ ცოტა მესამედი მხარს დაუჭერს ასეტობის კონფერენციას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იწვევს ამ კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდთ. ყველა გასწორებას, რომელსაც მიიღებს ამ კონფერენციის დამსტრე და კენჭისურაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა, დასამტკიცებლად წარუდგენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.

2. გასწორებანი ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა და თვითმის კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად მიიღებს ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა — ორი მესამედი.

3. მას შემდეგ, რაც გასწორებანი ძალაში შევა, ისინი სავალდებულო ზდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო რჩება ამ პაქტის დებულებანი და მათ მიერ მიღებული ყველა წინა გასწორებანი.

მუხლი 52

48-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად შეტყობინებისაგან დამოუკიდებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ატყობინებს იმავე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს შემდეგს:

- 48-ე მუხლის თანახმად ხელმოწერების, რატიფიკაციებისა და შეერთებების შესახებ;
- 49-ე მუხლის თანახმად ამ პაქტის ძალაში შესვლის თარიღს და 51-ე მუხლის თანახმად ყოველგვარი გასწორების ძალაში შესვლის თარიღს.

მუხლი 53

1. ეს პაქტი, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები ერთნაირად აუტენტურია, შესანახად უნდა გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პაქტის.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ პაქტის დამტმებულ პირებს უგზავნის 48-ე მუხლში აღნიშნულ ყველა სახელმწიფოს.

რის დასადასტურებლად ქვემოთ ხელის მომწერებმა, რომლებსაც აქვთ შესაბამისი მთავრობების სათანადო რწმუნებანი, ხელი მოაწერეს ამ პაქტს, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა ნიუ-იორქში. ათას ცხრას სამოცდა ექვსი წლის ცხრამეტ დეკემბერს.

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ და საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ სსრ კავშირის სახელით ხელმოწერილია 1968 წლის 18 მარტს და რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

მიერ 1978 წლის 18 სექტემბერს ხელმოწერის დროს გაკვთებულ შემდეგ განცხადებასთან ერთად:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკურის კავშირი აცხადებს, რომ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 26-ე მუხლის 1 პუნქტისა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 48-ე მუხლის 1 პუნქტის დებულებაზე, რომელთა შესაბამისად მთელ რიგ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ გახდნენ ამ პაქტების მონაწილენი, დისკრიმინაციული ჩასიათისაა, და მიაჩინია, რომ სახელმწიფოთა სუვერენიული თანასწორობის პრინციპის შესაბამისად პაქტებში მონაწილეობა უნდა შეეძლოს ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს რამე დისკრიმინაციისა და შეზღუდვის გარეშე“.

სსრ კავშირის სარატიფიკაციო სიგელები დეპონირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან 1978 წლის 16 ოქტომბერს.

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ 27-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად ძალაში შევიდა 1976 წლის 8 იანვარს.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 48-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად ძალაში შევიდა 1976 წლის 28 მარტს.

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის უზენავები საბჭოს უზენავები“, № 17 (1881), 1976 წლის 28 აპრილი.

სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობამ მიზანშეწონილად ჩათვალი შექმნილიყო სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი. ყრილობის დავალების შესასრულებლად სსრ კავშირის უზენავები საბჭომ იირჩია ამ კომიტეტის წევრები, რომელთა შორის ჩევნი რესპუბლიკიდან არის თბილისის ა. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კოლეგის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა ლექტორი, პროფესორი ბიორგი ზავარიას და ინდ. პირველი.


აიონი ჭიშვილისამ

თინათინი წერეთელი

• მიოხედვის თავი

მეცნიერული კვლევის პროგრამა

სისხლის სამართლის მეცნიერებაში თ. წერეთელი მკაცრად შეტჩეულ პრობლემატიკას იყვლევდა. ეს იყო მოძღვრება დანაშაულზე. მეცნიერული ინტერესების საეთო კონცენტრაცია შესაძლებლობას აძლევდა საფუძვლიანად და ამომწურავდ გაეშუქებინა საკვანძო მეთოდოლოგიური პრობლემები: თანაც. ამ პრობლემებს თანმიმდევრულად განიხილა- ვდა სამეცნიერო მო- ლოგიკურის დასაწყის- შივე დასაბული პრო- გრამის მიხედვით. ამ პროგრამას კი ფაქ- ტობრივად შეიცვლა მისი საკანდიდატო დისერტაცია. ეს აზ- რი შეიძლება სხვაგვა- რადაც გამოვთვათ: თ. წერეთლის საკან- დიდატო დისერტაცია ზოგადად შეიცვლა იმ ძირითად იდეებსა და დებულებებს. რომ-



ლებაც უფრო მოგ- ვიანებით მონაგრაფიული გამოვლევე- ბი მიუძღვნა. ამ მოსაზრებას ადასტუ- რებს შესავალი სიტყვა, რომელიც თ. წე- რეთელმა საკანდიდატო დისერტაციის დაცვისას წარმოოქვეა: „ობიექტური მო- შენტის მიზნების გამორკვევა სის-

ხლის სამართლის პასუხისმგებლო- ბისათვის მცირდოდ არის დაკავ- შირებული მიზეზობრიობის კავშირის საკითხთან. უკეთ რომ ვთქვათ, მიზე- ზობრიობის ცნების დადგენა შეუძლე- ბელია მანამდე, ვიდრე გამორკვეუ- ლი არ იქნება მისი სისტემური ადგი- ლი და ხელდროითი წონა სისხლის სა-

მართლის პასუხისმგებ- ლობის სხვა წინამდლ- ვართა შორის. ამით აირსნება ის გარემოე- ბა, რომ მე, უპირველ- ეს ყოვლისა, შევუდექი ამ წინასწარი საკითხის დამტუშავებას, იმ განზ- რახვით. რათა შემდეგ გადავსულიყავი მიზე- ზობრიობის ცნების დადგენაზე“. და ეს მართლაც ასე მოხდა. მიზეზობრიობის პრობ- ლემა შემდგომში მისი მეცნიერული კვლევა- ძიების ერთ-ერთი უმ- თავრესი სხვანი გახდა.

იქვე მან თქვა: „მაგრამ ობიექტური მომენტის როლი არ ამო- იწურება მისი ამ წინასწარი ფუნქციით გაკაფოს გზა მიზეზობრიობის კავშირის სწორი თეორიის შექმნისათვის. რო- გორც დამტკიცებულია სადისერტაციო შრომაში, ამ მომენტის გარეშე შეუძლე-

გაგრძელება. დასაწყისი ის. ეურ. „ხახულმწიფო ფა სამართლი“, 1990, №№ 1—4.

ბულია სისხლის სამართლის ძირითადი ცნებების აგება. ისეთი ცნებები, როგორიცაა მცდელობა, მომზადება, თანამონაწილეობა და, ბოლოს, თვით დანაშაულის ზოგადი ცნება არ შეიძლება აგებული იქნეს ამ მომენტის გარეშე, მხოლოდ სუბიექტური მომენტების მეშვეობით. უფრო მეტიც, თვით ბრალის ცალკე ფორმების სწორი კონსტრუქცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხედველობაში იქნება მიღებული ობიექტური მომენტის მნიშვნელობა. ობიექტური მომენტის უგულებელყოფას ბრალის ცალკე სახეების დადგენის დროს შეუძლია ყოველგვარი შინაარსი გამოაცალოს ბრალის იურიდიულ ბუნებას". აქაც თვალნათლოვნის, რომ თ. წერეთელი დანაშაულის ზოგად ცნებაში ობიექტური მომენტის როლისა და მნიშვნელობის გარკვევის შემდეგ შესაძლებლად მიიჩნევდა სხვა, ფუნდამენტური სისხლის სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტას. სწორედ ასე წარიმართა მისი მეცნიერული კვლევა-ძიებაც.

ახლა თავად, საკანდიდატო დისერტაციის შესახებ. თავდაპირველად უნდა შევნიშნოთ, რომ ორმოცან წლებში საბჭოთა სისხლის სამართლებრივი ლიტერატურა ჯერ კიდევ მეტად ლარიბი იყო მონოგრაფიული გამოკვლევებით, რომლებშიც გაშუქებული იქნებოდა ისეთი პრობლემები, როგორიცაა მიზეზობრივი კავშირი, ბრალი და ა. შ. უფრო მეტიც, ობიექტური მომენტის მნიშვნელობა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საერთოდ არ გამხდარა სპეციალური გამოკვლევის საგანი. ასეთი გამოკვლევა განსაკუთრებით უცილებელი გახდა 30-იანი წლების მიწურულს, როდესაც სოციალისტური კანონიერების საბეჭისწეროj დარღვე-

ვებმა, უპირველეს ყოვლისა, თავდაპირველი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების გაყალბებაში. მის შედეგად პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძვლის მნიშვნელობა და კანიებული აღმოჩნდა და გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცა პირის სოციალურ საშიშროებას. ასეთი პოზიცია არ შეიძლება მისაღები ყოფილობის საუკეთესო დემოკრატიულ და ჰუმანურ პოზიციებზე აღზრდილი თ. წერეთლისათვის. მისი ზეობრივი გრძნობისა და სამართლებრივი რწმენის მიხედვით სისხლის სამართლისათვის ძირგამომთხრელ ტენდენციებს შეიცავს თეორიები, რომლებიც აკნინებენ ქმედობის ობიექტური მხარის როლსა და მნიშვნელობას და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად სუბიექტურ მხარეს აცხადებენ. ამდაგვარი სუბიექტური ტენდენციები, თ. წერეთლის აზრით, ძირშივე უნდა აღკვეთილიყო რადგან მათ აუცილებლად მიყვევაროთ ე. შ. „მტკიცე შემადგენლობათა“, სისხლის სამართლის კანონის სტაბილობისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ძირითადი საფუძვლების უარყოფამდე“!

თ. წერეთლის საკანდიდატო დისერტაციი შედგება ოთხი თავისა და დასკვნისაგან. დისერტაციაში ეს თავები ასეა დასათაურებული: პირველი თავი — ობიექტური მომენტის მნიშვნელობა მცდელობის დროს; მეორე თავი — მიზეზობრივი კავშირი და თანამონაწილეობა; მესამე თავი — ბრალი და შედეგის მნიშვნელობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის და მეოთხე თავი: შედეგისა და მისი საშიშროების გათვალისწინება სასჯელის განსაზღვრისას. მძრიგად, საკანდიდატო დისერტაცია საკითხთა ფარ-

¹ Угрехелидзе М. Г., Диалектика объективного и субъективного в трудах Т. В. Церетели; Уголовно-правовые исследования (Сборник посвященный 80-летию со дня рождения Т. В. Церетели), Тб., 1987, стр. 113.

თო წრეს მოიცავს. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენილა ოფიციალურ ოპონენტს პროფ. ა. ვაჩეიშვილს. რომელმაც რეცენზიაში აღნიშნა. რომ დისერტაციმა აიღო მეტისმეტად ფართო მოცულობის თემა. რომელიც მოიცავს სისხლის სამართლის მეცნიერების მთელ რიგ ძირითად და უმნიშვნელოვანეს საკითხებს. მისი აზრით, უმჯობესი იყო დისერტაცის უფრო ვიწრო თემა შეერჩია. მაგალითად ობიექტური მომენტის მნიშვნელობა მცდელობისათვის ან მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობა სისხლის სამართლში. ანდა შედეგების მიხედვით კვალიფიციური დელიქტები.

დისერტაციმა ასე უპასუხა ამ შენიშვნაზე: „შეიძლებოდა კიდევ უფრო დაზუსტება თემისა — მაგალითად. ობიექტური მომენტი და უვარგისი მცდელობა ან მიზეზობრივი კავშირი და თანამონაწილეობა. მაგრამ ამ შემთხვევაში მე ვერ მივაღწევდი დასახულ მიზანს. ეს მიზანი კი შემდეგში მდგრადარეობდა: მე მინდოდა გამომერკვია. წარმოადგენს თუ არა ობიექტური მხარე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აუცილებელ წანამდლოვარს და დანაშაულის ცნების არსებით ელემენტს და დადებითი პასუხის შემთხვევაში. დამედგინა თუ რა ძირითად პრინციპზე აგებული ქმედობის ობიექტური მხარის ასეთი მნიშვნელობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის. ამ მიზნის მისაღწევად კი. რა თქმა უნდა. საქმარისი არ იყო გამომერკვია ობიექტური მომენტის მნიშვნელობა მხოლოდ ერთ-ერთ სფეროში. მაგალითად, მარტო მცდელობისათვის; ვინაიდან მე მარტო ამ ერთი ინსტიტუტის განხილვა არ მომცემდა საქმაო მასალას ზოგადი დასკვნების გამოსატანად. გარდა ამისა, იმ ინსტიტუტთა იზოლირებული განხილვა ერთგვარ საშიშროებას წარმოადგენდა იმ მხრითაც. რომ მე ასე-

თი ცალმხრივი გამოკვლევის საფუძველზე შეიძლება მიესულიყავი მცდარ დებულებამდე. მაგალითად, ის ვინც განიხილავს მცდელობას იზოლირებულად, ისე რომ არ უკავშირებს მას საერთო მოძღვრებას დანაშაულის შესახებ. ადგილად შეიძლება ჩავარდეს იმ შეცდომაში, რომ გადაჭარბებულად შეაფასოს აქ სუბიექტური მხარე, მხოლოდ ეს უკანასკნელი აღიაროს მცდელობის პასუხისმგებლობის საფუძვლად. წინააღმდეგ დამთავრებული დანაშაულისა. მიტომ თემის ფართო მოცულობა სავსებით გასაგები და გამართლებულია მეცნიერული თვალსაზრისით.“

ნაშრომის შესავალში ძირითადი საკვლევი პრობლემის მეცნიერული ლირებულებაა ნათელყოფილი. ორი მომენტიდან — შინაგანი და გარეგანი, ანუ სუბიექტური და ობიექტური, რომლებსაც თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერება ანსხვავებს დანაშაულის შემაღვენლობაში, ავტორს მიზნად დაუსახავს ობიექტური მომენტის კვლევა. ერთი შეხედვით შეიძლება მოვალეობის, თითქოსდა ობიექტური მომენტის წინა პლანზე წამოწევით თ. წერეთელი აღიარებს იმ ბურჟუაზიულ კრიმინალისტთა თვალსაზრისს. რომლებიც მკვეთრად უპირისპირებენ ერთმანეთს ქმედობის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს, თანაც დანაშაულის მოძღვრებაში ხან ერთ მხარეს აძლევენ უპირატესობას, ხან მეორეს. შესავალშივე იგი პრინციპულად ემიჯნება ასეთ თვალსაზრისს. მისი შეხედულებით, ასეთი დაპირისპირება ყოვლად დაუშვებელია მეთოდოლოგიური თვალსაზრისით: დანაშაულის ეს ორი მხარე დიალექტიკურ ერთიანობაშია და ამასთან თანასწორებას მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ დიალექტიკური ერთიანობა დაპირისპირებულთა იგივეობას ნიშავს. ამ იგივეობაში რომ ვიმსჯელოთ.

უპირველეს ყოვლისა აუცილებელია დაპირისპირებულთა არსის გარევევა. ამ მეთოდოლოგიური პრინციპის საფუძველზე თ. წერეთელი თვლის, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტურ და სუბიექტურ მომენტებს შორის ასებული ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთ კავშირის სრული და ყოველმხრივი ანალიზისათვის აუცილებელია თითოელი ამ მომენტის სისტემური მნიშვნელობის დადგენა. ამის შემდეგ არის შესაძლებელი მათი ურთიერთ კავშირის შესწავლა. ეს აუცილებელია არა მარტო სისხლის სამართლებრივი ცნების სწორი სისტემატიკისათვის, არამედ აგრეთვე იმ პრინციპების გარკვევისათვის, რომლებიც საფუძვლად უდევს სოციალისტურ სისხლის სამართლს. რაც შეეხება მათ ურთმანეთისაგან გამოყოფის სისხლის სამართლში, ეს ხანგრძლივი ისტორიული ევოლუციის შედეგად მოხდა: სახელდობრ, თუ სისხლის სამართლის განვითარების პირველ საფეხურზე ყურადღება მხოლოდ ობიექტურ მომენტს ექცევა. შემდეგში თანდათან გამომუშავდა ბრალის ცნება, როგორც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი საფუძვლისა. სისხლის სამართლის შეცნიერებაში ამ ორი მომენტის შედარებითი მნიშვნელობის საკითხი წარმოადგენს ხანგრძლივი და დღემდე დაუმთავრებელი კონტროვერზების საგანს, რომელიც ცალკე სკოლებად ყოფის სისხლის სამართლის მეცნიერების წარმომადგენლებს (საერთო და სპეციალური პრევენციის თეორიები — მე-19 საუკუნის დასაწყისში). კლასიკური და სოციოლოგიური სკოლები — მე-19 საუკუნის დამლევი და მე-20 საუკუნის დამდევი).

შესავალშივე ავტორი გვაცნობს თავის პოზიციას ძირითადი საკითხის შესახებ. მას მიუღებლად მიაჩინა სი-

სხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად მხოლოდ ბრალის აღიარება. ზოგიერთ უცხოელ კრიმინალისტთა მოსაზრებების კრიტიკის გზით ავტორი აკეთებს დასკვნას: ამ პრობლემის სუბიექტივისტური გადაჭრა და ობიექტური მომენტის მიჩნევა არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად, არამედ როგორც სიმპტომის, რომელიც მხოლოდ ბრალისა და მისი ხარისხის შემცნების საშუალებას წარმოადგენს, ნიშნავს იმის აღიარებას, რომ დასჯის საგანს შეადგენს არა მოქმედება, არამედ სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო სულიერი განწყობილება, როგორც ასეთი, და ამის გამო ამ სულიერი განწყობილების რეალიზაცია შეიძლება განხილული იქნას როგორც პირველის დამამტკიცებელი საბუთი (ე. წ. სიმპტომატური შეხედულება დანაშაულზე). ამ იდეის ლოგიური თანმიმდევრობით განვითარება დამღუბველ ზეგავლენას მოახდენს მართლმსაჯულებაზე, უფრო ზუსტად სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა პირს დაეკისრება მხოლოდ მისი შიშველი მართლსაწინააღმდეგო სულიერი განწყობილებისათვის და ამით კა მთელი სისხლის სამართლი მოისპობა.

ობიექტური მომენტის მნიშვნელობის უარყოფა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის ორგანულადაა დაკავშირებული ეკვივალენტურ ან პირობათა თანასწორებასონების თეორიასთან. მართლაც, თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად მივიჩნევთ ბრალს, მაშინ ობიექტურ მომენტს არავთარი მნიშვნელობა აღარ ექნება, პირობათა სხვადასხვაგვარი ქმედითი ძალა უგულებელყოფილი იქნება სასჯელის ზომის გინსაზღვრისას. მას მხოლოდ ბრალისა და მისი

ინტენსიობის დამატებიცებელი საბუთის მნიშვნელობა ექნება.

თ. წერეთელი არ შემოიფარგლა მხოლოდ იმის მტკიცებით, რომ სოციოლოგების ძირითადი დებულების განვითარება პრისტაციალ მოასწავებს მართლმასჯულების ლიკვიდაციას და მის შეცვლას სოციალური პიგიენით, რაც ადმინისტრაციული ორგანოების ფუნქციად იქცევა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძველს მხოლოდ ბრალი წარმოადგენს. თუ ამ უკინასყნელთან ერთად აუცილებელია ობიექტური მომენტის გაზვალისწინება. ასეთი მიზანდასახულობის შესაბამისად დისერტაციის პირველ თავში გაშუქებულია ობიექტური მომენტის მნიშვნელობა დანაშაულის მცდელობისას. უსათუოდ სწორად შენიშნა ოფიციალურმა ოპონენტმა პროფ. ირ. სურგულაძემ: „იმ თეორიისათვის, რომელიც ქმედობის შედეგში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთერთ, ბრალთან თანასწორების გადასაცემ საფუძველს ხედავს. მცდელობა მისი ჰეშმაპიტების ნამდვილ გამოსაცდელ ფენომენს წარმოადგენს, ვინაიდან მცდელობის დროს დასახელი მოვლენა მოცემული არ არის დამთავრებულ ფორმაში. მასში დაუმოავრებელია ქმედობის სწორედ ობიექტური მხარე. ამიტომ თეორიისათვის, რომელიც სისხლის სამართლის ერთერთ ძირითად საფუძველს დანაშაულებრივი ქმედობის ობიექტურ მომენტში ხედავს, მცდელობის პრობლემა ძნელ საკითხს წარმოადგენს. ავტორი მოქლი ამ სიძნელის შეგნებით უდგება აღნიშნული პრობლემის გადაჭრას.“

თ. წერეთელი აღნიშნავს, რომ მცდელობის ცნების წარმოშობა ბრალის პრინციპის წარმოშობასა და განვითარებასთან არის დაკავშირებული. ზოგიერთი ბურუუაზიული კრიმინალისტი მცდელობის დასხადობას ასაბუ-

თებს სუბიექტის მხოლოდ შინაგანი ფინანსური მდგომარეობის საფუძველზე და ამიტომ მთლიანად უარყოფს ქმედობის ობიექტური მხარის მნიშვნელობას დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დასაბუთებისას. დისერტაციაში ამ საკითხზე ნათქვამია: „ამასთან კრიმინალისტები დუალიზმში ექცევიან, წოდესაც აწესებენ დასხადობის სხვადასხვა საფუძველს დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულისათვის. სახელდობრ, დამთავრებული დელექტის დასხადობის საფუძველს ისინი ხედავენ როგორც მოქმედის შინაგან ფინანსურ მდგომარეობაში, ისე ქმედობის ობიექტურ მხარეში, ხოლო დაუმთავრებელი ქმედობის დასხადობისას ისინი კრიყიფილდებიან მხოლოდ შინაგანი მხარის არსებითობით“. თ. წერეთელი უარყოფს ამ დუალიზმს და ასაბუთებს, რომ მცდელობის შემთხვევაშიც აუცილებელია ობიექტური და სუბიექტური მომენტების არსებობა. უფრო მეტიც, მას მიაჩნია, რომ დანაშაულის ცალკეული სტადიების განსაზღვრისათვის გადამშევეტი მნიშვნელობა აქვს სწორედ ქმედობის ობიექტურ ნიშნებს, რომელთა მიხედვითაც ხდება ამ სტადიების ფიფერენციაცია.

თ. წერეთელი სავსებით მართებულად მიუთითებს, რომ მცდელობის პრობლემის გადაჭრა დაკავშირებულია მოქმედების საშიშროების საკითხთან, რადგან სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით მოქმედება საშიშია გაშინ. როდესაც მას შეუძლია სისხლის სამართლის კანონით დაცული ობიექტის ხელყოფა. აშკარაა, რომ საშიში მოქმედება შესაძლებლობის კატეგორიის ასპექტში უნდა იქნას განსილული. დისერტაციაში ავტორი კრიტიკულად აფასებს შესაძლებლობის კატეგორიის იმ განსაზღვრებას, რომლებიც ბურუუაზიულმა მეცნიერებმა მოგვცეს. საბოლოოდ თ. წერეთელი იმ



დასკვნამდე მიღის, რომ არც შესაძლებლობის სუბიექტივისწური გაგება და არც შესაძლებლობის ობიექტური ინტერპრეტაცია, როგორც ეს წარმოდგენილია კრისისა და მისი მიმდევრების ნაშრომებში, არ ქმნის საფუძველს მცდელობის შემთხვევაში მოქმედების საშიშროების ბუნების დადგენისათვის. ამ საკითხის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ რეალური შესაძლებლობის კატეგორიის საფუძველზე დიალექტიური მატერიალიზმის მიხედვით. სწორედ ამ მნიშვნელობით გააზრებული შესაძლებლობის კატეგორია წარმოადგენს გასაღებს მოქმედების საშიშროების გასარკვევად მაშინაც კი, როდესაც მოქმედება არ დასრულებულა და ზიანი არ მიუყენებია კონნით დაცული ობიექტისათვის. ამასთან ერთად რეალური შესაძლებლობის კატეგორიის საშუალებით შესაძლებელი ხდება მცდელობის გამიჯვნა დანაშაულის მომზადებისაგან. აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ მცდელობის შესახებ დისერტატურაში გამოთქმული ავტორისეული მოსაზრებების დახასიათებაზე, რადგან თ. წერეთელმა დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის პრობლემას ცალკე მონოგრაფია მიუძღვნა (იხ. ამის შესახებ ქვემოთ).

დისერტატურის მეორე თავში განხილულია თანამონაწილეობის პრობლემა თანაც ეს პრობლემა ობიექტური მომენტის თვალსაზრისითაა გაშუქებული, ეს კი ერთ მთლიანობაში აკავშირდება მიუთითობს როგორც მოუთხოვდება მონაცემის მიზანისათვის. ავტორი მოუთითებს რომ თანამონაწილეობის პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია მიზეზობრივი კაშირის ცნების განუხილვად. პირობათა არათაასწორობის შესახებ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის სათანადო დებულებების მომარჯვებით თ. წერეთელი განასხვავებს თანამონაწილეთა სახეებს (იმს-

რულებელი, ორგანიზატორი, წამყლებების დამატებითი მიზანი და დამზადებელი და დამზადებელი მიზანიდან თ. წერეთელმა თანამონაწილეობის ინსტიტუტს ცალკე მონოგრაფია მიუძღვნა, ამ პრობლემაზე მოცემულ მოსაზრებებს ცალკე განვიხილავთ.

დისერტატურის მესამე თავში თ. წერეთელი ლოგიკური თანმიმდევრულობით ასაბუთებს დებულებას, რომ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია როგორც ბრალის, ისე ობიექტური მომენტის დადგენა. სწორედ ამ თავლაზრისითაა ხსენებულ თავში განხილული უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა შეუგნებელი და შეგნებული გაუფრთხილებლობა, ევენტუალური განზრახვა და მასთან დაკავშირებით საფრთხის შემცნელი დელიქტები, და ბოლოს დანაშაული რომელთა კვალიფიკაცია ქმედობით გამოწვეული შედეგების მიხედვით ხდება.

როგორც ცნობილია, შეუგნებელი გაუფრთხილებლობის ანუ დაუდევრობის შემთხვევაში სუბიექტს გათვალისწინებული არა აქვს რაიმე შედეგის დადგომის შესაძლებლობა. შესაძლებლობის მიხედვით თ. წერეთელი პარალელს ავლებს უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულსა და დაუდევრობით ჩადენილ დამაშაულს შორის. დაუდევრობის დროს პირი არ ითვალისწინებს ქცევის კაუზალურ ხასიათს და ამიტომ მისი შინაგანი მდგომარეობა შეიძლება დავახსიათოთ როგორც უარყოფითი ფსიქიკური დისპოზიცია. მაგრამ ასეთი ფსიქიკური მდგომარეობა სამართლებრივ რელევანტობას იდენს იმ შემთხვევაში, როდესაც პირს ეკისრებოდა მოვალეობა გაეთვალისწინებინა შედეგი და ამიტომ თავიდან აეცდინა იგი. როგორც მსჯელობა უმოქმედობის მართლწინააღმდეგობის შესახებ გულისხმობს მართლზომიერი მოქმედების ჩადენის

შესაძლებლობას, ასევე დაუდევრობისადმი მიმართებაში მსჯელობა პირის უარყოფითი ფსიქიკური მდგრმარეობის გასაკიცხობის შესახებ აუცილებელ წინამდღვარად გულისხმობს გათვალისწინების შესაძლებლობას. დაუდევრობისას უარყოფითი ფსიქიკური მდგრმარეობა ნიშნავს არა საერთოდ წარმოდგენების არსებობას, არამედ განსაზღვრავს წარმოდგენების არარსებობას, რომლის ჩეალიზაცია სუბიექტის ფსიქიკაში შესაძლებელი იყო.

ასეთი თვალსაზრისი იურიდიული ლიტერატურაში ერთბაშად არ დამკვიდრებულია. ბურჯუაზიული კრიმინალისტთა ერთი ნაწილი დაუდევრობის ბუნების გარევევისას ხელმძღვანელობს ჰეგელის დებულებით, რომ დასჭადი უმართლობა გამოიხატება ინდივიდუალური ნების შეგნებული და ნასურვები დაპირისპირებით საერთო ნებისადმი. მაშასადამე, ბრალეულად გამოწვეული უკველვარი შედეგი უნდა იყოს ნებით, სურვილით გამოწვეული. მაშასადამე, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ განზრახ ბრალით მოქმედ პირს, რადგან მხოლოდ, განზრახვის შემთხვევაში შეიძლება დავუკავშიროთ შედეგი მის ნებას. მაგრამ თუ შედეგის შერაცხვას დავუშვებთ მხოლოდ განზრახი ბრალის შემთხვევაში. მაშინ დაუდევრობით ჩადენილი ქმედობისათვის პირს ვეღარ დავაკისრებთ სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას. და მართლაც ზოგიერთი ბურჯუაზიული კრიმინალისტი სწორედ ასეთ დასკვნამდე მივიდა. მათი აზრით, დაუდევრობისას გამორიცხულია ბრალის მომენტი. დისერტაციაში თ. წერეთელი დაწვრილებით და აკრძალვებით. ასეთ თვალსაზრისს იცავდა იგი 1910 წელს ბრალისადმი მიძღვნილ ნაშრომში.² მაგრამ როგორც თ. წერეთელი მიუთითებს, ა. კოლრაუში დაუდევრობით ჩადენილი ქმედობისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებას სხვა გზით შეეცად იმავე, 1910 წელს გამოცემულ მეორე ნაშრომში უკვე არა de lege ferenda, არამედ de lege leta თვალსაზრისით.

ლიად დასაბუთებული არგუმენტაციის საშუალებით ნათელყოფს ასეთი თვალსაზრისის მანკიერებას.

დაუდევრობაში ბრალის მომენტს უარყოფდა, მაგალითად, გერმანელი კრიმინალისტი ა. კოლრაუში. იგი ასე მსჯელობდა: თუ მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში პირი არ ითვალისწინებდა მავნე შედეგს, მაშასადამე, მას არც შეეძლო გაეთვალისწებინა იგი. ა. კოლრაუში, რომელსაც სისხლის სამართლის ამოცანად მიაჩნდა სასჯელის მუქარის საშუალებით „სოციალური სინდისის გამძაფრება“, შეუძლებლად თვლიდა ამ ამოცანის განხორციელებას დაუდევრობის შემთხვევაში, როდესაც პირს სრულიად არა აქვს გაცნობირებული ნორმისადმი მისი ნებელობის წინააღმდეგობა. ამის გამო კი მას არ შეუძლია იხელმძღვანელოს სისხლის სამართლის კანონის ბრძანებებითა და აკრძალვებით. ასეთ თვალსაზრისს იცავდა იგი 1910 წელს ბრალისადმი მიძღვნილ ნაშრომში.² მაგრამ როგორც თ. წერეთელი მიუთითებს, ა. კოლრაუში დაუდევრობით ჩადენილი ქმედობისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებას სხვა გზით შეეცად იმავე, 1910 წელს გამოცემულ მეორე ნაშრომში უკვე არა de lege ferenda, არამედ de lege leta თვალსაზრისით.

საზოგადოდ ცნობილია, რომ სხვა გვარად მოქმედების შესაძლებლობის არსებობა აუცილებელი წანამდღვარია როგორც სამართლებრივი, ისე მორალური შერაცხადობისათვის. სადაც ითვლება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავიგოთ ეს შესაძლებლობა. მსჯელობა ამ შესაძლებლობის შესახებ შეიძლება გავიზიაროთ ან ასევე მოცემული კონფლიქტური

² Kohlrausch. Die Schuld. „Die Reform des Reichssstraf gesetzbuch“. B. I. Berlin, 1910, s. 194.

პირის ინდივიდუალური შესაძლებლობა ან როგორც განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფის საშუალო ადამიანისათვის დამახასიათებელი ზოგადი გენერალური შესაძლებლობა. კოლრაუშის აზრით, ყოველგვარი მოვლენის ბუნებრივ-კანონზომიერი მსვლელობა გამორიცხავს სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობას, მაგრამ, არსებობს ადამიანის ქცევის შემბოჭვისას ელმწიფით გამორიცხავი იმპერატივი. სწორედ ამის გამო, კოლრაუშის მიხედვით, შეიძლება დავისაბუთოთ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუმცა არსებობს სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა. ყოველი სახელმწიფო, რომელიც მრავალ ნორმებს გამოსცემს, იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობს, რომ ადრესატს შეუძლია შესასულოს ამ ნორმის შესაბამისი ქცევა. გააზრებული აქვს არა ინდივიდუან მიმართებაში, არამედ ზოგადად. მისი აზრით, შერაცხადი ინდივიდის პასუხისმგებლობა ეფუძნება იმას, რომ ეს ინდივიდი ეკუთვნის იმ პირთა ჯგუფს, რომელთაოვისაც სახელმწიფო გამოსცემს იმპერატივებს და თანაც ეს უკანასკნელი ვარაუდობს, რომ მას აქვს სამართლებრივი ქცევის შესაძლებლობა. მოსალოდნელი იყო, რომ კოლრაუში ამ მოსაზრებას გაავრცელებდა გაუფრთხილებლობით დელექტების შერაცხვაზეც. მიგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. ბრალისადმი მიძღვნილ ნაშრომში იგი უკვე სხვა თვალსაზრისს იცავს. აქ იგი ალარ ამტკიცებს, რომ გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც საკმარისია, თუ პირი, რომელმაც გაუფრთხილებლობითი ქმედობა ჩაიდინა, ეკუთვნის იმ პირთა წერს, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო კრძალვების აღრესატებს და რომლებსაც, მაშასადა-

მე. შეეძლოთ გაეთვალისწინებით თავისი ქცევის მავნე შედეგები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შერაცხადობის ზოგადი თეორია, რომელიც კოლრაუშმა განვითარა, ლოგიკურად მოითხოვდა ობიექტური მასშტაბის აღიარებას დაუდევრობით ჩადენილი ქმედობისათვის პასუხისმგებლობის დასაბუთებისას. ხსენებულ ნაშრომში კოლრაუში უკვე სულ სხვა თვალსაზრისს მიემსრო, მისი აზრით, ბრალი შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდ მოვალეობის საწინააღმდეგო ნებას. ასეთი ნება კი გამორიცხულია დანაშაულებრივი დაუდევრობის დროს. ასეთი შემთხვევა სწორედ იმით ხასიათდება, რომ სუბიექტის ფსიქიკური არ არსებობს წარმოდგენა კანონით კრძალული შედეგის დადგომის შესაძლებლობის შესახებ. მიტომ სასჯელი დანაშაულებრივი დაუდევრობისათვის არ შეიძლება გამართლებული იქნას არც მიზლვის თეორიის და არც სასჯელის ზოგადპრევენციული თეორიის თვალსაზრისით. კოლრაუში თვლიდა, რომ ასეთ შემთხვევაში პირს საერთოდ არ აქვს გათვალისწინებული მისი ნების წინააღმდეგობა ნორმისადმი და, მაშასადამე, არც შეუძლია იხელმძღვანელოს სისხლის სამართლის კანონის ბრძანებებითა და კრძალვებით. ამის გამო კოლრაუში მოითხოვდა დაუდევრობისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმებას.

როგორც თ. წერეთელი ალნიშნავს, ამ მიმართულებით გაცილებით უფრო თანმიმდევრული იყო მ. ლიპმანი³. მ. ლიპმანი ამტკიცებდა, რომ შერაცხადობის როგორც ზოგადი წანამძღვარი, ისე მოვალეობის დარღვევის სპეციალური სახეები, გულისხმობენ ადამიანის საშუალო დონეს, რომელიც გა-

³ Liepmann M. Einleitung in das Strafrecht, Eine kritik der kriministischen grundsätzlichen Begriffe. Berlin, 1900.

თიშულია კონკრეტული სინამდვილი-საგან. სხვაგვარად მოქცევის ინტივი-დუალური შესაძლებლობის დაშვება ეწინააღმდეგება ადამიანის მოქმედებათა კანონიერების აღიარებას. ასეთი შესაძლებლობა იმას ემყარება, რომ მოვლენა, როგორადაც იგი სინამდვილეში მოხდა, არ იყო აუცილებელი და ამიტომ შეიძლებოდა სხვაგვარად მომხდარიყო. თუნდაც სრულიად იგი-ვე უოფილიყო მისი დამაირობებელი გარემოებები. მაგრამ ასეთივე ვარა-უდი ლიპმანს მიუღებლად მიაჩნია. ამ საკითხზე იგი წერდა: „ადამიანის მოქმედება ან აუცილებელია ან არაა აუცილებელი. სხვა რაიმე შესაძლებლობა, ბუნებრივია, გამორიცხულია. თუ ეს უკანასკნელი (ე. ი. აუცილებლობა)... დაშვებული იქნება, მაშინ ნათელია, რომ ადამიანის მოქმედება საჭიროა დავაკვალიფიციროთ როგორც უმიზეზო. ვინაიდან მიზეზების ცნება მოიცავს აუცილებლობის ცნებასაც: თუ რეალობად ქცეული ნებერლობითი გადაწყვეტილება არ არის აუცილებელი, მაშინ მას არა აქვს მიზეზი. რადგან მიზეზი რომელიც აუცილებლობით არ მოქმედებს, უაზრობაა“⁴. აქედან ლიპმანი დასკვნის,

რომ შერაცხადობა აბსტრაგირებული უნდა იქნას როგორც მოქმედი პირის ინტივიდუალური თვისებურებებისა-გან, ისე მოცემული შემთხვევის კონკრეტული თვისებურებებისაგან, ხოლო მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საშუალო აბსტრაქტული მაჩვენებლები, რომელთაც არ შეუძლიათ მოიცავ მოცემულ ურთიერთობათა მთელი ერთობლიობა.

ამ თვალსაზრისის საფუძველზე მ. ლიპმანმა დაუდევრობისათვის მისა-ღებად მიაჩნია მხოლოდ ობიექტური მასშტაბები. საკანდიდატო დისერტა-ციაში თ. წერეთელი ვრცლად მსჯელობს დაუდევრობის ობიექტური მასშტაბის შესახებ, ყოველმხრივ ასა-ბუთებს დებულებას, რომ შეუძლებელია დაუდევრობით ჩადენილი დანა-შაულისათვის პასუხისმგებლობა გა-დაიჭრას მხოლოდ ობიექტური მასშტაბის საფუძველზე. ამასთან ერთად, იქვე შენიშვნას, რომ 1939 წელს ვ-მაყაშვილთან, ერთად იგი დაუდევრობისას წინდახედულობის ერთადერთ მასშტაბად თვლიდა მხოლოდ ობიექტურ მასშტაბს; როგორც დისერტაციაშია აღნიშნული, იგი თვის მოსაზრებას აღარ თვლის მისაღებად.

(გაგრძელება შემდეგ ნომერზე)

⁴ იბ. იქვე, გვ. 165.

თავისუფლება არის თითოეულის ბუნებრივი უნარი აკეთოს, რაც სურს, თუ ეს აკრძალული არ არის ძალაუფლებით ან კანონით.

მონობა არის ხალხთა სამართლის დანაწესი, რომლის ძალითაც, ბუნების საპირისპიროდ, პირი ემორჩილება უცხოთა მმრანებლობას (ფლორენტინი).

თავისუფალი დედისაგან შობილი თავისუფალშობილია; საქმარისია ბავშვის გაჩენის დროს, დედა იყოს თავისუფალი, თუნდაც ბავშვი მონობაში ჩაისახოს ან პირიქით, ინდა ბავშვი ჩაისახოს დედის თავისუფლების დროს, ხოლო დედა მშობიარობისას გახდეს მონა; ბავშვი მიიჩნევა თავისუფალ ადამიანად, მიუხედავად იმისა, კანონიერ ქორწინებაში ჩაისახა იგი, თუ ქორწინების გარეშე, რადგან დედის უბედურება არ უნდა ვნებდეს იმას, ვინც საშოშია (მარტიანე).

თუ ორსულ ქალს მიესაჭა სიკვდილი, ის ვინც მან უნდა შვას, ითვლება თავისუფალ ადამიანად და, არსებობს წესი — დედას შეუნარჩუნდეს სიცოცხლე, ვიღრე ბავშვს გააჩენს.

რადგან ბუნებითი სამართლით ყველა იბადება თავისუფალი, არ არსებობს განთავისუფლება იქ, სადაც არ არის მონობა (ულპიანე).

* რომაული სამართალი მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი მონაპოვარია. მისი სიდიადე უნივერსალობასა და მოქნილობაშია. დღეს, როცა თვალნათლივია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისაკენ სწრაფვა, რომაელ იურისტთა ნააზრევს თანამედროვე იურიდიულ ცხობიერებაში აღბათ კუთვნილი აღვილი მიეჩნება. რედაქტია შეეცდება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოკტორის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის თადო განტურიას დამარჯებით, პერიოდულად მიაწოდოს მკითხველს სენტენციები იუსტინიანეს დიგესტებიდან (რედაქცია).

არც თუ იშვიათად რედაქციაში შემოდის იმ ხელისმომწერთა საყვედლურებით აღსავსე წერილები, რომლებიც დიდი დაგვიანებით, ან საერთოდ არ იღებენ უურნალ „სახელმწიფო და სამართლის“ ნომრებს. ამასწინათ ასეთი ბარათი მივიღეთ აფხაზეთიდან. გალის რაიონის სოფელ გუდავას მკვიდრი გივი პაპას-ჯირი გვწერს. რომ მიმდინარე წლის 16 აპრილამდე მან მხოლოდ უურნალის პირველი ნომერი მიიღო. ხოლო როდესაც ფოსტის მუშაკებს მიაკითხა, მათ თავი იმართლეს, მეტი არ გამოსულათ.

მკითხველებს უნდა ვაუწყოთ, რომ 1990 წლის გასული ოვეების ყველა ნომერი გამოსულია. მათგან პირველი ნომერი დასაბეჭდად ხელმოწერილია 25 იანვარს, მეორე ნომერი 27 თებერვალს. მესამე ნომერი 29 მარტს, მეოთხე ნომერი 12 აპრილს. ამდენად, ფოსტის მუშაკთა განცხადება უურნალი არ გამოსულათ, სიმართლე არ არის.

რედაქციის მიაჩნია, რომ „სოიუზექსატის“ მუშაკები უფრო მეტი გულის-ყურით უნდა ეპყრობოდნენ უურნალის მკითხველებამდე მიტანის საკითხს.

**«САХЕЛМЦИПО ДА САМАРТАЛИ» («Государство и право») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов ГССР.
Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.**

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина, 14.

ଓଡ଼ିଆ ୬୦ ୫୫୩.
୦୬୭୦୫୬୦ ୭୬୧୮୫



୧୨୯୧/୬୯